

**ადრეული
ინკლუზიური
განათლება**

**სახელმძღვანელო
პრაქტიკოსებისათვის**

ნანილი მეორე

რას უნდა ვითვალისწინებდეთ ხარისხიანი
ინკლუზიური ადრეული განათლების
შესაქმნელად

სარჩევი

წიგნში, აღრეული ინკლუზიური განათლება, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებსა და ავტორების ცოდნასა და გამოცდილებას დაყრდნობით, აღწერილია ხარისხიანი აღრეული განათლების მრავალი ასპექტი. ავტორების ღრმა რწმენით, ხარისხიანი აღრეული განათლება, თავისი არსით, ინკლუზიურია. ასე რომ, სახელმძღვანელოში, რომელიც ვ ნაწილისგან შედგება, მიმოხუთია ისეთი საკითხები, როგორცაა: აღრეული განვითარებისა და განათლების მნიშვნელობა, ხარისხიანი აღრეული ინკლუზიური განათლების ორგანიზაციული პრაქტიკა, პასუხისმგებლობები და როლები აღრეულ განათლებაში, მშობლისა და ოჯახის ფაქტორი, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება ბაღში, ხარისხიანი პრაქტიკის შეფასება და მონიტორინგი (პირველი ნაწილი).

სახელმძღვანელო მეთრე ნაწილში საუბარი იმავ, თუ როგორ შეიძლება შექმნა სოციალური, ემოციური, შემეცნებითი, კომუნიკაციური, ფიზიკური და სენსორული თვალსაზრისით მხარდაჭერი ბარემო ყველასთვის.

წიგნის მესამე ნაწილში განხილულია სხვადასხვაგვარი საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვის წარმატებულ მაგალითები, რომლებიც საქართველოს ბაგა-ბაღების რეალური ცხოვრებიდანაა აღებული. უცხოურიდან თარგმნილია მხოლოდ ორი შემთხვევა – „კოლიში“ და „სარა“, რადგან ისინი ბავშვზე ზრუნვისა და მშობლებთან ურთიერთობის განსაკუთრებულ ნიშნებს იძლევა.

ვიმედოვნებთ, რომ წიგნის მესამე ნაწილში აღწერილი ყველა შემთხვევა ბაგა-ბაღის აღმზრდელ-ვებდგომებს და სხვა პროფესიონალებს (მეთოდისტებს, სოციალური განათლების მასწავლებლებს, ფსიქოლოგებს, მეტყველების თერაპევტებს) დაეხმარება პრაქტიკის უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ამ მაგალითების აღწერისას განეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თბილისის მ-100 საჯარო ბაგა-ბაღის თანამშრომლებს, მკა ფალავანდიშვილს და მანანა ხუციშვილს, ასევე მკაუნიის ასოციაციას და ამ ასოციაციის ოკუპაციურ თერაპევტს, ნინო ჩუბინიძეს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველასთვის, ვისაც რაიმე პირდაპირი ან ირიბი შეხება აქვს აღრეულ განათლებასთან, იქნება ეს გადაწყვეტილებების მიმღები პირი, აღრეული დაწესებულებების ორგანიზებასა და მართვავზე პასუხისმგებელი პირი, ხარისხის მაკონტროლებელი, უშუალოდ ბავშვებთან მომუშავე ადამიანი, თუ მშობელი.

წიგნი სასარგებლო რეუსრსია აღრეული განვითარებისა და განათლების მიმართულების აკადემიურ პროგრამებში ჩართული მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო მოგზადდა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, როგორც სამინისტროს ერთ-ერთი რეუსრსი აღრეული განათლების სფეროში.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს კორტიჯის ასოციაციისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კრექტის „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა საქართველოს ბაგა-ბაღებში“ ფარგლებში, ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით.

ავტორები წიგნის შექმნის პროცესში მიღებული რჩევებისა და მოსაზრებებისათვის მადლობას უხდინან აღრეული განათლების სფეროს მქსპერტებს: სიმუს ჰებარტისა და დრაგანა სრებენტოს.

ბაღის ბარემო: უნივერსალური ღიზიანი და თამაშის მნიშვნელობა	5
ფიზიკური და დროითი ბარემო	12
სოციალური და ემოციური განვითარების მხარდაჭერი ბარემო	19
კომუნიკაციის წამახალისებელი ბარემო	35
კოგნიტური განვითარების მხარდაჭერი ბარემო	53
მობორული განვითარების მხარდაჭერი ბარემო	62
სენსორული განვითარების მხარდაჭერი ბარემო	65
დაკვირვება, შეფასება, დაგეგმვა	69
დანართები:	
თვით-შეფასების კითხვარი: მხარდაჭერი ბარემო სოციალური და ემოციური კომპეტენციის ხელშეწყობისათვის	86
ენობრივი შეფასების შედეგები და მიზნები	92
კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების განვითარების ასაკობრივი თავისებურებების შესაფასებელი კითხვარი	93
ბავშვის განვითარების ეტაპების კითხვარი	100
ინდივიდუალიზაციის 6 ნიშნი	114
შეფასების შედეგების ფორმა	127
ინდივიდუალური გეგმის ფორმა	128

ბალის გარემო: უნივერსალური დიზაინი და თამაშის მნიშვნელობა

ბალის გარემო

როგორი უნდა იყოს გარემო ბალში? ამ კითხვის დასმისას, ხშირად კარგად გარემონტებული ოთახები, მხიარულად გაფორმებული კედლები, ბავშვის შესაბამისი ავეჯი და ბევრი სათამაშო გვახსენდება. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგი და მნიშვნელოვანია, მაგრამ, სრულიად არ არის საკმარისი ბალის გარემოს აღსაწერად. ბალის გარემო, ფიზიკურ გარემოსთან ერთად, აუცილებლად გულისხმობს სოციალურ გარემოსაც - მარტივად რომ ვთქვათ, გარემოს დასახასიათებლად, მნიშვნელოვანია ვხედავდეთ, რა ხდება ბალში: როგორ ურთიერთობენ ბავშვები ერთმანეთთან? როგორ ურთიერთობენ უფროსები ბავშვებთან? -ბავშვები უფროსებთან? - უფროსები ერთმანეთთან? -არის თუ არა ეს ურთიერთობები დამყარებული პატივისცემასა და ყველას საჭიროებების გათვალისწინებაზე?

ორი მნიშვნელოვანი რამ, რაც ადრეულ განათლებასთან დაკავშირებულ ადამიანებს უნდა ესმოდეთ, როდესაც ისინი ბალის გარემოზე იწყებენ ფიქრს, ეს არის უნივერსალური დიზაინის პრინციპები და თამაშის მნიშვნელობა.

სწავლების უნივერსალური დიზაინის ფესვები არქიტექტურის სფეროშია. ტერმინი უნივერსალური დიზაინი პირველად ეტლით მოსარგებლე ინგლისელმა არქიტექტორმა რომ მეისმა გამოიგონა, ისეთი შენობის აღსაწერად, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. მეისის კონცეფციის მიხედვით, გარკვეული პრინციპებით აშენებული შენობა სარგებლის მომტანია ფიზიკური შეზღუდვების მქონე ადამიანებისათვის, მაგრამ ამავე დროს სასარგებლოა სხვებისთვისაც, მაგალითად:

- საფეხმავლო გზების დახრილი ნაწილები და პანდუსები ეტლით მოსარგებლე ადამიანებს გადაადგილებაში ეხმარება, მაგრამ ამავედროულად, მათი არსებობა მნიშვნელოვანია ბავშვის ეტლით მოსიარულე მშობლებისა და ბორბლებიანი ჩემოდნებით ან სუპერმარკეტების კალათებით მოსიარულე პირთათვის.
- კარის იმგვარი სახელები, რომლებიც იდაყვის ზენოლით იღება, საჭიროა როგორც იმ ადამიანებისათვის, ვისაც ხელის ჩაჭიდების სირთულე აქვს, ასევე მათთვისაც, ვისაც ხელში ნივთები უჭირავს.
- დიდი ზომის წარწერები ეხმარება მხედველობის სირთულეების მქონე ადამიანებსაც და იმ ბავშვებსაც, რომლებიც კითხვას სწავლობენ.
- უნივერსალური მინიშნებები (ნიშნები სიტყვების გარეშე) ეხმარება სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს და მათ, ვინც კითხვა არ იცის/ კითხვის სირთულეები აქვს.

სწავლების უნივერსალური დიზაინიც იგივე პრინციპებს ემყარება. ის კარგია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა დასახმარებლად, მაგრამ, ამავედროულად სასარგებლოა ყველა მოსწავლისათვის.

სწავლების უნივერსალური დიზაინი ნიშნავს (1):

- იყენებდე ბავშვებისათვის ინფორმაციის მიწოდების (სწავლების) მრავალფეროვან საშუალებებს
- აძლედე ბავშვებს საშუალებას თავისი ცოდნა და აზრები სხვადასხვაგვარი გზებით გამოხატონ
- უზრუნველყოფდე ყველა მოსწავლის ჩართულობას მათი ინტერესებისა და მოტივაციის წახალისებით.

სწავლების - ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვნება

წარმოიდგინეთ, რომ სკოლისთვის მზაობის ჯგუფში კვირის თემა მდინარეები, ტბები, ზღვები, ოკეანეები და ტალღებია. პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღმზრდელ-პედაგოგი ბავშვებს გააცნობს/ესაუბრება ისეთ საკვანძო სიტყვებზე როგორებიცაა: მდინარე, ტბა, ზღვა, ოკეანე, ტალღა, ტალღის შემაჩერებელი (გამტეხი) ჯებირები, ცუნამი.

ამ თემაზე აქტივობების დაგეგმვისას და მასალის შერჩევის დროს, აღმზრდელ-პედაგოგი უნდა ითვალისწინებდეს იმ მახასიათებლებს, რითაც მის ჯგუფში მყოფი ბავშვები, განსხვავდებიან, სასწავლო საჭიროებების თვალსაზრისით, მაგალითად:

თუ ჯგუფში არიან ბავშვები, რომლებიც უმრავლესობის ენაზე კარგად არ საუბრობენ, იგი ამ ბავშვებისათვის საკვანძო სიტყვების მარტივ და მათთვის გასაგებ ლექსიკონს შეადგენს - მოამზადებს ამ სიტყვების შესაბამის სურათებს და ქვეშ სიტყვებს დიდი ასოებით მიაწერს. ეს სტრატეგია, ცხადია, დაეხმარება იმ ბავშვებს, ვინც (ამ შემთხვევაში) ქართული კარგად არ იცის, ასევე იმ ბავშვებს, ვისაც ენობრივი განვითარების თვალსაზრისით რაიმე სირთულე აქვს და ასევე ყველა ბავშვისთვისაც სასარგებლო იქნება, რადგან სურათის ქვეშ შესაბამის წარწერაზე დაკვირვება, მათ კითხვის წინარე უნარების დაუფლებაში დაეხმარება.

თუ ვინმეს ჯგუფში მხედველობის სირთულეები აქვს, ზღვის ტალღების, ქვიშის მიმოქცევის, თოლიების ყვირილის, გემის საყვირის ხმის ჩანაწერების ან ამგვარი ხმების გამომცემი სათამაშოებისა და აუდიო წიგნების გამოყენება შეიძლება. გარდა იმისა, რომ ამგვარი მიდგომა დაეხმარება მხედველობის სირთულეების მქონე ბავშვებს მასალის დაუფლებაში, ეს სასაგებლო ყველა ბავშვისთვისაც - ამგვარი ხმების მოსმენა ავითარებს კონცენტრაციის, სმენითი აღქმისა და ფონოლოგიური (ბგერითი) აღქმის უნარებს.

ბავშვებს, რომლებსაც ზემგრძობელობა¹ აქვთ ხმაურის მიმართ, აღმზრდელ-პედაგოგი, ტალღების ხმაურის შემცველი ვიდეო-მასალის ჩართვისას, წინასწარ შეამზადებს და საჭიროების შემთხვევაში, ყურსაცობებსაც შესთავაზებს. იმ ბავშვების დაინტერესება, რომლებიც ქვე-მგრძობიარეები არიან ხმაურის მიმართ, შესაძლებელია მათთან ახლოს დაჯდომით და მათთვის ქვიშის მიმოქცევის ხმიანი სათამაშოების ერთად მოსმენის შესაძლებლობით. ეს ყველა სხვა ბავშვს ასწავლის, როგორ შეიძლება სხვაზე ზრუნვა და სხვისი გათვალისწინება.

ბევრ ბავშვს დასწავლის კინესთეტიური სტილი (შეხებით-მოძრაობით-კეთებით) აქვს. ტალღების მოძრაობის და ცურვის იმიტაცია ამ და ყველა სხვა

¹ ხმაურის მიმართ ზემგრძობიარე ბავშვებმა მოულოდნელი ხმაურის დროს შესაძლოა თავისი დისკომფორტი მაგიდის ქვეშ შეძრომით, ყურებზე ხელის აფარებით, ჯგუფიდან გაქცევის სურვილით, იატაკზე გაგორებით ან სხვაგვარად გამოხატონ. დამატებით იხ. თავი „აუტიზმის მართვა ბაღში“

ბავშვისთვისაც ფიზიკური გავარჯიშების და მოძრაობის კარგ საშუალებას იძლევა. იმ ბავშვებისათვის, რომელთაც ყურადღების დეფიციტისა და დასწავლის სირთულეები აქვთ, ვიზუალურ და აუდიოლურ მასალებს აღმზრდელ-პედაგოგი კვირის მანძილზე, განმეორებით სხვადასხვა დროსა და სიტუაციაში გამოიყენებს. ცხადია, გამეორება, შეხება და მოძრაობითი აქტივობები სასარგებლოა ყველა ბავშვისათვის.

საბავშვო ბაღის გარემო ისედაც ისეა მოწყობილი (უნდა იყოს), რომ ბავშვებს სამყაროს შემეცნებისა და დასწავლის სხვადასხვა მოდალობებს სთავაზობს. ბევრი ბავშვი მიიღებს სარგებელს დრამის ცენტრში მეზღვაურობანას თამაშისას, ამ დროს ბავშვები, თემასთან დაკავშირებულ ცნებებს მათთვის უფრო მოსახერხებელი არხების საშუალებებით შეიმეცნებენ. ბავშვს, რომელსაც თამაშში ჩართვის სირთულეები აქვს, აღმზრდელ-პედაგოგის დახმარებით, ბავშვები ისეთ როლს ანიჭებენ, რომელიც მისი შესაძლებლობებისთვის შესაბამისია.

თემატიკასთან დაკავშირებული მარტივი სიმღერის სახალისო გზით (მოძრაობების გამოყენებით) დასწავლა სასარგებლო იქნება ყველა ბავშვისათვის, მათ შორის მათთვისაც ვისაც მეტყველების სირთულეები აქვთ; მეტყველების სირთულეების მქონე ბავშვები, არაძალდატანებით² სიმღერის გზით, უკეთ სწავლობენ.

გამოხატვის მრავლობითი საშუალებები

წარმოიდგინეთ, რომ აღმზრდელ-პედაგოგის მიზანია, ბავშვებმა შეძლონ, სწორი თანმიმდევრობით გადმოსცენ ჯგუფში წაკითხული მოკლე, მარტივი მოთხრობა. პედაგოგმა იცის, რომ ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია ბავშვებმა მოვლენათა თანმიმდევრობის გააზრების უნარები გაივარჯიშონ.

აღმზრდელმა ასევე იცის, რომ მის ჯგუფში არიან ბავშვები, რომელთათვისაც რთულია ზეპირად მოსმენილის აღქმა და გაგება. მათ დასახმარებლად იგი მოთხრობის თანმიმდევრობის შესაბამის ბარათებს ამზადებს და შემდეგ ბავშვებს საშუალებას აძლევს მოთხრობა ამ ბარათების დახმარებით აღიდგინონ და ისე მოყვნენ.

ამბის წაკითხვისას, ის მოუწოდებს ბავშვებს წარმოიდგინონ, რა ხდება მოთხრობაში, შექმნან მოთხრობის ვიზუალური სურათები გონებაში. კითხვის დასრულებისას ის ბავშვებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა გზებით მოყვნენ ამბავი: დახატონ, თხრობითად გადმოსცენ, ბარათები დააღაგონ, მოთხრობის შესაბამისი საგნები, სათამაშოები გამოიყენონ მოთხრობაში მომხდარი ამბების გადმოსაცემად, ამბავი გადმოსცენ სხეულის მოძრაობით, ემოციების გამოხატვით განასახიერონ მომხდარი და ა.შ.

მან იცის, რომ ჯგუფში ყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, რომლებსაც მონათხრობის თანმიმდევრულად დალაგების სირთულეები ექნებათ, რადგან მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ დახმარება, რაიმე ამოცანის დასაწყებად და დასასრულებლად და ჯერ-შემდეგ ცნების გასააზრებლად. ამიტომ ამ ბავშვებისათვის პედაგოგი მოკლევადიან მიზნად არა თხრობითი სიუჟეტის თანმიმდევრულად გადმოცემას იღებს, არამედ „ჯერ-შემდეგ“ უნარების გავარჯიშებაზე ინყებს მუშაობას.

² ბავშვებისათვის სიმღერების სწავლებისას, ბავშვების მუსიკასთან ზიარებისას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბავშვებმა ამ პროცესისგან სიამოვნება უნდა მიიღონ.

აღმზრდელი ბავშვებს თანმიმდევრობის, დანყება დასრულების და ჯერ-შემდეგ ცნებების კარგად გააზრებაში და ვიზუალიზებაში რომ დაეხმაროს, შემდეგი ტიპის აქტივობებს გეგმავს:

ბავშვებს პატარა ჯგუფებად ყოფს და თითოეული ჯგუფისთვის, დღის სხვადასხვა მონაკვეთში მათთვის ნაცნობ, ხელის დაბანის აქტივობის დემონსტრირებას აკეთებს, ოღონდ ამჯერად თითოეულ ნაბიჯს თანმიმდევრობით განიხილავს: „ჯერ ვუშვებ წყალს, შემდეგ ვისველებ ხელებს, შემდეგ ვიღებ საპონს...“. მასწავლებელს ასევე მზად აქვს ხელის დაბანის აქტივობის ამსახველი თანმიმდევრული ბარათები. ხელის დაბანის დემონსტრირების შემდეგ აღმზრდელი ეხმარება ბავშვების მცირე ჯგუფს ბარათები განიხილონ და თანმიმდევრობით დააღაგონ. ამ დროს ბავშვებთან საუბრისას იგი ხშირად იყენებს სიტყვებს: დანყება, ჯერ, შემდეგ, დასრულება. ამავდროულად აღმზრდელი საშუალებას აძლევს ბავშვებს ნასწავლი, მათთვის უფრო შესაბამისი გამოხატვის საშუალებებით გადმოსცენ: ზოგიერთი ამ თანმიმდევრობას ყვება, ზოგიერთი ბარათებს თანმიმდევრობით ალაგებს, ზოგი კი პირდაპირ ონკანთან მიუთითებს, რა ხდება ჯერ და რა ხდება მერე.

გარდა ამისა, აღმზრდელი ბავშვებს დავალებად აძლევს, ჩამოაყალიბონ მათთვის კარგად ნაცნობი აქტივობების თანმიმდევრობა, მაგალითად: მულტფილმის ყურება, კბილების გამოხეხვა, წიგნის დათვალიერება, დაძინება ან რაიმე სხვა. შემდეგ წყვილებში მუშაობისას ბავშვები თავად ირჩევენ, რა ფორმით გადმოსცემენ ამ თანმიმდევრობას: ზოგი მოყვება, ზოგი დრამატულად განასახიერებს, ზოგი ბარათებს გამოიყენებს, ზოგი დახატავს.

ბავშვებთან, რომლებსაც განსაკუთრებული სირთულეები აქვთ აქტივობების დანყებასა და დასრულებასთან დაკავშირებით, იგი აქტივობების დასრულების სპეციფიკურ მიმანიშნებლებს იყენებს, მაგალითად, ქვიშის საათი, ან ვიზუალური ბარათებიანი საათი, ან დღის განრიგის ვიზუალური ცხრილი, ან რაიმე სიმღერა და ა.შ.

ყველა ეს ხერხი ეხმარება ყველა ბავშვს გაიუმჯობესონ/ისწავლონ თანმიმდევრობა, დაგეგმვა, განხორციელება - მთელი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციური უნარები.

ჩართულობის მრავალფეროვანი საშუალებები

სწავლების უნივერსალური დიზაინის ჩარჩოს მიხედვით, მესამე პრინციპი ჩართულობის - მრავლობითი საშუალებებია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვის ინტერესებისა და მოტივაციის ნახალისება.

ბალის გარემოში, ყველა ბავშვის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია პროგრამა და აქტივობები ისე იყოს აგებული, რომ მასში ჩართვა ყველამ თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახერხოს.

მასალა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის და უნდა იყოს მრავალფეროვანი. გათვალისწინებული უნდა იყოს მასალის ფორმა, ზომა, ფერი და ზედაპირის (ხაოიანი, გლუვი...) მრავალფეროვნება.

ბალის ასაკი ეს ის დროა, როდესაც თამაში ბავშვისათვის სამყაროს გაგებისა და თვითგანვითარების საუკეთესო გზაა. ამიტომ, ბავშვების გარემოში ბავშვების ჩართულობის, აქტიურობისა და ინტერესების წასახალისებლად ძირითადად თამაშის ფორმებს უნდა იყენებდნენ.

თამაშის როლი ხარისხიან ადრეულ ინკლუზიურ განათლებაში

თამაშის, გართობისა და ხელოვნებასთან თავისუფლად ურთიერთობის უფლება ბავშვებს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 31-ე მუხლითაც კი აქვთ მინიჭებული. ამ მუხლის ასახვა ბავშვთა უფლებების კონვენციაში იმიტომ გახდა საჭირო, რომ უფროსები ხშირად ვერ ვაფასებთ იმ როლს, რაც თამაშს აქვს ბავშვის განვითარებაში.

თამაში ბავშვს აძლევს სამყაროს კვლევის და სხვადასხვა ტიპის გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. თამაშს განვითარების თავისი ეტაპები აქვს, მაგრამ ყველა ბავშვი თამაშის გარკვეული ტიპის მიმართ ავლენს უპირატესობას. ეს დამოკიდებულია, ბავშვზე, მის გამოცდილებასა და შესაძლებლობებზე.

ბავშვები არ ანსხვავებენ ერთმანეთისგან თამაშსა და მუშაობას. უფროსებმა უნდა დააფასონ სწავლის ის უზღვაო ოდენობა, რომელსაც ადგილი აქვს მრავალფეროვან სიტუაციებში, თამაშის გზით, სამყაროს შემეცნების დროს. თამაში არსებითია ყველა ბავშვის პოტენციის გამოსავლენად.

თამაშის დროს ბავშვები საკუთარ საჭიროებებს იკმაყოფილებენ და გარე-სამყაროს თავისებურად, თავიანთ ჭკუაზე შეიგრძნობენ. თამაშში ხდება შეგრძნებების, იდეების, მასალის, ურთიერთობებისა და როლების აღმოჩენა. თამაში აგრეთვე ეხმარება ბავშვებს გამოცდილების, იდეების საგნებისა და გარემოს ერთმანეთთან დაკავშირებაში. როდესაც ცოტა წამოიზრდებიან ბავშვები თამაშში ავითარებენ რაღაც ისტორიებს, რაც წერიტი უნარების საფუძველს წარმოადგენს. უფროსებმა უნდა ნახალოსონ თამაშში, დააკვირდნენ ბავშვებს თამაშის დროს და გააკეთონ ჩანაწერები თამაშის იმ ტიპების შესახებ, რითიც ბავშვები არიან დაკავებული, ასევე, იმის შესახებ როგორ ურთიერთობენ ისინი თამაშის დროს.

თამაში არის ქმედება, რომლის მეშვეობითაც ბავშვი სამყაროს გაგებას, მის შემეცნებას სწავლობს. ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდება, თამაშში გადაამუშავებს, თამაშის მეშვეობით გამოცდის, თუ რას ნიშნავს იყო ,, დიდი“: დედა და მამა, მეხანძრე, ექიმი და ა.შ. თამაშში სწავლობს სხვა ადამიანთან ურთიერთობას, შეთანხმებას, პრობლემის გადაჭრას, დალოდებას, ივითარებს ფანტაზიას.

ბავშვებს მოსწონთ და უნდათ თამაში. თამაშში განვითარებისა და სწავლის ყველა ასპექტია ჩართული. როდესაც ბავშვებს აქვთ საკმარისი დრო და საშუალება თამაშისათვის, მათი თამაში დროთა განმავლობაში ხდება, შემეცნებითი და სოციალური თვალსაზრისით, უფრო კომპლექსური. თამაშის დროს, ბავშვები:

- იყენებენ სხვადასხვა მასალებს და სწავლობენ მათ მახასიათებლებს
- იყენებენ სხვადასხვა მასალების შესახებ შეძენილ ცოდნას წარმოსახვითი თამაშების სათამაშოდ
- გამოხატავენ თავიანთ ემოციებს და შიგნით დაგროვილ გრძნობებს
- უმკლავდებიან ტრავმატულ გამოცდილებას
- ინარჩუნებენ ემოციურ ბალანსს, ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას
- ეჭიდებიან ისეთ ცნებებს, როგორცაა დაბადება და სიკვდილი, სიკეთე და ბოროტება, ძალა და უძლეურობა

- ივითარებენ იმის აღქმას, თუ ვინ არიან თავად, თავიანთ და სხვის ღირებულებებს
- სწავლობენ გაზიარებას და რიგის დაცვას
- ერთვებიან კონფლიქტებში, სწავლობენ კონფლიქტების გადაწყვეტას და შეთანხმებას
- წყვეტენ პრობლემებს და ივითარებენ დამოუკიდებლობას
- ივითარებენ კომუნიკაციურ და ენობრივ უნარებს
- იმეორებენ იმ ქმედებებს, რომელიც ასახავს მათ განსაკუთრებულ ინტერესს და/ან წუხილს
- იყენებენ სიმბოლოებს სხვადასხვა რამის წარმოსაჩენად, რაც არის გადამწყვეტი საფეხური აბსტრაქტული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის
- ამუშავებენ, ავითარებენ და ხევენ უნარებს განვითარებისა და სწავლის ყველა სფეროსა და ასპექტის მიმართულებით (2).

ხარისხიანი ადრეული საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებმა ზედმინევენით კარგად იციან **თამაშის ტიპები და ფორმები** სხვადასხვა ასაკში.

მაგალითად, მათ კარგად ესმით, რომ ბავშვობის პირველი წლები 0-2 წლამდე - სენსომოტორული პერიოდია და რომ ბავშვის ასაკის ბავშვებს აუცილებელია, ბევრი საშუალება მიეცეთ, სამყარო მოძრაობისა და უშუალო შეხების გზით შეიმეცნონ. დაახლოებით, 18 თვიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უფრო დამახასიათებელი **პარალელური თამაშია**, როდესაც ისინი ერთ სივრცეში, მაგრამ დამოუკიდებლად თამაშობენ და ხანდახან ერთმანეთს ბაძავენ. 1.5-2 წლის ასაკიდან უკვე ჩნდება ისეთი უმნიშვნელოვანესი უნარი ბავშვის თამაშში, როგორცაა **სიმბოლური თამაშის ჩანასახი** - „დათუნია, გააღე პირი გაჭამო“. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებმა და აღმზრდელებმა აუცილებლად უნდა წაახალისონ ამ ტიპის თამაშები, რადგან ეს სიმბოლური აზროვნების განვითარების წინაპირობაა, სიმბოლური აზროვნება კი აბსტრაქტული აზროვნებისა და ენის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია (3, 4). სამი წლის ასაკიდან სიმბოლურ თამაშს ბავშვები უკვე **როლებს მორგებას** უმატებენ - მძღოლი, სილკნეტის თანამშრომელი, მეხანძრე, პატრული. ამ ასაკიდან მათ უკვე სურთ სხვების ჩართვა და გაზიარება, მაგრამ უჭირთ „პირველობის“ დათმობა. 4 წლიდან სიმბოლურ და როლურ თამაშებს უკვე ემატება სხვებთან თანამშრომლობის და სხვების გაგების მეტი უნარი - **კოოპერაციული თამაში**. 5 წლიდან ყველა ეს უნარი ერთიანდება და ბავშვებს **თამაშის წესებზე შეთანხმება** შეუძლიათ.

ბაგა-ბაღში მომუშავე ადამიანებს უნდა შეეძლოთ, დააკვირდნენ ბავშვი თამაშის განვითარების რა ეტაპზეა და თამაშის, რა ფორმებს იყენებს. რაიმე სირთულის გამო, ასაკით შედარებით დიდი ბავშვი თამაშის განვითარების უფრო დაბალ ეტაპზე შეიძლება იყოს; შეეცადეთ, შეეწყოთ მას ამ ეტაპში და ნელ-ნელა დაეხმაროთ თამაშის ახალი ეტაპების დასაუფლებლად, რაც თავისთავად მისი ზოგადი და ყოველმხრივი განვითარების ხელშეწყობაა.

თამაშის ფორმები:

მანიპულაციური თამაშებისას, როდესაც ბავშვი რაიმე საგნით ან სათამაშოთი თამაშობს, იყენებს ან არ იყენებს მას დანიშნულებისამებრ, მაგალითად, საჩხარუნოს ქნევა, ორი ნივთის დაკაკუნება, მანქანის გაგორება და ა.შ. ბავშვის დაკვირვების და შემეცნების უნარები ვითარდება.

ორგანიზებული თამაშები, როდესაც ბავშვი სისტემატიურად აწყვილებს ობიექტებს (მაგ. ალაგებს კუბიკებს ერთად) მას დაგეგმვასა და ორგანიზებაში ეხმარება.

კონსტრუქციული თამაშები, როდესაც ბავშვი აწყობს მარტივ თავსატეხს, აკვირდება და ალაგებს ფიგურებს შესაბამის ფორმებში, სივრცითი აღქმის, ორიენტაციის, შენებისა და დაგეგმვის უნარებს ავითარებს.

შედეგის ან ეფექტის თამაშები, როდესაც ბავშვი სწავლობს მექანიკური სათამაშოს ჩართვას, აჭერს ხელს ლილაკს, რომ გაიხსნას ყუთი, უკავშირებს ერთ ნივთს მეორეს, მაგალითად აგორებს ბურთს, რომ დაანგრის კოშკი, ბავშვს მიზნებ-შედეგობრიობის გააზრებაში ეხმარება, რაც ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოგნიტური ფუნქციაა.

ინტერაქციული თამაში, როდესაც ბავშვი აძლევს უფლებას სხვას, ჩაერიოს თამაშში, აწვდის მას რამე ნივთს თამაშის დროს, იგონებს თამაშის წესებს, შეუძლია ერთ რამეზე კონცენტრირება, მონაწილეობას იღებს როლურ თამაშებში, იცავს რიგს - ავითარებს უმნიშვნელოვანეს სოციალურ და კომუნიკაციურ უნარებს, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე სჭირდება.

სიმბოლური თამაშებისას, როდესაც ბავშვი იყენებს ნივთს არადანიშნულებისამებრ, მაგალითად, ვითომ, კბილის ჯაგრისი მიკროფონია, როდესაც ბავშვი თამაშობს წარმოსახვით თამაშებს, მაგალითად აჭმევს თოჯინას წარმოსახვით საკვებს, ახორციელებს თანმიმდევრულ წარმოსახვით ქმედებებს, მაგალითად, მიყავს თოჯინა პარკში, შემდეგ სახლში, შემდეგ დასაძინებლად; არგებს თოჯინას სხვადასხვა როლებს, მიაწერს თოჯინას გარკვეულ ემოციებს, მაგალითად ამბობს რომ ტირის, გაბრაზებულია და ა.შ. როდესაც ბავშვი წარმოადგენს თავს სხვა ადამიანად; ირგებს სხვადასხვა როლებს, ვითარდება ყველა ფუნდამენტური უნარი, რომელიც შემოქმედებითობას, ემოციურ რეგულაციას, დაგეგმვას და კომუნიკაციას უკავშირდება.

შესაბამისად, თამაში ბავშვს უვითარებს ყველა იმ ფუნდამენტურ უნარს, რაც მას მთელი ცხოვრების მანძილზე სჭირდება, ამიტომ ადრეული განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების სტიმულირების მთავარი გარემო თამაში უნდა იყოს.

გამოყენებული რესურსები:

1. Chris Johnstone (2015) Access to school and learning environment II – Universal Design for Learners: http://www.inclusive-education.org/sites/default/files/uploads/booklets/IE_Webinar_Booklet_11.pdf
2. Joan Santer and Carol Griffiths, with Deborah Goodall (2007). Free Play in Early Childhood.
3. M.W. Casby, (2003) Developmental Assessment of Play. Communication Disorders Quarterly. Vol.24. N4.
4. M.Deunk (2008). Discourse Studies 10.615. SAGE publications.

ფიზიკური და დროითი გარემო

მხარდამჭერია გარემო, თუ **ფიზიკური სივრცე**, ბავშვების ასაკის, განვითარების და ინტერესების შესაბამისად, მრავალფეროვანი სივრცეებით და ინტერესების აღმძვრელი მასალებით არის მოწყობილი. ასევე, **განრიგი** და **გეგმა**, ისეა მოფიქრებული, რომ დაცულია ბალანსი მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებს შორის, ბავშვისა და უფროსის მიერ ინიცირებულ, მშვიდ და მოძრავ აქტივობებს შორის, და ბუნებრივად ცვალებადია ინდივიდუალური, ჯგუფური საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად. ამას გარდა, დღის აქტივობები და საქმიანობები კარგად მოფიქრებული გადასვლებით (**ტრანზიციები**) არის დაკავშირებული, რაც ქმნის ისეთ პირობებს, რომ ბავშვებს არ უნევთ დიდხანს ლოდინი და არაფრის კეთება, ხოლო მიმანიშნებლები გასაგები და თანმიმდევრულია. და ბოლოს, უფროსის მიერ გამოყენებული **სტრატეგიები** ასაკის, განვითარების შესაბამისია, რაც ხელს უწყობს ბავშვის ჩართულობას, ფიქრს, ავტონომიას, დამოუკიდებლად პრობლემის გადაჭრას, კვლევას, სოციალიზაციას და უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალიზაციას და სივრცეს ყველასთვის.

ფიზიკური სივრცე

ადრეული განათლების მთავარ ამოცანას აღმოჩენებისა და კრეატიულობის გზით განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს (6). ოთახის, ბაღის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვებს შორის არსებულ განსხვავებებს და უზრუნველყოფდეს მდიდარ, პოზიტიურ გამოცდილებას, სადაც ბავშვებს თავისუფლად და დამოუკიდებლად შეუძლიათ გადაადგილება, კვლევა, ექსპერიმენტირება და აღმოჩენების კეთება. ბავშვები გარემოს მთლიანობით - მასთან ურთიერთქმედების ყველა საშუალებით აღიქვამენ და აფასებენ (7). კვლევები გვასწავლის, რომ ბავშვებს გარემოსთან მიმართებაში ოთხი ძირითადი მოთხოვნილება აქვთ, ესენია: მოძრაობა, კომფორტი, კომპეტენტურობა და კონტროლი (8). ბავშვებს სჭირდებათ უსაფრთხო და დასაშვებ საზღვრებში მოძრაობა, ზომიერი და ცვალებადი სტიმულაცია ყველა შეგრძნებისთვის; ასევე, წარმატების განცდა გარემოსთან ურთიერთქმედებისას; და ბოლოს, მაღალი დონის ავტონომიურობა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებითა და გარემოს კონტროლით (6,7). სწორად მოწყობილი სივრცე აღძრავს ქმედებას, წარმოსახვას და ქმნის სწავლის შესაძლებლობებს (7). სივრცესთან დაკავშირებული პრობლემები კი ძირითადად ბავშვებისა და უფროსების ინტერესების აღრევის ან ბავშვების ინტერესების უგულებელყოფის შედეგია (6).

ინტერესის სივრცეების მოწყობა, რომელსაც სხვანაირად სასწავლო სივრცეებს და ცენტრებს უწოდებენ, ადრეულ განათლებაში გავრცელებული მოდელია. ცენტრები ხელს უწყობს ბავშვების არჩევანს, ახალი უნარების დასწავლას, დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის ზრდას. უფროსებს კი სხვადასხვა უნარებისა და განვითარების შესაბამისად მრავალფეროვანი სასწავლო პირობების შექმნის შესაძლებლობას აძლევს (6,7,9). ძირითადი ცენტრებია ხელოვნების, მუსიკის, ნიგნიერების, კონსტრუირების, დრამატული, მეცნიერების და აღმოჩენების, ქვიშისა და ნყლის, სამაგიდო და მშვიდი აქტივობების ცენტრები. ცენტრები უნდა ასახავდეს და შეესაბამებოდეს ბავშვების ასაკს, განვითარებას, **მზარდ უნარებს** და **ცვალებად ინტერესებს** (9). ცენტრები ეხმარება ბავშვებს იმუშაონ და ისწავლონ თავისი ინდივიდუალური ტემპით და იმ მასალებით, რომელიც მათ განვითარებას და საჭიროებებს აკმაყოფილებს. მოტივაციის და ინტერესის შესანარჩუნებლად ცენტრები უნდა იცვლებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში, თუმცა სტაბილურობა მნიშვნელოვანია ძლიერი შფოთვისა და მხედველობის პრობლემის მქონე ბავშვებისთვის.

ასევე, ცენტრები უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი, ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოყოფილი და განსაზღვრული, განსხვავებული ზომით, ფორმით და ადგილმდებარეობით. ცენტრების მოწყობისას გასათვალისწინებელია ერთმანეთის მოსაზღვრეობა და თანაზიარობა, რომ ბავშვებმა მათ შორის თამაშისას ორივე ცენტრის მასალების პროდუქტულად გამოყენება შეძლონ. მაგალითად, ქვიშის მაგიდა ხელოვნების ცენტრის გვერდით, ან მანქანების და ფიგურების განლაგება კუბურებთან. ასევე მნიშვნელოვანია ცენტრების სივრცეების ზონირება. ხელოვნების ცენტრის განლაგება ხელსაბანთან, ხოლო ნიგნიერების ცენტრის ნყლისა და საღებავებისგან მოშორებით (8).

ადრეული განათლების თანამედროვე ტენდენციები მოქნილი დიზაინის ოთახებს ანიჭებს უპირატესობას, სადაც შესაძლებელია ოთახების გადაკეთება ინდივიდუალური, მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის (9). უმცროსი ასაკის ბავშვებს მოსწონთ მცირე ჯგუფებად (5-ზე ნაკლები ბავშვი) ან ინდივიდუალურად თამაში, ამიტომ, არსებითია პატარა, მშვიდი და ინდივიდუალური სამუშაო სივრცეების მოწყობაც. ცენტრები მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი როგორც გამყოფი, მოძრავი საგნებით, მაგალითად, თაროებით, ასევე ვიზუალური მიმანიშნებლებით, მაგალითად, კონტრასტული იატაკი, კედლის ფერები, განათება, ქერის და იატაკის სიმაღლე, რაც სივრცულ განსხვავებებს ქმნის. ასევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი მკაფიო მისასვლელი, სივრცე შესასვლელ-გამოსასვლელად და მოძრაობისთვის. ეს ხელს უწყობს სოციალურ ურთიერთობებს, ახალისებს კვლევას და ამცირებს თამაშის შეწყვეტის ინციდენტებს (6). სივრცე ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ბავშვები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, როგორც ძირითადი ოთახის ცენტრებში, ისე სხვა სივრცეებში. ფიზიკურ ხელმისაწვდომობაზე ასევე ნაიკითხეთ მოტორული მხარდამჭერი გარემოს თავი და მხედველობის სირთულეების შემთხვევა.

თითოეულ ცენტრში აღმზრდელმა გამიზნულად უნდა განათავსოს მასალები და დაგეგმოს აქტივობები სასწავლო სტანდარტებისა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მიზნების მხარდაჭერისა და ინტეგრირებისთვის. ცენტრებში განთავსებული მასალები და საგნები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვებისთვის, რომ მათი დამოუკიდებლად აღების და გამოყენების შესაძლებლობა ჰქონდეთ. უფროსებმა სასწავლო გარემო ხშირად და ისე უნდა ცვალონ, რომ ბავშვებისთვის მუდმივად საინტერესო, გამომწვევებით სავსე, გასაგები და პროგნოზირებადი იყოს. ბავშვებს სჭირდებათ, იცოდნენ, რა და სად არის შესაძლებელი, მაგრამ ისინი ინტერესს კარგავენ და სწავლის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, როცა ყოველდღე ოთახში ერთსა და იმავეს პოულობენ. მასალები ერთი ან მეტი ბავშვის ინტერესებს უნდა პასუხობდეს. მაგალითად მხედველობის პრობლემის და ძლიერი შფოთვის მქონე ბავშვებს სტაბილური გარემო სჭირდებათ არა მხოლოდ ფიზიკური უსაფრთხოებისთვის, არამედ ემოციური კონტროლისთვისაც. ამიტომ, ცვლილებისას დაეხმარეთ ორიენტირებაში მათ, ვისაც ეს სჭრდება.

ცენტრში აღმზრდელის როლი კი ბავშვებზე დაკვირვება, მათთან ურთიერთობა და მათი ცოდნის გაზრდაა. შესაბამისად აღმზრდელი უნდა საუბრობდეს ბავშვებთან, აწვდიდეს ინფორმაციას ან უკუკავშირს, ყურადღებით აკვირდებოდეს მათ, მათი ცოდნის გამოვლენას და აგროვებდეს ობიექტურ ინფორმაციას მომავალი გეგმისთვის (1).

ფიზიკური სივრცის მოწყობისას გასათვალისწინებელია ზოგიერთი ბავშვის სპეციფიკური საჭიროებები, რისთვისაც შესაძლებელია ავეჯის მორგება ან სპეციალური მოწყობილობების დამატება გახდეს საჭირო. ამიტომ, ბაღის ადმინისტრაციამ, პედაგოგებმა და მშობლებმა ერთად უნდა დაგეგმონ ბაღის გარემოს ინდივიდუალური ბავშვის მოთხოვნების შესაბამისად მორგება (3).

როგორც წესი, მხედველობის, სმენის და ორთოპედიული სირთულეების მქონე ბავშვები სპეციალურ მონყობილობებს მოიხმარენ, რომლის ხმარების წესებს ბავშვთან მომუშავე უფროსები კარგად უნდა იცნობდნენ და მათ ფუქნციურობას ყოველდღე ამონებდნენ. ბალს ასევე უნდა ჰქონდეს სხვადასხვა სახის ადაპტური მონყობილობები და დასაჯდომი საშუალებები, მაგრამ ამ მონყობილობების სათანადოდ და ეფექტურად გამოყენებისთვის უფროსის მხრიდან ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მუდმივი დაკვირვებაა საჭირო (3).

განრიგი და გეგმა

კარგად ორგანიზებული დღის განრიგი სწავლის შესაძლებლობებს აუმჯობესებს. ბავშვებს მოსწონთ, როცა იციან რა და როდის ხდება. რეჟიმი მათ დროისა და თანმიმდევრულობის აღქმაში ეხმარება. დადგენილი დღის განრიგი ბავშვებს უსაფრთხოების განცდას და საკუთარ თავში რწმენას აღუძრავს. სსსმ ბავშვისთვის აუცილებელია, რომ დღის განრიგი დადგენილი თანმიმდევრობით წარიმართოს. კედელზე გაკრული სურათებიანი განრიგით კი ბავშვები დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენების და საქმიანობის მონაცვლეობას ხედავენ და აკონტროლებენ. ეს განსაკუთრებით მათ ეხმარება, ვისაც მხედველობითი მეხსიერება აქვთ, ან მეხსიერებისა და კომუნიკაციური უნარების განვითარებას საჭიროებენ (3).

აღმზრდელმა შეიძლება დღე ბავშვებთან დღის განრიგის, გეგმის, პროექტების და ნებისმიერი იმ ცვლილების გაზიარებით დაიწყოს, რაც შეიძლება დღის განმავლობაში მოხდეს. განრიგი უნდა იყოს პროგნოზირებადი, მაგრამ არა უცვლელი. აღმზრდელები ასევე ბალანსირებულად გეგმავენ წყნარ საათებსა და ენერგიულ თამაშებს, ოთახის და ეზოს აქტივობებს, დიდ და მცირე ჯგუფურ აქტივობებს (1).

დიდი ჯგუფი, რომელსაც ასევე მთელ ჯგუფს უწოდებენ, იდეალურია დღის შეხვედრებისთვის, დისკუსიებისთვის, გეგმების შედგენისა და ბავშვების ინფორმაციითა და გამოცდილებით უზრუნველყოფისთვის. ასეთი აქტივობით უფროსი დარწმუნებულია, რომ ყველა ბავშვი თანაბრად იზიარებს მას. ასევე, დიდი ჯგუფური შეხვედრების დროს შეიძლება ბიძგი მიეცეს იდეებს ან კვლევას, რომელსაც შემდგომ პატარა ჯგუფებში განაგრძობენ. შეიძლება მთელი ჯგუფი ჩართო მუსიკასა და მოძრაობაში, ერთობლივ კითხვაში. დიდი ჯგუფის გარემო ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, ისწავლონ და გამოიყენონ სხვადასხვა სოციალური უნარები, როგორცაა ჯგუფთან საუბარი თავიანთი გამოცდილების შესახებ, სხვების მოსმენა, კითხვებითა და კომენტარებით პასუხის გაცემა, გუნდური მუშაობა, ახალი ინფორმაციის გამოყენება და გადამუშავება. უფროსები დიდი ჯგუფური აქტივობის დროსაც უნდა აკონტროლებდნენ თავიანთ საუბარს და ბავშვებს ფიქრისა და საუბრის საშუალებას აძლევდნენ (1).

მცირე ჯგუფებთან მუშაობისას კი უფროსებს უამრავი შესაძლებლობა აქვთ, რომ დააკვირდნენ და აქტიურად ჩართონ თითოეული ბავშვი. პატარა ჯგუფებში ბავშვებს შეუძლიათ გადაჭრან პრობლემა, სხვებთან თანამშრომლობით გააკეთონ პროექტი, ან დამოუკიდებლად იმუშაონ. პატარა ჯგუფები შეიძლება სხვადასხვა ზომის იყოს, მაგრამ ჩვეულებრივ სამი-ექვსი ბავშვისაგან შედგება. ჯგუფები შეიძლება საერთო ინტერესების ან საჭიროებების საფუძველზე ჩამოყალიბდეს, ან ამ ჯგუფში შეიძლება სხვადასხვა სიძლიერის ბავშვები ერთიანდებოდნენ, რათა ერთმანეთისგან სწავლა შეძლონ. პატარა ჯგუფის გარემოში აღმზრდელს უფრო მეტად შეუძლია ყურადღება დაუთმოს, დახმარება გაუწიოს და გამონვევები შეუქმნას ინდივიდუალურ ბავშვებს. მას შეუძლია ჯგუფში ახალი იდეები შეიტანოს, ასწავლოს მათ კონკრეტული უნარები, ჩაერიოს, სადაც საჭიროა და სწავლა დააჩქაროს მათთვის, ვინც მზადაა. პატარა ჯგუფების აქტივობები ტიპურად 10-20 წუთის განმავლობაში გრძელდება და დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეიძლება იყოს დაგეგმილი (1).

აღმზრდელს ასევე მუდმივად უნევთ გადაწყვეტილების მიღება, როდის მიჰყვინენ ბავშვის ინიციატივას და როდის აიღონ საკუთარ თავზე უფრო მეტად დირექტიული როლი, რადგან ამ აქტივობებს შორის ბალანსის დაცვა პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. უფროსის მიერ ინიცირებული და სტრუქტურირებული აქტივობები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ბავშვების მიერ ინიცირებული (3). ადრეული ასაკის ბავშვების შემთხვევაში ეს ბალანსი უფრო მეტად ბავშვის მიმართულებით უნდა იხრებოდეს (2). უფროსის მიერ სტრუქტურირებული სასწავლო გამოცდილება ხშირად ძალიან სასარგებლოა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტრუქტურირებული აქტივობები ზოგიერთი ბავშვისთვის პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, ყურადღების შენარჩუნება ჯგუფური აქტივობების დროს, ან ინფორმაციის აღქმის გაძნელება რეცეპტულ მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. მიუხედავად ამისა, უფროსის მიერ სტრუქტურირებული ინდივიდუალური და მცირე ჯგუფური აქტივობები კარგი საშუალებაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისთვის ისეთი უნარების სწავლებისა და განვითარებისთვის, რაც სხვა ბავშვებში სპონტანურად ვითარდება. არასტრუქტურირებული თამაშები კი მეგობრული ურთიერთობების დამყარების საუკეთესო საშუალებაა (3).

გადასვლები (ტრანზიციები)

ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლის დრო ის პერიოდია, როდესაც ბავშვები უფრო მეტად ავლენენ ქცევით სირთულეებს. შესაბამისად, გადასვლის პროცესი ორგანიზებული, ეფექტურად დაგეგმილი უნდა იყოს და სწავლის დამატებით შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს. გადასვლის პერიოდებია მოსვლა, ცენტრებში გადანაწილება, ეზოში თამაშისთვის მზადება, ჭამის/ძილის დრო, შინ წასვლა. ქცევითი პრობლემები მოსალოდნელია, როდესაც გადასვლები ძალიან ბევრია, როდესაც ყველა ბავშვის გადასვლა ერთდროული და ერთნაირია, როდესაც ხანგრძლივია და ბავშვები ძალიან დიდ დროს უსაქმოდ ატარებენ ლოდინში. და ბოლოს, როდესაც არ არის ქმედითი მითითებები და ბავშვებმა არ იციან რას უნდა ელოდონ გადასვლისგან (4). ზოგიერთ ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს გადასვლა სპეციალური საჭიროებების: კომუნიკაციური, სოციალური, ემოციური ან კოგნიტური უნარების გამო, მაგალითად, ცვლილებები რთულია აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის. ზოგიერთ ბავშვს უფრო დიდი დრო სჭირდება მითითების გადასამუშავებლად. ზოგიერთი ბავშვი ვერ იგებს, რას ითხოვს უფროსი მისგან ასეთ სიტუაციებში. დაუმორჩილებლობის გამო, უფროსებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ ბავშვს ქცევითი სირთულეები აქვს, ნაცვლად იმისა, რომ გაიაზროს თუ დამატებით რა სჭირდება ბავშვს (გადასვლების სწავლება, სპეციალური მინიშნებების მოფიქრება) მითითებების გასაგებად (4).

აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის მთავარი პრინციპია, რომ ბავშვები თავისი ინდივიდუალური ტემპით გადაერთონ ერთიდან მეორე საქმეზე. 'რბილი გადასვლა' კარგად შედგენილი გეგმის ნაწილი უნდა იყოს. სსსმ ბავშვებს შეიძლება მეტი დრო დასჭირდეთ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად, ან ერთი სივრციიდან მეორეში გადასადგინებლად. მნიშვნელოვანია ამ გარემოებების გათვალისწინება ტრანზიციების მოფიქრებისას და ბუნებრივია, დახმარება გადასვლებისას (3).

არსებობს ზოგადი რეკომენდაციები გადასვლების ორგანიზებისთვის:

- დღის გეგმა ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ მინიმუმამდე იყოს გადასვლები, იშვიათად იყვნენ ბავშვები უსაქმოდ და მაქსიმალურად ჩართულები განვითარების შესაბამის აქტივობებში.
- ნაკლები დრო უნდა დაეთმოს დიდ ჯგუფურ აქტივობებს
- ცენტრებში ყოფნის დრო უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს
- გადასვლების პერიოდებზე დაკვირვებით მიღებულ ინფორმაციას უნდა ეფუძნებოდეს გადასვლის გეგმა. გადასვლის გეგმაში უნდა გათვალისწინებული იყოს რომელი უფროსი რას აკეთებს როგორც გადასვლამდე, ასევე გადასვლის დროს და რომელ ბავშვს სჭირდება ინდივიდუალური დახმარება.
- გადასვლებისთვის სიმღერების და თამაშების მოფიქრება. სიმღერებით და თამაშებით გადასვლა ბავშვებს 'რბილად' გადასვლაში ეხმარება და ახალ უნარებს უნვითარებს. ასეთია დალაგების სიმღერის გამოყენება ყოველი დალაგებისას, ლოდინისას მარტივი თამაში 'ჩავდგეთ რიგში და ვიმოძრაოთ ხაზზე როგორც მატარებელი'.
- ბავშვებმა უნდა დაისწავლონ გადასვლებთან რა ქმედებები და პროცედურებია დაკავშირებული. უფროსმა ამის მაგალითი ბევრჯერ უნდა აჩვენოს. ერთერთი გზაა გადასვლის ეტაპების სურათებით ჩვენება, ჯგუფური მუშაობისას მისი გამეორება როლური თამაშით და გადასვლებისას სურათების გამოყენება.
- გადასვლამდე 5-10 წუთით ადრე გაფრთხილება.
- თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიების გამოყენების მიუხედავად, ზოგიერთი ბავშვი ისევ ავლენს რთულ ქცევას გადასვლების დროს, მაშინ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება. მთავარი კითხვა ამ დროს არის, თუ რა ახალი უნარი უნდა ვასწავლო ბავშვს და მე რა რეაგირება უნდა მოვახდინო მის რთულ ქცევაზე (4).

აღმზრდელის სტრატეგიები

აქტივობების, სწავლების პროცესის მორგება და მოდიფიკაცია აღმზრდელის ერთერთი მთავარი სტრატეგიაა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობისას. აღმზრდელმა შეიძლება ისე დაგეგმოს მოდიფიკაციები, რომ მასალები და აქტივობები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ბავშვებისთვის, ან უზრუნველყოს დახმარების ინდივიდუალური გზები. სწორედ ეს არის ინდივიდუალიზაცია, როდესაც აღმზრდელი არ ფიქრობს აქტივობებზე ყველა ბავშვისთვის, არამედ ამ აქტივობების ფარგლებში ფიქრობს თითოეულ ბავშვზე (2).

შესაძლებელია სპეციალური ფორმების შექმნა ინდივიდუალური ცვლილებების ჩანაწერებისთვის, რომელსაც გამოიყენებთ როგორც სსსმ, ასევე ტიპური განვითარების ბავშვებთანაც.

ბავშვების გაცნობის შემდეგ, უფროსმა ინდივიდუალიზაციის უზრუნველსაყოფად, შემდეგ კითხვებს უნდა გასცეს პასუხი:

- წარმოდგენილია თუ არა ისეთი მასალები, რომელსაც ბავშვი ხშირად ირჩევს.
- შეესაბამება თუ არა მასალები ბავშვის შესაძლებლობებს.

- როდის და რომელ მასალებთან დაკავშირებით საჭიროებს დახმარებას.
- თავს არიდებს თუ არა ამა თუ იმ მასალის გამოყენებას? რატომ?
- სჭირდება თუ არა იმ მასალებს ისეთი უნარების გამოყენება, რომელსაც ის ჯერ არ დაუფლებია? (2)

ბავშვის თავისებურებების, მისი სწავლისადმი დამოკიდებულების ცოდნა უფროსის მიერ განსახორციელებელ მოდიფიკაციებს განსაზღვრავს. ინდივიდუალიზაცია, მოდიფიკაცია ანუ მორგება გულისხმობს:

- ბავშვისთვის ისეთი მასალების შეთავაზებას, სადაც წარმატების განცდა მეტი ექნება
- ზომიერად რთული მასალების შეთავაზება გამონევეების შესაქმნელად
- სხვა ბავშვებთან თამაშსა და კომუნიკაციაში დახმარება
- ემოციების გამოსახატავად სიტყვების გამოყენება
- ურთიერთობის, საუბრის, ფრაზების მოდელირება
- კონკრეტული ბავშვების დაწყვილება, დაჯგუფება ერთმანეთის დახმარების და ხელშეწყობის მიზნით
- ახალი მასალების შეთავაზება
- ბავშვთან საუბარში ჩართვა, მისთვის კითხვების დასმა მეტი კვლევისთვის
- ბავშვის სენსო-მოტორულ რეაქციებზე შესაბამისი რეაგირება (მაგალითად, არ დააძალოთ ნაკლებად მონდომებულ ბავშვს, დახატოს თითებით. ამის ნაცვლად, მიეცით მას ჩხირები, რომლითაც დახატავს)
- ქცევითი სირთულეების თავიდან არიდება წინასწარ განჭვრეტით (მაგალითად, დილის წრის დროს გვერდით მიჯდომა, ზურგზე მოფერება, ან კალთაში ჩაჯდომის შეთავაზება კომფორტისა და თვითკონტროლისთვის)
- რთული სიტუაციების გამკლავებაში დახმარება (2).

არსებობს ინდივიდუალიზაციის განხორციელების ორი გზა. პირველი, დაგეგმვა და მოდიფიკაცია ბავშვის განვითარების უახლოესი ზონის გათვალისწინებით, რათა მაქსიმალურად მოხდეს ბავშვის განვითარების ხელშეწყობა. და მეორე, აქტივობების დაგეგმვა ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი ტიპის დაგეგმვის კონკრეტულ გზებს ადრეული განათლების ბევრი კურიკულუმი გთავაზობს. ესეთებია პროექტის მიდგომა, ემერჯენტული კურიკულუმი, რეჯიო ემილია (2).

პრაქტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია უფროსის როლი, კერძოდ დაკვირვებასთან ერთად როგორ იყენებს იგი სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას თითოეულ ბავშვთან, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან და მთელ ჯგუფთან ურთიერთობისას. ყველა აქტივობა, ბავშვის მიერ არის ინიცირებული თუ უფროსის მიერ მართული, საჭიროებს უფროსის ჩართულობას. აღმზრდელის ჩართულობა ბავშვებთან სხვადასხვა სახის ურთიერთობით, სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით და სხვადასხვა ხარისხით უნდა ხორციელდებოდეს. ამისათვის პირველ რიგში უნდა დააკვირდეთ რას აკეთებენ ბავშვები, წაახალისოთ მათი ძალისხმევა და გამიზნულად ჩაერიოთ დამატებითი სწავლის ხელშეწყობის მიზნით (5).

კონკრეტული სტრატეგიები, რომელსაც აღმზრდელ-პედაგოგები და აღმზრდელები იყენებენ, დეტალურადაა შემდგომ თავებში მოცემული.

გამოყენებული რესურსები:

1. გესტვიკი, კ. (2013). განვითარების შესაბამისის პრაქტიკა: კურიკულუმი და განვითარება ადრეულ განათლებაში
2. გრონლუნდი, გ. (2012). დაგეგმვა თამაშის, დაკვირვებისა და სწავლისთვის. სკოლამდელ დაწესებულებებსა და წინასასკოლო ჯგუფებში.
3. დანიელსი, ე.რ. სტეფორდი, ქ. (2004) შევქმნათ ინკლუზიური კლასები. ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა.
4. ჰემეტერი, მ.ლ. ოსტროსკი, მ. მ. არტმენი, კ. მ. და კინდერი, კ. ა. (2008). გადასვლა აქტივობიდან აქტივობაზე
5. კრეატიული კურიკულუმი საბავშვო ბაღებისთვის. ნაწილი 1. თავი 4 'მასწავლებლის როლი'
6. Council of Educational Facility Planners, International. (2006). *Learning to learn: Pre-kindergarten-kindergarten design implications*. Scottsdale, AZ: Johnson, K.
7. White, R. (2004). Adults are from earth; Children are from the moon: Designing for children: A complex challenge. Retrieved August 27, 2007, from <http://www.whitehutchison.com/children/articles/earthmoon.shtml>.
8. Olds, A. R. (2001). *Child care design guide*. New York: McGraw Hill Book Company
9. Shaw, J. (2010). *The Building Blocks of Designing Early Childhood Educational Environments*. Kansas State University. Full report: www.kon.org/urc/v9/shaw.html.
10. Kruse, K., & McGowan, M., (Eds.). (2004). *Interior graphic standards: Student edition*. Hoboken, New Jersey: John Wiley & Sons, Inc.

სოციალური და ემოციური მხარდაჭერი გარემო

ადრეული განათლების სპეციალისტების ერთ-ერთი უმთავრესი პასუხისმგებლობა დადებითი სოციალური და ემოციური გარემოს შექმნაა. ასეთი გარემო გულისხმობს არა მხოლოდ ინკლუზიურობას, არამედ სოციალური და ემოციური კომპეტენციების პროაქტულ და მიზანმიმართულ განვითარებას (3).

სოციალური იდენტობა, ანუ წარმოდგენები საკუთარ თავზე სქესთან, ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებთან მიმართებაში, ადრეული ასაკიდან ყალიბდება. მასზე გავლენას გარემოდან, სხვებისგან მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი მესიჯები ახდენს, სადაც ოჯახი ინფორმაციის პირველწყაროს წარმოადგენს, ხოლო ბაღი, მეგობრები, მედია - დამატებით, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანს. ასეთი მესიჯებია: „ბიჭები არ ტირიან“, „გოგო ხომ არ ხარ, ამით რომ თამაშობ“. არაპირდაპირი მესიჯია, როდესაც გარემოში მრავალგვარობის და მრავალფეროვნების სიმწირეა, როდესაც ბავშვებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, გაიფართოვონ თვალსაწიერი განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობით. ბავშვები მთავარ მესიჯს, თუ ვინ არის მნიშვნელოვანი და ვინ არა, სოციალური გარემოდან იღებენ. თუ უფროსი ცალსახად და აშკარად აკრიტიკებს და ფსიქოლოგიურ დისტანცირებას ახდენს ზოგიერთი ბავშვის მიმართ მისი ქცევის, შესაძლებლობების, ეთნიკური, რელიგიური წარმომავლობის ან სხვა მიზეზის გამო, სხვა ბავშვები ამას აუცილებლად ამჩნევენ და რეაგირებენ. დისკრიმინაციის შემთხვევები უმცროსი ასაკის ბავშვების ემოციურ მესხიერებაში იბეჭდება, რაც შემდგომში მათი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას განაპირობებს (5).

რითი ხასიათდება და რა სარგებლობა მოაქვს დადებით სოციალურ და ემოციურ გარემოს

ბავშვები დაინტერესებულნი არიან გარემოთი, ურთიერთობებით, სწავლით. თავისუფლად გამოხატავენ ინტერესებს, საჭიროებებს. შეუძლიათ, მოსინჯონ ახალი საქმიანობები, რადგან არ ეშინიათ შეცდომების, კრიტიკის. თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ აზრებს, დამოკიდებულებებს. უარყოფით ემოციებს ისეთი ფორმით გამოხატავენ, რაც საფრთხეს არ უქმნის სხვის როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ კეთილდღეობას.

ყველა თავს გრძნობს ჯგუფის წევრად. განსხვავებული აზრი, მრავალგვარობა პატივცემულია.

არსებობს ემოციური კავშირი (მიჯაჭვულობა) უფროსებთან. ბავშვებს ყავთ მეგობრები ჯგუფში. თამაშობენ ჯგუფში, კონფლიქტებს წყვეტენ მოლაპარაკებების გზით (2).

ასეთ გარემოში თითოეული ბავშვი თავს ემოციურად უსაფრთხოდ გრძნობს, რაც ხელს უწყობს მისი პოტენციის მაქსიმალურ გამოვლენას.

დადებითი ურთიერთობები

უფროსსა და ბავშვებს შორის დადებითი ურთიერთობები სწავლისა და განვითარების მყარ საფუძველს ქმნის. ხშირად ჰკითხეთ საკუთარ თავს: რას ვაკეთებ იმისათვის, რომ ბავშვებს ჩემთან დადებითი მიჯაჭვულობა ჩამოუყალიბდეთ; ვქმნი თუ არა ემოციურად უსაფრთხო, შეფასებებისგან თავისუფალ გარემოს, რაც სწავლისა და კვლევის მნიშვნელოვანი პირობაა; და ბოლოს, როგორ ვეხმარები ბავშვებს საკუთარ თავზე, შესაძლებლობებზე და კომპეტენციებზე სწორი, დადებითი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. ეს ის სამი მთავარი საკითხია, რაზეც უფროსი, პირველ რიგში, ბავშვებთან ურთიერთობისას უნდა ზრუნავდეს. ადრეული ასაკი მოწყვლადი პერიოდია, სადაც ემოციური

კეთილდღეობა და შემდგომ უკვე სწავლა და განვითარება, ძირითადად უფროსებთან ურთიერთობით არის განპირობებული. ბავშვებს ძალიან ხანმოკლე წარსული გამოცდილება აქვთ, ისინი არ მოდიან თავის თავზე უკვე დაგროვილი პირადი გამოცდილებით და მყარი წარმოდგენებით, შესაბამისად, ყოველი თქვენი ამჟამინდელი ურთიერთობა პირდაპირ აისახება მათ წარმოდგენებზე, საკუთარ თავსა და შესაძლებლობებზე. თქვენი დამოკიდებულება პირდაპირი მესიჯია ბავშვისთვის. პასუხი კითხვაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ამისათვის, შემდეგია - ყველაფერი რაც ბავშვს თავის თავზე ასე აფიქრებინებს:

- ვუყვარვარ, ესე იგი სიყვარულს ვიმსახურებ
- პატივს მცემენ, ესე იგი პატივსაცემი ვარ
- ვხედავ ჩემ შესაძლებლობებს
- არ მეშინია არჩევანის, დამოუკიდებლად რაიმეს კეთების, კვლევის. თუ დახმარება დამჭირდა, დამეხმარებიან
- შეცდომები მისაღებია, ამისთვის არ მკიცხავენ
- შეცდომები ჩემი სწავლის და განვითარების შესაძლებლობაა

პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა, თითოეული ბავშვის მიმღებლობა, დადებით ემოციურ ატმოსფეროს ქმნის ჯგუფში. ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ ყურადღება, აღიარება და მიკუთვნებულობის განცდა. უგულვებელყოფილი ბავშვი თავს ისე გრძნობს, თითქოს ვერ ამჩნევენ. ხშირად ცუდი ქცევა იმის მცდელობაა, რომ როგორღაც შეამჩნიონ. ბავშვი, რომელსაც უფროსთან მიჯაჭვულობა არა აქვს, თანდათან გაუცხოებული, დაუმორჩილებელი ან გარიყული შეიძლება გახდეს. რაც უფრო დარწმუნებულია ბავშვი, რომ ჯგუფის წევრად აღიარებენ, მით უფრო თავდაჯერებული და კომუნიკაბელურია. ბავშვის მიღწევების, ინტერესების, შესაძლებლობების და ძლიერი მხარეების ცოდნა მნიშვნელოვანია, ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი - თითოეულ ბავშვთან ამაზე საუბარი, ხშირი აღნიშვნა და უკუკავშირია. ბავშვებთან ყოველდღიური ურთიერთობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს საერთო ინსტრუქციებით და მითითებებით. თუნდაც ძალიან მცირეხნიანი, ყოველდღიური ინდივიდუალური ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია (2). უფროსის მხრიდან ბავშვის მიმართ ყურადღება და აღიარება, გულისყურით მოსმენაში ვლინდება.

უფროსი ბავშვს ყურადღებით უსმენს, თუ:

- ამყარებს თვალთ კონტაქტს
- საუბრისას იყენებს არავერბალურ ჟესტებს: შესაბამის დროს თავს უქნევს, უღიმის, ეხება
- სათანადო რეაგირებით სტიმულს აძლევს ბავშვს, განაგრძოს საუბარი
- მოთმინებით ელოდება ბავშვს, დაასრულოს სათქმელი; არ ერევა საუბარში და მის ნაცვლად არ ასრულებს წინადადებას (1)

როცა უფროსები ბავშვებს აქტიურად, გულისყურით უსმენენ, ბავშვებს თავდაჯერებულობა ემატებათ - ისინი იმდენად მნიშვნელოვანი ადამიანები არიან, რომ უფროსები მათ უსმენენ. ასეთი მაგალითები ბავშვებს სხვების მოსმენას ასწავლის. უფროსს კი ეხმარება, გაიგონოს, გაიგოს და ადეკვატური რეაგირება მოახდინოს ბავშვების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე (1).

პოზიტიური კომუნიკაცია არ გამოირიცხავს უფროსის მხრიდან სიმტკიცეს და სწორ რეაგირებას არასასურველი ქცევის მიმართ. ასეთი ეფექტური და მტკიცე კომუნიკაცია დეტალურადაა აღწერილი დ. მილერის ნიგში 'ბავშვის პოზიტიური გაძლოა'. მტკიცე კომუნიკაციის მახასიათებლებია:

სიმარტივე: ბავშვებს დრო სჭირდებათ, რომ უფროსების რთული ენა გაიგონ. ამიტომ, მოკლე და კონკრეტული წინადადებებით ესაუბრეთ.

გულწრფელობა: ბავშვები სწრაფად ხვდებიან, როცა უფროსები ერთს ამბობენ და მეორეს გულისხმობენ. ამით ბავშვები მხოლოდ იმას სწავლობენ, რომ უფროსების ნათქვამს შეიძლება არ ენდო. მიუღებელია ბავშვებისთვის ტყუილის თქმა ან მოტყუებით დათანხმება. მათ გულწრფელად უნდა ვუთხრათ, როცა, მაგალითად, მშობელი მიდის. არა აქვს მნიშვნელობა, ამის გამო იტირებს, თუ არა. მონყენა ბუნებრივი და ჯანსაღი რეაქციაა, ტყუილში ყოფნა კი - არა.

პირდაპირობა: შემპარავი ლაპარაკი უსარგებლოა. ასევე უარყოფითად მოქმედებს ნეგატიური საუბარი. იმის ნაცვლად, რომ ბავშვებს ვუთხრათ: „ბავშვებო, თქვენი ხელოვნების მაგიდა ძალიან არეულია“, სჯობს, დავავალოთ: „ბავშვებო, აიღეთ ქალაქის ნაჭრები და ნაგავში ჩაყარეთ, გმადლობთ. ახლა აიღეთ ტილო და გადანმინდეთ მაგიდა“. იმის მაგივრად, რომ ბავშვებს შენიშვნა მივცეთ: „არ იხმაუროთ“, უნდა ვუთხრათ: „ფრთხილად იარეთ და ხმადაბლა ილაპარაკეთ“. ბავშვებთან კომუნიკაციისას გამოყენებული სიტყვები ზუსტად უნდა გამოხატავდეს მათ მნიშვნელობას.

დელიკატურობა: ურთიერთობაში ძალიან მნიშვნელოვანია ტაქტის ქონა და გულწრფელობა. მაგ. ტაქტიანი ნათქვამია „შენი ჭიქა შეიძლება მაგიდიდან გადმოვარდეს. გთხოვ, მისნიე. მადლობა“. უტაქტო ნათქვამია: „რა უყურადღებო ხარ, ჭიქას გადმოვადებ“.

დაკონკრეტება: აბსტრაქტული ცნებები, როგორცაა მაგ. „კარგი“ ან „ცუდი“, შეიძლება დამაბნეველი იყოს ბავშვებისათვის. იმის მტკიცებამ, რომ ტყუილი ცუდია, ბავშვს შეიძლება აფიქრებინოს, რომ ცუდი ადამიანია. უფრო კონკრეტული იქნება, ვთქვათ, ასეთი ფრაზა: „ტყუილს თუ იტყვი, შეიძლება სხვა ადამიანები აღარ გენდონ. რაც არ უნდა თქვა, აღარ დაგიჯერებენ“.

პატივისცემა: ბავშვების მიმართ პატივისცემა მათი ღირსებისა და უფლებების აღიარებასა და დაცვაში გამოიხატება. თავაზიანი უფროსები ბავშვებს წესებს გაბრაზების, დამცირების, შერცხვენის ან ძალადობის გარეშე უდგენენ. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ბავშვის ქცევის გამოსწორებაზე და არა მის დასჯაზე.

ოპტიმიზმი: თავდაჯერებულ უფროსთან ურთიერთობაში ბავშვი სწავლობს, რომ პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია.

მოქნილობა: ბავშვებთან თანამიმდევრულობაა საჭირო, რომ გაიგონ, რას ველით მათგან. თუმცა, ეს არ ეწინააღმდეგება მოქნილობას. მნიშვნელოვანია მათ შორის ბალანსის მოძებნა. ბავშვის ქცევის ეფექტური, თავდაჯერებული მართვისათვის საჭიროა, უფროსები თანამიმდევრულები იყვნენ და, იმავდროულად, იმდენად მოქნილები, რამდენადაც საჭიროა, რომ დისციპლინა ჰუმანური და ჭკვიანური იყოს.

ნდობა: ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან სახის გამომეტყველების, ინტონაციის, სხეულის პოზის, არავერბალური მინიშნებების მიმართ. როდესაც უფროსს არ სჯერა, რომ ბავშვი თხოვნას შეუსრულებს, ამ დამოკიდებულებას ბავშვი უფროსის ქცევაში კითხულობს. ნდობა კი საგრძობლად ზრდის მისაღები ქცევის ხდომილებას.

შეუპოვრობა: დასჯა, მუქარა ან დაშინება სწრაფ ზედაპირულ შედეგს გვაძლევს, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უარყოფითი შედეგების მომტანია. მტკიცებითი კომუნიკაცია ყოველთვის ვერ გვაძლევს მყისიერ შედეგს, მაგრამ თანამიმდევრულობა პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალებაა. თუ ბავშვებს საშუალებას მისცემთ, გაიგონ, თქვენს ნათქვამში რეალურად რა იგულისხმება და თანამიმდევრულად გაუმეორებთ, რას ელით მისგან, საბოლოოდ შედეგს მიიღებთ (1).

სოციალურ-ემოციური კომპეტენციის ხელშეწყობა მთელ ჯგუფში

ბავშვების უმეტესობას, სოციალური და ემოციური კომპეტენციის გასაზრდელად, მხარდაჭერი და მიზანმიმართული სწავლება სჭირდება. ბავშვები დიდ დროს ატარებენ ბალებში, რაც ბალის თანამშრომლებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, დაეხმარონ მათ, გახდნენ ემოციურად და სოციალურად კომპეტენტურები. ბავშვების სოციალური ურთიერთობების მართვა და ემოციური განვითარება უფროსის ქცევით, დამოკიდებულებებით, ქმედებებითა და სიტყვებით არის შესაძლებელი. თუმცა, ადრეულ ასაკში ბავშვები თანატოლებთან ურთიერთობით კიდევ უფრო მეტს სწავლობენ (3).

რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს თავიანთ თანატოლებთან სრულიად განსხვავებული ურთიერთობა აქვთ. მათი სოციალური ურთიერთობები ხშირად ხანმოკლე, ნეგატიური და დესტრუქციულია. რადგან სოციალური და ემოციური უნარები სათანადოდ არა აქვთ განვითარებული, უძნელდებათ თავიანთი ემოციების მართვა, რის გამოც ხშირად უარყოფილები და გარიყულები არიან და არ ეძლევათ საჭირო უნარების შეძენის შესაძლებლობა. გარიყულობის გამო სხვა ბავშვებთან ურთიერთობის მწირი გამოცდილება აქვთ მორცხვ ბავშვებს, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი სოციალური უნარების განვითარებას უშლის ხელს. თამაშის ინიცირების და ურთიერთობებზე რეაგირების პრობლემები აქვთ ტრავმა გადატანილ ბავშვებსაც. ბავშვები უკეთესად სწავლობენ, როდესაც თანატოლებთან ერთად არიან. სასურველია სოციალური და ემოციური განვითარებისთვის საჭირო უნარების სწავლება მთელი ჯგუფისთვის. ამით ყველა ბავშვი მოგებული რჩება. არავინ არის გარიყული ან გამორჩეული. ყველა სწავლობს ერთსა და იმავე ცნებებს და ლექსიკას, რაც ბევრად ამარტივებს დღის განმავლობაში უნარების მოდელირებას, გამოყენებასა და განმტკიცებას. ამ ტიპის უნივერსალური ინტერვენცია და სწავლება, ბავშვების უმეტესობისთვის, + წარმატებულია. მხოლოდ რამდენიმე ბავშვს შეიძლება დასჭირდეს ინტენსიური ინტერვენცია, რომელიც შეიძლება მიზანმიმართულად პატარა ჯგუფზე იქნეს გამოყენებული ან ინდივიდუალური. ამ საკითხებს ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ (3).

სოციალურ-ემოციური სწავლება გულისხმობს ისეთი უნარების განვითარებას, რაც გადამწყვეტია ემოციების გაცნობიერებასა და მართვაში, ურთიერთობებში, ინტერპერსონალური პრობლემების გადაჭრასა და სოციალურად ეფექტური და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში (5).

ცხრილი 1. ხუთ კომპეტენციასთან დაკავშირებული სოციალურ-ემოციური უნარები³

სოციალურ-ემოციური კომპეტენცია	კომპეტენციასთან დაკავშირებული სასწავლო უნარები
თვითცნობიერება	<ul style="list-style-type: none"> საკუთარი და სხვისი ემოციების ცნობა და სახელდება საკუთარი ემოციების გამომწვევი მიზეზების დადგენა ემოციების და მათი სხვებზე ზემოქმედების ანალიზი საკუთარი ძლიერი მხარეებისა და შეზღუდვების სწორად გააზრება საკუთარი საჭიროებებისა და ღირებულებების იდენტიფიცირება თვითეფექტურობისა და თვითპატივისცემის ფლობა
თვითმართვა	<ul style="list-style-type: none"> გეგმების დასახვა და მიზნებზე მუშაობა დაბრკოლებების გადალახვა და სტრატეგიების შემუშავება შორეული მიზნების მისაღწევად პიროვნული და აკადემიური უახლოესი და შორეული მიზნებისკენ პროგრესის მონიტორინგი ემოციების, იმპულსების, აგრესიის და თვით-დესტრუქციული ქცევის რეგულირება პიროვნული და ინტერპერსონალური სტრესის მართვა ყურადღების კონტროლი (სამუშაოს ოპტიმალურად შესასრულებლად) უკუკავშირის კონსტრუქციულად გამოყენება პოზიტიური მოტივაციის, იმედისა და ოპტიმიზმის გამოვლენა საჭიროების შემთხვევაში, დახმარების თხოვნა სიმტკიცის და შეუპოვრობის დემონსტრირება საკუთარი თავის ადვოკატირება

3 CASEL-ის შესაბამისად, არსებობს ხუთი არსებითი კომპეტენცია, რომელთა უნარების ფლობაც გადამწყვეტია წარმატებული ცხოვრებისა და კარიერისთვის (<http://www.casel.org/social-and-emotional-learning/core-competences>).

სოციალური ცნობიერება	<ul style="list-style-type: none"> • სოციალური მინიშნებების ცნობა (ვერბალური, ფიზიკური) იმის განსასაზღვრად, თუ რას გრძნობენ სხვები. • სხვისი განცდებისა და რეაქციების წინასწარ განჭვრეტა • სხვისი ემოციური რეაქციების შეფასება • სხვების პატივისცემა (ყურადღებით მოსმენა) • სხვისი შეხედულებებისა და პერსპექტივის გაგება • განსხვავებულობის დაფასება (ინდივიდუალური და ჯგუფური განსხვავებულობებისა და მსგავსებების ცნობა) • ოჯახის, ბაღი/სკოლის და თემის რესურსების გამოყენება
ურთიერთობის მართვა	<ul style="list-style-type: none"> • მეგობრული დამოკიდებულების (უნარი, რომ შეგიძლია მეგობრების შექმნა) დემონსტრირება • კოოპერატიული სწავლების და გუნდური მუშაობის (საერთო მიზნისკენ სწრაფვის) დემონსტრირება • საკუთარი კომუნიკაციური უნარების შეფასება • ურთიერთობაში ემოციების გამოხატვა და მართვა, განსხვავებული შეხედულების პატივისცემა • ეფექტური კომუნიკაცია • ურთიერთობის დამყარება და შენარჩუნება მათთან, ვინც საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი რესურსი იქნება • დახმარება მათი, ვისაც ეს სჭირდება • ლიდერობის უნარების დემონსტრირება, ასერტულობა • ინტერპერსონალური კონფლიქტების პრევენცია, კონფლიქტის შემთხვევაში, მისი მართვა და გადანყვეტა • არასასურველი სოციალური ზენოლის მიმართ წინააღმდეგობის განევა

პასუხისმგებლური გადანყვეტილება	<ul style="list-style-type: none"> • თანატოლთა ზენოლის წინააღმდეგ სტრატეგიების განხილვა • იმის გააზრება, თუ როგორ გავლენას ახდენს ეხლანდელი არჩევანი მომავალზე • პრობლემის იდენტიფიცირება გადანყვეტისას და ალტერნატივების გენერირება • პრობლემის გადაჭრის უნარების ქმედებაში მოყვანა • თვითრეფლექსიის და თვითშეფასების უნარი • მორალურ, პიროვნულ და ეთიკურ სტანდარტებზე დამყარებული გადანყვეტილებების მიღება • პასუხისმგებლური გადანყვეტილებების მიღება • სამართლიანი მოლაპარაკება
--------------------------------	--

ბავშვების თანატოლებთან ინტეგრირების, ინკლუზიური გარემოს შექმნის და სოციალურ-ემოციური სწავლების მიზნით, უფროსი თანმიმდევრულად უნდა მუშაობდეს ბავშვებთან ისეთ უნარებზე, როგორცაა: ემოციური რეგულირება, ემპათია, იმპულსის კონტროლი, ბრაზის მართვა, სოციალური პრობლემების გადაჭრა და უკონფლიქტო კომუნიკაცია (3).

ემოციური რეგულირება, ემპათია.

გრძნობებზე საუბარი - მათი ამოცნობა, აღიარება, დასახელება და გათამაშება - ეხმარება ბავშვებს, ისწავლონ, როგორ განასხვავონ და გამოხატონ თავიანთი ემოციები. ეს ემოციური ცნობიერება სოციალური კომპეტენციებისა და ემოციური რეგულირების ფუნდამენტია და ამავე დროს ის ბავშვებს ძლიერი იარაღით ამარაგებს: გრძნობების ფიზიკურად გამოხატვის ნაცვლად, სიტყვების გამოყენებას ასწავლის (2,3).

ნებისმიერ დროს, როდესაც ბავშვებს ემოციები მოეჭარბებათ, კარგი იქნება მათი სახელდება და ბავშვებთან ერთად განხილვა. ჰკითხეთ ბავშვს, რას გრძნობს და შესთავაზეთ ერთი ან ორი ვარიანტი („იმითმაც ვაბრაზდი, რომ გიგამ სახანძრო მანქანა აიღო?“ „იმითმაც ხარ მოწყენილი, რომ არი იცი რა გააკეთო შემდეგ?“).

საყურადღებოა ბავშვის უარყოფითი ემოციების **აღიარება**. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მისი ყველა ემოცია მისაღებია და არა მისი გამოხატვის ყველა ფორმა. ემოციის აღიარებით, ბავშვს აჩვენებთ, რომ გესმით მისი. ასეთი მიდგომა ბავშვებს თავისი განცდების გაგებაში ეხმარება. მაგალითად, თუ ბავშვი გეუბნებათ: „არ მიყვარს გიო, იმიტომ, რომ კონსტრუქცია გამიფუჭა“, ნაცვლად განსჯისა: „მეგობრებზე ასეთ რაღაცეებს არ ამბობენ“, უთხარით: „შენ ბრაზობ გიოზე, რადგან ნამუშევარი გაგიფუჭა, რომელზეც ამდენი ხანი მუშაობდი“. იმის ჩვენება ბავშვისთვის, რომ ხედავთ და გესმით მისი, ზრდის თქვენს მიმართ ნდობას და უადვილებს ძლიერ უარყოფით ემოციებთან გამკლავებას.

გამოიყენეთ **არეკვლა**. განსჯის და დრამატიზების გარეშე, ნეიტრალურად იმის აღწერა თუ რას ხედავთ, ეხმარება ბავშვს, თავადაც დაინახოს და გააცნობიეროს საკუთარი ემოციური მდგომარეობა და მინიშნებები. მაგალითად, „ვხედავ, სათამაშოს ხელს მაგრად უჭერ, ნითლდები და ფეხებს გამეტებით ურტყამ იატაკს. ხომ არ ბრაზობ?“ (4)

ასევე, თუ ბავშვი გეუბნებათ: „ბავშვები არ მათამაშებენ“, იმის ნაცვლად, რომ გამზადებული ინსტრუქცია მისცეთ ბავშვებს, რომ ათამაშონ, დაეხმარეთ ამ კონკრეტულ ბავშვს, დაფიქრდეს, რას განიცდის. უთხარით: „შენ გწყინს, რომ არ გათამაშებენ“ და მას მერე შესთავაზეთ დახმარება, ან დაეხმარე, დაფიქრდეს, როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება (4).

მნიშვნელოვანია დადებითი ემოციების აღნიშვნაც: „ჩანს, შენ და ლევანს ეს ნიგნი ძალიან მოგეწონათ“, „ერთად თამაშით უფრო ხალისობთ, ვხედავ“.

დაეხმარეთ ბავშვებს, გაარკვიონ, რომელი სიტუაცია-რა ემოციას აღძრავს: „მონყენილი ხარ, რაკი ნიკა თამაშის საშუალებას არ გაძლევს?“ და ესაუბრეთ იმის შესახებ, რომ შესაძლებელია, სხვადასხვა ადამიანს, ერთსა და იმავე სიტუაციაში, განსხვავებული ემოცია გაუჩნდეს: „ელენე აღგზნებულია სასრილოდან დაშვებამდე, მარი - შეშინებული“. ბავშვები ემოციების გაცნობიერებას წარმოსახვითი თამაშებით, სხვებზე დაკვირვებით, სარკეში ყურებით, სხვადასხვა ემოციის გამომხატველი ადამიანების სურათების დათვალიერებით, კითხვების დასმით, რთულ სიტუაციებში უფროსის დახმარებით და საკუთარ თავთან საუბრით სწავლობენ (2,3).

საუკეთესო იარაღი, რომ ბავშვებმა თავიანთი ემოციები მართონ, ემპათიით მოსმენა და პასუხია. ამით თქვენ არა მხოლოდ ემოციურ მხარდაჭერას უცხადებთ, არამედ ეხმარებით გაუმკლავდეს თავის განცდებს და უძლიერებთ იმის რწმენას, რომ ემოციების გაკონტროლება შესაძლებელია. ასეთივე მესიჯს აგზავნით, როდესაც თქვენს ემოციებს გამოხატავთ (პოზიტიურს თუ ნეგატიურს).

ბავშვი სწავლობს, რომ ბუნებრივია, გქონდეს და მისაღებად გამოხატავდე ემოციებს და შეგეძლოს მათი მართვა. თუკი ეცოდინება, რომ საჭიროების შემთხვევაში, მის გვერდით იქნებით, მშვიდად და თავდაჯერებულად იგრძნობს თავს და შესაძლებელია, თვითონვე გაუმკლავდეს რთულ განცდებს და გაითვალისწინოს სხვისიც (2).

მას შემდეგ, რაც ბავშვები აღმოაჩინენ, რომ ყველა არ განიცდის იმას, რასაც თვითონ, და რომ ადამიანებს განსხვავებული განცდები შეიძლება ჰქონდეთ, სხვების ემოციების წინასწარ განჭვრეტას და ადეკვატურად რეაგირებას სწავლობენ. შესაბამისად, ბავშვები, რომლებსაც სხვისი გრძნობების წარმოდგენა შეუძლიათ, აგრესიული ქცევისკენ ნაკლებად არიან მიდრეკილნი. როდესაც ბავშვს შეუძლია, გაუგოს და თანაუგრძნოს თანატოლს, მეტად ეხმარება და ნაკლებად ბრაზობს და სწორად აფასებს ვითარებას და მის განზრახვებს. ბავშვებისათვის ემპათიის სწავლება ემოციების გაცნობიერებასა და სახელდების სტრატეგიითაა შესაძლებელი. აუხსენით ემოციის გამომწვევ ქმედებასა და ემოციურ შედეგს შორის კავშირი (“ანა ცუდ ხასიათზე დგება, შენ რომ არ ათამაშებ”), ნახალისეთ და განამტკიცეთ ემპათიის ნიშნები ჯგუფში და დაგეგმეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც ბავშვებს სხვისი აზრისა და განცდის დანახვა-გაზიარებაში განაფავს. როგორც ყველაფერს, სოციალური და ემოციური კომპეტენციის ჩამოყალიბებასაც სჭირდება დრო (3).

იმპულსის კონტროლი, ბრაზის მართვა

იმპულსების გაკონტროლებასთან არანაირ კავშირში არ არის წესების ან მათი დარღვევის შედეგების ცოდნა. იმ ბავშვების უმრავლესობას, რომლებსაც პრობლემური ქცევა აქვთ, განსაკუთრებით მათ, ვინც აწყვეტინებს და არ აცლის სხვებს საუბარს, შეუძლიათ გითხრან ყველაფერი წესების შესახებ და რატომ იყო მათი საქციელი შეუფერებელი. თუმცა, ეს ცოდნა მათ არაფერში ეხმარება, რადგან ისინი ვერ აკონტროლებენ იმპულსებს. ბავშვების უმრავლესობა თანდათან სწავლობს საკუთარი იმპულსების გაკონტროლებას, ზოგიერთისთვის კი, ეს პროცესი ბევრად რთულად მიმდინარეობს. იმპულსების გაკონტროლების სწავლა პრობლემური ქცევების პრევენციას უწყობს ხელს. ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, შეამჩნიონ, რას გრძნობენ თავად და სხვები.

ორიდან ხუთ წლამდე ის ასაკია, როდესაც ბავშვები იწყებენ თვითკონტროლის გამომუშავებას, რომელიც შემდეგს გულისხმობს:

- *იმედგაცრუების მოთმენა* (არ დაარტყა, როდესაც ვერ მიიღებ იმას, რაც გინდა);
- *ნებელობითი კონტროლი* (ქცევის შეკავება; გააკეთო რაიმე სხვა, სურვილის საწინააღმდეგოდ. მაგალითად, არ წაართვა სხვას შენთვის სასურველი სათამაშო, ან დაელოდო შენ ჯერს);
- *ქცევის გარემოსთან ადაპტირება* (ისაუბრო ხმადაბლა წიგნიერების ცენტრში).

სწავლების ერთ-ერთი გზაა - ისწავლონ გრძნობებისა და ქმედებების განსხვავება. როდესაც ბავშვი სწავლობს, როდის გრძნობს ბრაზს, ფრუსტრაციას, იმავდროულად, უნდა ისწავლოს, რომ ამ ემოციების ქონა იმის ნიშანია, რომ უნდა გაჩერდეს და დაფიქრდეს და არა იმისა, რომ იმოქმედოს. გრძნობების ამოცნობის სწავლების ნაწილია იმის დაშვებაც, რომ მისაღებია ნებისმიერი ემოციის განცდა და რომ მათი გამოხატვა არაძალადობრივად შეიძლება.

ასევე, აუცილებელია სიმშვიდის შენარჩუნება. წარმატებული სტრატეგიაა *საკუთარ თავთან საუბარი*. საკუთარი ქმედებების სამართავად ბავშვი ხმამაღლა (ან გულში) ლაპარაკობს. საკუთარ თავთან საუბარი ბავშვს ეხმარება გააცნობიეროს, რომ პასუხისმგებელია თავის ქმედებებზე (2, 3).

ზოგიერთი სოციალური და ემოციური უნარების სწავლების მოდელი ბავშვებს ასწავლის ბრაზის ან ფრუსტრაციისას საკუთარ თავს შეახსენოს: „შეჩერდი, დააკვირდი და მოუსმინე“. ხმამაღლა საუბრითა და აზრების გახმოვანებით უფროსებს მაგალითის მიცემა შეუძლიათ. ბავშვებმა ასევე შეიძლება ისწავლონ ღრმად სუნთქვა, ხუთამდე დათვლა ან სარელაქსაციო ვარჯიშები. სანამ ყოველივე ამას რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებენ, სასურველია, ბავშვებმა მშვიდ ვითარებაში ივარჯიშონ. ასევე, აღმზრდელსა და თანატოლებთან ერთად თოჯინებით გაითამაშონ პოტენციურად პროვოკაციული სიტუაციები. აუცილებლად გამოიყენეთ მინიშნებები, რეპლიკები და განმარტებები (2, 3).

იმპულსების მართვის სწავლებისას პრევენცია ძალიან მნიშვნელოვანია. როცა კარგად იცნობთ ბავშვს, ჩვეულებრივ, ეს პრობლემის გასაღებია. შეგიძლიათ განსაზღვროთ, როდის და სად შეიძლება აფეთქდეს. თუ თვალყურს ადევნებთ, მაგალითად ხედავთ, რომ სახის გამომეტყველება შეეცვალა, ან მუშტები შეკრა, შეახსენეთ წესები და მისაღები ქცევა; სანამ კონტროლს დაკარგავს, დაეხმარეთ, გაერკვეს თავის გრძნობებში, შეახსენეთ, თუ რა თქვას. ამით, იმ მინიშნებებსა და ინფორმაციას აწვდით, რაც საკუთარი თავის გაკონტროლებაში დაეხმარება. დაეხმარეთ და გაამხნევეთ, სანამ ეს საბოლოო მიზნის მიღწევამდე სჭირდება (3).

ბრაზი, ბავშვებსა და უფროსებში, საფრთხეში ყოფნის განცდითაა გამოწვეული. საფრთხე შეიძლება იყოს ან ფიზიკური, ან ემოციური. როდესაც შეურაცხყოფენ, უსამართლოდ გექცევიან ან ხელს გიშლიან მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევაში, გეუფლებათ განცდა, რომ თქვენი თვითშეფასება ან ღირსება საფრთხეშია. ამაზე სხეულის პირველი რეაქციაა საბრძოლველად ან გასაქცევად მომზადება. შემდეგ სხეული აღგზნებულ მდგომარეობაში რჩება და მზად არის, მეტი ბრაზით უპასუხოს ახალ თავდასხმას. პირველ პროვოკაციულ ინციდენტზე დაფიქრებაც კი, მაგ. ფიქრი- „ეს საშინლად მაგიჟებს!“ - იწვევს ბრაზის გამწვავებას. ეს ხსნის იმ ფაქტს, რომ ბრაზის ნებაზე მიშვება, არც ამშვიდებს ბავშვს და არც ასწავლის, როგორ მართოს ემოციები. პირიქით, ამან შეიძლება აგრესია გაზარდოს. პრობლემური ქცევის მქონე ბავშვის გარემო საფრთხეებითა და ბრაზის წყაროებით სავსეა, რადგან მას არ შეუძლია სოციალური ინფორმაციის სწორად გადამუშავება, არასწორად ესმის სხვათა ქმედებები და ამიტომაც, თანატოლებისგან ხშირად გარიყული, აქტივობიდან გამოთიშული ან გალიზიანებულია იმ საქმის გამო, რომლის გაკეთებაც უნევს. ხელი რომ შეუშალოთ ბრაზის ამოხეთქვას, სასურველია, ადრევე ჩაერიოთ, სანამ კიდევ შესაძლებელია მისი განელება. სწორედ ამას ასწავლიან ბავშვებს ბრაზის მართვისას (1, 2, 3).

ბავშვები ყველაზე კარგად მაშინ სწავლობენ, როდესაც მშვიდად არიან. როცა ბრაზობენ, ვერ გისმენენ და, ფაქტობრივად, საუბარი ამწვავებს კიდევ მათ აგრესიას. ამიტომ, წინასწარ დასახეთ სტრატეგია იმ სიტუაციებისთვის, რომელშიც ბავშვის ხასიათის ცვლილებაა მოსალოდნელი. მაგალითად, როდესაც ბავშვი არ/ვერ იღებს იმას, რაც უნდა, რაიმე ეტკინა ან გალიზიანებულია, ან სხვა ბავშვები ცდილობენ მის გამონეევას. პირველი საფეხურია, როცა საკუთარი სხეულიდან მომდინარე მინიშნებების მიმართ მგრძობიარე ხდები: ალენილი სახე, დაძაბული მუშტები, მოკუმული პირი, შეკრული შუბლი, გადაჯვარედინებული ხელები. ბავშვმა უნდა ისწავლოს ბრაზის გამოცნობა და დასახელება. უნდა გაიაზროს, რომ ეს ნორმალურია. არა უშავს, თუ ბრაზობს. რომ ემოცია, უსიამოვნოც კი, ბუნებრივი პასუხია მოვლენებზე და რომ მათი დასახელების, გაგებისა და მიღების სწავლა გადამწყვეტია მათი მართვისთვის. ბავშვებმა ასევე უნდა ისწავლონ, რომ გრძობები ნიშნებია, და რომ იყო გაბრაზებული, იმის ნიშანია, რომ გაჩერდე და დაფიქრდე, თუ რა მოიმოქმედო ამის შემდეგ (1, 2, 3).

როგორც კი ბავშვის ბრაზი გაკონტროლებულია, პრობლემის გადაჭრის დრო დგება. იმ მომენტში, როდესაც ბავშვს შეუძლია თქვას: „გაბრაზებული ვარ, ამიტომ და ამიტომ“, შესაძლებელია, უფროსის დახმარებით, პრობლემის გადასაჭრელად ვარიანტები მოიფიქროს.

სოციალური პრობლემის (კონფლიქტის) გადაჭრა

პრობლემის გადაჭრის უნარი ბავშვებს საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილონ აგრესია, საკუთარი თავი დაიცვან, აიმალონ კომპეტენციები და თვითშეფასება, ჰყავდეთ მეგობრები. ბავშვებს თქვენი, როგორც ხელის შემწყობის, დახმარება დასჭირდებათ და თქვენ უნდა დახარჯოთ დრო და ენერგია იმისთვის, რათა ბოლომდე გვერდში ედგეთ. მუდმივად უნდა გახსოვდეთ, რომ კონფლიქტი ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც სწავლებისა და სწავლისთვის საუკეთესო შესაძლებლობებს იძლევა. უფრო მოსალოდნელია, ბავშვებმა გამოსავლის ის ვარიანტები მიიღონ, რომლებიც თვითონ მოიფიქრეს (3).

ექსპერტების უმრავლესობა თანხმდება ხუთ ძირითად საფეხურზე (1, 3):

- პრობლემის დადგენა. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს საშუალება, გამოთქვას საკუთარი აზრი და განსაზღვროს პრობლემა ისე, როგორც ხედავს. ბოლოს, ბავშვებმა უნდა განსაზღვრონ პრობლემა, როგორც საერთო, ისე საკუთარი პერსპექტივიდან და შესაძლო გამოსავალი. „გიგამ ხელი მკრა“ და „ანა არ მაძლევს საშუალებას, მეც დავათვალიერო გამადიდებელი შუშით“ გვანვდის ფაქტებს, მაგრამ არ აღწერენ პრობლემას. როდესაც გიგა და ანა შეთანხმდებიან, რომ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ „ორივეს უნდა გამადიდებელ შუშაში ჩახედვა“, მაშინ მათ შეიძლება გამოსავლის ძიებაც დაიწყონ.
- გამოსავლის ბრენსტორმინგი (პრობლემის გადანყვეტის რაც შეიძლება მეტი ვარიანტის მოფიქრება). არჩევანის გაკეთების დროს სასურველია, გქონდეთ ვარიანტების გრძელი სია. როდესაც ბავშვების ყველა შემოთავაზებას განსჯის გარეშე მიუდგებით, თქვენ გააუმჯობესებთ ბავშვების აზროვნების უნარს. „ეს ერთი იდეაა, მეორე?“ - ეს ფრაზა ბავშვებს იდეების მოფიქრებაში დაეხმარება: „პირველად გიგამ დაათვალიეროს და ორივეს სამ-სამი წუთი გვექნება«, ან „იქნებ ერთად ჩაიხედოთ? ხომ არ მოვიფიქროთ, რას გააკეთებ, სანამ გიგა ათვალიერებს?“ შეახსენეთ ბავშვებს მსგავსი ტიპის პრობლემის გადასაჭრელად ადრე გამოყენებული მისაღები ვარიანტები და წააქეზეთ, იფიქრონ თავიანთ გადანყვეტებზე.
- გამოსავლის ვარიანტების შეფასება. ამ ეტაპზე არკვევთ, რამ შეიძლება იმუშაოს და რატომ. ეს არის პასუხი კითხვაზე - „რა შეიძლება მოხდეს, თუ ...“ და ის ბავშვებს ეხმარება, ისწავლონ იმაზე ფიქრი, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს შეთავაზებულ ქმედებას. ბავშვები უნდა შეთანხმდნენ ისეთ გამოსავალზე, რომელიც ყველას პერსპექტივას გაითვალისწინებს.
- ვარიანტის ამორჩევა და გამოცდა.
- შედეგის შეფასება. თუ პირველი გამოსავალი არ გაამართლებს, კიდევ ერთხელ გაიარეთ ეს საფეხურები (1).

იმის მიუხედავად, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ ამ ყველაფრის ერთბაშად შესწავლა, შეუძლიათ, ნელ-ნელა ისწავლონ თითოეული ეტაპის გამოყენება.

პრობლემის გადაჭრის სწავლების მაგალითი⁴

ეკა და რატი ხალიჩაზე პატარა კუბურებით თამაშობენ. ოთხი წლის რატი ისე ალაგებს კუბურებს ერთმანეთზე, რომ სამკედლიანი „ნაგებობა“ გამოდის. ეკა, რომელიც იქვე თამაშობს, რატის უყურებს და მისი მსგავსი „ნაგებობის“ შენებას იწყებს. ეკა სამ ნაწილად აწყობს კუბურებს, თითოეულის თავზე კი პლასტმასის დინოზავრებს სვამს და ეუბნება: „ახტი, პატარა ტი-რექს, აქ ახტი.“

სანამ ეკა დინოზავრებით თამაშობს, რატი პატარა მანქანებს აწყობს თავისი „ნაგებობის“ გარშემო. „ჩქარადინოზავრები მოდიან!“-ამბობს რატი. შემდეგ, მანქანას შენობის ერთ მხარეს აჯახებს, ისე, რომ შენობის ის ნაწილი ინგრევა. რატი და 3 წლის ჯაბა, რომელიც მას ამ ხნის განმავლობაში აკვირდებოდა, იცინიან. რატი ახალ ნაგებობას აშენებს, რომლის ერთი მხარეც ღიაა. იღებს კიდევ ერთ მოგრძო კუბურას, რომლითაც თავის ნაგებობას შესასვლელს უკეთებს. „ეს ფარეხია. ყველა ჩემი მანქანა შემოდის აქ დავმალე, რომ დინოზავრებმა ვერ იპოვონ.“ როცა „ფარეხის“ აშენებას ამთავრებს მუცელზე წვება და პატარა მანქანები შიგნით შეყავს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, როდესაც რატი ფარეხს აშენებდა და მანქანებს დინოზავრებისგან მალავდა, ჯაბა ღიმილით აკვირდებოდა მას. ახლა ჯაბა კალათიდან იღებს ორ მანქანას და ცდილობს რატის „ფარეხში“ შეიყვანოს. „არა! შენ არ შეგიძლია შეიყვანო შენი მანქანები ჩემს „ფარეხში“, ნადი და იპოვე შენი ადგილი!“ - ამბობს რატი და ჯაბას მანქანებს „ფარეხიდან“ ყრის. ჯაბას ღიმილი ტირილში გადასდის: „მეც მინდა, აქ ჩემთვისაც არის ადგილი!“ - ამბობს ჯაბა და რატის ხელს კრავს.

ამ დროს აღმზრდელი ბავშვებს აკვირდება. უყურებს, როგორ თამაშობენ კუბურების სივრცეში, როგორ ისახავენ და როგორ ახორციელებენ თავიანთ მიზნებს. როდესაც ჯაბა რატის განევას და ხელის კვრას იწყებს, აღმზრდელი მათ კონფლიქტის მოგვარებაში ეხმარება. ის ბავშვების სიმალღეზე იხრება, სთხოვს ჯაბას, შეწყვიტოს რატის განევა. როდესაც ბავშვები მშვიდდებიან, აღმზრდელი ორივე ბავშვს ხევეს მხრებზე ხელს და ძალიან მშვიდად ეკითხება, რა მოხდა. ჯაბა ხმამაღლა პასუხობს: „რატი არ მიშვებს, რომ ჩემი მანქანები აქ დავაყენო.“ აღმზრდელი პასუხობს: „ამის გამო გაბრაზებული ჩანხარ.“ შემდეგ რატის ეკითხება: „რატი, შენ რა გსურს?“

„ამან აქ არ უნდა დააყენოს თავისი მანქანები“- ამბობს წარბშეკრული რატი.

„არ გინდა, რომ შენი ფარეხი ჯაბას გაუზიარო?“- ეკითხება აღმზრდელი.

„ის მარტო ჩემთვისაა“- პასუხობს რატი.

„ჯაბა ძალიან იმედგაცრუებულია, რომ შენთან ერთად, შენ აშენებულ ფარეხში თამაში არ შეუძლია. უყურებდა, რა კარგად ერთობოდი შენი მანქანებით და ფარეხით. მასაც მოუნდა შენთან ერთად თამაში. რადგან „არა“ უთხარი, ძალიან დაღონდა და შეწუხდა“- ამბობს აღმზრდელი, თან ორივე ბავშვზე ხელი აქვს გადახვეული. „ხო, მე მინდოდა ჩემი მანქანების აქ დამალვა“- ამბობს შედარებით დამშვიდებული ჯაბა, მაგრამ ჯერ კიდევ აღელვებული ხმით. „ესე იგი პრობლემა გვაქვს, რატომ ააშენა ფარეხი და არ უნდა, რომ ჯაბამ თავისი მანქანები იქ შეიყვანოს. ჯაბას კი ძალიან უნდა, თავისი მანქანები რატის ფარეხში დააყენოს. რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ ორივემ კარგად იგრძნოს თავი?“ „ჯაბას შეუძლია თავისი მანქანები იქ დააყენოს“- ამბობს რატი და მოშორებულ ადგილზე მიუთითებს. „არა!“- ამბობს ჯაბა.

ამ ჯგუფთან- პრობლემების გადაჭრის საკითხებზე- აღმზრდელი დიდი ხანია მუშაობს. ის ჯაბას ეკითხება: „ჯაბა, შეგიძლია ისეთი გამოსავალი მოიფიქრო, რომ ორივემ, შენც და რატიმაც თავი კარგად იგრძნოს?“

„რატის შეუძლია, ჩემი ფარეხის აშენებაში დამეხმაროს.“- იმედიანად ამბობს ჯაბა,- „მაგრამ კუბურები აღარ დარჩა.“ ეკამ, რომელიც ამ დროის განმავლობაში მათ საუბარს ისმენდა, ჯაბას მანქანების დინოზავრების კოშკში დაყენება შესთავაზა. „ზრდილობიანად უნდა გეთხოვა“- ეუბნება რატი ჯაბას. ეკა მხრებს იჩნება და თავის თამაშს უბრუნდება. „მადლობა, ეკა, ჯაბას შენს კოშკში მანქანების დაყენება რომ შესთავაზე“- ეუბნება აღმზრდელი, უღიმის და შემდეგ რატის ეკითხება: „შენ იმიტომ გაბრაზდი, რომ ჯაბამ დაუკითხავად დაიწყო თავისი მანქანების დაყენება შენს ფარეხში?“ „ხო“- ამბობს რატი, მისი ხმა ჯერ კიდევ მკაცრია, მაგრამ გაბრაზებულად აღარ ჟღერს: „ჯაბა, ჯერ უნდა მკითხო და მერე შეგიძლია, დააყენო შენი მანქანები ჩემს ფარეხში.“

„შეიძლება, დავაყენო ჩემი მანქანები ფარეხში, რატი?“ - ეკითხება ჯაბა და სწრაფად დგება რატის წინ. „კარგი“- ამბობს რატი და ორივენი მუცელზე წვებიან, რათა სანამ დინოზავრები მოვლენ, სწრაფად შეიყვანონ მანქანები ფარეხში.

15 წუთის შემდეგ რატი და ჯაბა თამაშს ასრულებენ. აღმზრდელი ბიჭებს ეძახის: „დავინახე, რა კარგად თამაშობდით და როგორ მალავდით მანქანებს თქვენს ფარეხში. ორივენი იცინოდით, ერთობოდით, ძალიან კარგად იცავდით მანქანებს დინოზავრებისგან.“ ბიჭები ერთმანეთს უყურებენ და იღიმიან. „კარგად მიხვდით, როგორ გადაგეჭრათ პრობლემა, რომელიც გქონდათ. გახსოვთ, როგორ მოაგვარეთ პრობლემა?“-ამბობს აღმზრდელი.

„რა?“- კითხულობს ჯაბა.

აღმზრდელი: „გახსოვს, იმედგაცრუებული რომ იყავი, როცა რატიმ შენი მანქანების თავის ფარეხში დაყენების უფლება არ მოგცა?“

„კი“- ამბობს ჯაბა ფართოდ გახელილი თვალებით- „ამან მითხრა არაო, მე კიდევ მინდოდა, შემეყვანა..... იმედგაცრუებული რას ნიშნავს?“

„იმედგაცრუებული ნიშნავს, მაგალითად იმას, რომ შენ გეგონა, შეგეძლო შენი მანქანების რატის ფარეხში დაყენება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ამიტომ თავი იმედგაცრუებულად იგრძენი.“ - ამბობს აღმზრდელი და განაგრძობს: „რატი კი იმის გამო გაბრაზდა, რომ შენ დაუკითხავად დაიწყე მის ფარეხში მანქანების დაყენება. გახსოვს, მერე როგორ შეთანხმდით?“

„მე ვკითხე, შეიძლება შენს ფარეხში დავაყენო მანქანები?“- ამბობს ჯაბა ღიმილით.

აღმზრდელი: „და ყველაფერი კარგად გამოვიდა?“

„კიიი!“- ერთხმად ამბობენ ბიჭები.

„როცა თქვენ ერთმანეთს დაელაპარაკებით, შეძლებთ, მოაგვაროთ პრობლემები! დღეს ორივემ ძალიან კარგად იმუშავეთ პრობლემის გადაჭრაზე“- მეგობრულად ეუბნება აღმზრდელი.

ტრავმაგადატანილი ბავშვების დახმარება

ტრავმაგადატანილ ბავშვებს რთული ქცევის მქონე ბავშვების მსგავსი ქცევები ახასიათებთ. ასევე შესაძლებელია ისინი მორცხვი და გარიყული ბავშვების მსგავსადაც იქცეოდნენ. ტრავმაგადატანილი ბავშვების ქცევასთან დაკავშირებით რთული ქცევის ზოგადი ინტერვენციების გამოყენება შეგიძლიათ. ზოგიერთ ბავშვს ტრავმატული გამოცდილების მრავალჯერადად გათამაშება ახასიათებთ. მაგალითად, თუ ბავშვი მამის მხრიდან დედაზე ძალადობის მოწმეა, გაბრაზებისას შეიძლება თოჯინა ბევრჯერ სცემოს. ასეთ სიტუაციებში ბავშვს აღმზრდელ-პედაგოგისგან გაგება, მიღება, ან კონფლიქტის მოგვარებაში დახმარება სჭირდება. ტრავმატული გამოცდილების გათამაშებისას აღმზრდელს შეუძლია აიყვანოს თოჯინა და ჰკითხოს ბავშვს - ვინ არის ის. შემდეგ გაახმოვანოს თოჯინა: 'გთხოვ, ნუ მირტყამ, მითხარი რატომ ხარ გაბრაზებული.' შემდეგ შეიძლება სცენარი სხვადასხვანაირად განვითარდეს, მაგრამ ამ ამბავს გარკვეული გამოსავალი და გადანწყვეტა უნდა ჰქონდეს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს, თუ რა შეიძლება გააკეთოს ბავშვმა ამ სცენის ყურებისას. ასეთი ფორმით უფროსი ბავშვს ანახებს, რომ სხვადასხვა გამოსავალი და პრობლემის მოგვარების გზა არსებობს. ეს ინდივიდუალური ინტერვენციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ბავშვის დასახმარებლად ჯგუფში ხორციელდება. ინდივიდუალური ინტერვენცია ქვემოთ დეტალურადაა მოცემული. ასეთი ტიპის თამაშები ტრავმირებულ ბავშვს მატრავმირებელი სიტუაციების გათამაშებაში და პრობლემის გადაჭრაში ეხმარება. აუცილებელი პირობა უფროსის მიმართ ბავშვის ნდობა და იმის განცდაა, რომ ასეთი თამაშები დასაშვებია და მისაღებია.

მორცხვი და გარიყული ბავშვების დახმარება

ზოგიერთი ბავშვის პრობლემა არა იმპულსის და აგრესიული ქცევის კონტროლთან არის დაკავშირებული, არამედ თამაშის ინიცირებასა და თანატოლებთან ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობასთან. ზოგიერთი ბავშვი ძალიან მორცხვია. ასეთ შემთხვევებში აღმზრდელ-პედაგოგი უნდა დააკვირდეს რა აქტივობებით ინტერესდება ბავშვი, რას აკვირდება და სად უნდა მონაწილეობა. სწორედ ასეთი აქტივობებისას უნდა ეცადოს აღმზრდელი დაეხმაროს ბავშვს მონაწილეობაში. მაგალითად, არ უნდა დააძალოს ბავშვს დიდი ჯგუფური აქტივობისას მთელი ჯგუფის წინაშე საუბარი, პასუხი. ამის სანაცვლოდ, უფროსი სენსიტიურად და მშვიდად უნდა მიუდგეს მას - ჰკითხოს სურს, თუ არა შეუერთდეს ბავშვების ჯგუფს, მაშინ, როდესაც ინტერესს ამჩნევს. ასევე შეუძლია უფროსი დაეხმაროს ბავშვს, მისთვის უსაფრთხო და კომფორტული მანძილიდან ჩაერთოს თამაშში. მაგალითად, აღმზრდელ-პედაგოგს შემდეგნაირად შეუძლია სხვისი თამაში აღნიშნოს: 'წინო ყვავილებს ხატავს. შენ რისი დახატვა გინდა?' ამით სხვა ბავშვის ყურადღებასაც მიიპყრობს, რომელმაც შეიძლება მორცხვი ბავშვის მიმართ ინტერესი გამოხატოს. შემდეგ გააგრძელოს საუბარი: 'ანას უყვარს ხატვა, მაგრამ ვფიქრობ, ურჩევნია არ ილაპარაკოს ხატვისას. შეიძლება შენ წინ დაჯდეს და დახატოს?' მნიშვნელოვანია უფროსმა წაიკითხოს მინიშნებები ბავშვის ქცევაში, და შესაძლებლობა მისცეს აირჩიოს როგორ, რამდენი ხანი ჩაერთოს აქტივობაში, პოზიტიურად აღნიშნოს: 'ვხედავ, მოგწონს წინოს წინ ჯდომა და ხატვა. მასაც უყვარს ისეთი რაღაცეების კეთება, რაც შენ გიყვარს.' მორცხვი ბავშვი შეიძლება ადვილად დაშინდეს, ამიტომ ფაქიზად დაეხმარეთ და საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინეთ მხარდაჭერა. დარწმუნდით, რომ მასთან დადებითი ურთიერთობა გაქვთ დამყარებული, რომ გენდობათ და თქვენი დახმარების იმედი აქვს. იხილეთ სახელმძღვანელოს მესამე ნაწილში შემთხვევა - უკიდურესი მორცხვობა და შფოთი.

ინტენსიური ინდივიდუალური ინტერვენციები განმეორებადი რთული ქცევის დროს

არსებობს ბავშვების მცირე კატეგორია, რომელიც ზემოთ აღწერილი მიდგომების მიუხედავად, მიუღებელ ქცევას განაგრძობს. ასეთ შემთხვევებში, რთულ ქცევასთან გამკლავება ინდივიდუალურ მიდგომებს მოითხოვს.

პირველი ნაბიჯი, შეფასებისა და ინდივიდუალური გეგმის შექმნისათვის, სამუშაო პრიორიტეტების განსაზღვრაა, ანუ, რომელი ქცევაა ყველაზე გამომწვევი და საჭიროებს დაუყოვნებელ ჩარევას, მაგალითად თუ ბავშვი ფიზიკურ ზიანს აყენებს სხვა ბავშვს. შესაბამისად, აღმზრდელ-პედაგოგმა ასეთ საკითხებზე უნდა იფიქროს: რამდენად მავნებელია გამომწვევი ქცევა ბავშვისთვის ან გარემო მყოფებისთვის, რამდენად უშლის ხელს სწავლის პროცესს, ბავშვის მონაწილეობას აქტივობებში, პოზიტიურ ურთიერთობებს და სოციალურ ჩართულობას (3).

მეორე ნაბიჯია ინფორმაციის შეგროვება იმის შესაფასებლად, თუ რატომ იქცევა ბავშვი ასე. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა აიხსნას რთული ქცევის მოტივები. ინფორმაციის შეგროვება უშუალოდ ბავშვზე დაკვირვებით და იმ პირთა გამოკითხვით ხდება, ვისაც ბავშვთან ხშირი ურთიერთობა აქვს. აღმზრდელ-პედაგოგი ასევე უნდა დაფიქრდეს გარემოზე, თუ როგორ მოქმედებს გარემო ფაქტორები ბავშვის ქცევაზე, კერძოდ:

- ფიზიკური გარემო - სივრცე გადატვირთულია თუ თავისუფალი. ბევრი მასალა და სათამაშოა თუ ცოტა. არის მასალები ბავშვის სიმაღლეზე განთავსებული, რომ დამოუკიდებლად აიღოს.

- კურიკულუმი, აქტივობები - აქვთ თუ არა იმაზე კონტროლი ბავშვებს, რასაც აკეთებენ. რამდენჯერ აკეთებენ ერთ და იმავე რაღაცას.
- რუტინა - არის თუ არა განრიგი თვალსაჩინო, რამდენი ხანი ეთმობა თითოეულ აქტივობას.
- სოციალური კონტექსტი - არის თუ არა მოლოდინები ინდივიდუალური.
- როგორც აღმზრდელის, ასევე სხვა ბავშვების ქცევები - საუბრობენ თუ არა მშვიდად. როგორია ხმაურის დონე. ინტერესით და პატივისცემით ურთიერთობენ თუ არა ერთმანეთთან.

მას შემდეგ რაც საკმარისი ინფორმაცია შეგროვდება, მესამე ნაბიჯი - იმის ახსნაა, თუ რა არის ქცევის მიზეზი და სიტუაცია. ყველა რთული ქცევა შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ბავშვის მხრიდან პრობლემის გადაჭრა და სურვილების, საჭიროებების კომუნიკაცია. მაგალითად, პირდაპირი დაკვირვებით მიღებულმა მონაცემებმა შეიძლება ცხადდეს, რომ მარის აგრესია ბავშვების მიმართ, ძირითადად, თავისუფალი თამაშის ან დრამატული თამაშის დროს ვლინდება. სწორედ ეს ქცევა შეიძლება გახდეს საყურადღებო. ამასთან, თუ დაკვირვება იმასაც გამოავლენს, რომ თოჯინის ატრიბუტები საყვარელი სათამაშოა ბავშვების უმეტესობისთვის, შესაბამისად კონფლიქტი თოჯინის გამოა. თუ ასევე მშობლის ინტერვიუებით ირკვევა, რომ მარისთვის სათამაშოების გაზიარება პრობლემურია, საკმარისი ინფორმაციაა სტრატეგიის გეგმის შესამუშავებლად. ამ ინფორმაციით ნათელია რა არის ბავშვის პრობლემა, პრობლემური ქცევის მიზეზი და სად იჩენს ეს პრობლემური ქცევა ხშირად თავს. შეიძლება პრობლემური ქცევა დაკავშირებული იყოს რომელიმე ერთ კონკრეტულ ბავშვთან, ან დიდ ჯგუფურ აქტივობასთან, სადაც ბავშვს დიდხანს უნევს ლოდინი.

მეოთხე საფეხურია მხარდაჭერის ინდივიდუალური გეგმის, ინტერვენციის სტრატეგიის მოფიქრება მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ნუ ეცდებით ყველა პრობლემის ერთდროულად მოგვარებას. ფოკუსირება გააკეთეთ ყველაზე პრობლემურ ქცევაზე და იმ ადგილზე და სიტუაციაზე, სადაც ეს ქცევა ყველაზე ხშირად აღინიშნება. გადამწყვეტი როგორ მიუდგე ამ ქცევას - ბავშვისთვის შეხსენება, რომ ეს ქცევა მიუღებელი ან შუსაბამოა, ქცევის მიმართ სხვების რეაქციებზე კომენტარის გაკეთება, მისაღები და ალტერნატიული ქცევის მოფიქრებაში ბავშვისთვის დახმარების განევა, მისაღები ქცევის განხორციელების შემთხვევაში აღნიშვნა, ბავშვისთვის წესების შეხსენება, პოზიტიური უკუკავშირის მიცემა, როგორცაა სახლში წერილის გატანება. გაიაზრეთ, რა შეიძლება იყოს კონკრეტული ბავშვის მიმართ რეალური მოლოდინები და ეტაპობრივად გაზარდეთ მოთხოვნა. მნიშვნელოვანია ბავშვთან კომუნიკაცია, რომ რთული ქცევის მიმართ მისი პერსპექტივა გაიგოთ.

ინტერვენციისას გაითვალისწინეთ:

- იცის თუ არა ბავშვმა, რას ელიან მისგან ამ კონკრეტულ სიტუაციაში? ესმის ეს სიტუაცია? არის თქვენი მოლოდინები განსხვავებული იმისგან, რასაც ითხოვენ შინ?
- იცის ბავშვმა, როგორ და როდის გააკეთოს ის, რასაც მისგან ელიან?
- აქვს მას საკმარისი თვითკონტროლი ამისთვის?
- აცნობიერებს საკუთარ ქცევას?
- ბავშვის პერსპექტივიდან - უფრო მეტს იღებს პრობლემური ქცევიდან, თუ მოსალოდნელი ქცევიდან?
- სჯერა თუ არა ბავშვს, რომ გამოუვა ახალი ქცევა? რომ გავლენა ექნება სიტუაციაზე? რომ მიიღებს სარგებელს?

ძალიან ბევრი ბავშვი უარს ამბობს ახალი ქცევის გამოყენებაზე და მცდელობაზე, რადგან თვლის, რომ არანაირი კონტროლი არა აქვს იმაზე, თუ რა ხდება. დაიწყეთ მარტივით, რომ დაიჯეროს შესაძლებლობები. საშუალება მიეცით, ახალი უნარი სხვადასხვა სიტუაციებში გამოიყენოს (3).

ინდივიდუალური ინტერვენციის ბოლო ეტაპი ინდივიდუალური გეგმის განხორციელება და განხორციელებული სტრატეგიის ეფექტურობის შეფასებაა.

როგორ უნდა შეაფასო ინდივიდუალური გეგმა:

- პირველ რიგში, განსაზღვრე, როგორ გაზომო პროგრესი და განსაზღვრული მეთოდებით შეაფასე
- დანიშნე დრო, როდის უნდა გადაიხედოს ინდივიდუალური გეგმის პროგრესი
- დააკვირდი და ჩაინერე ხშირად, რომ პროგრესს დროდადრო დააკვირდე (3)

გაითვალისწინეთ, რომ ქცევის შეცვლას, რომელიც წლების განმავლობაში ბავშვს ემსახურებოდა, მინიმუმ ექვსი კვირა სჭირდება. სულ მცირე ცვლილებაც იმის მანიშნებელია, რომ სწორ გზას ადგახართ. თუ ვერანაირ დადებით ცვლილებას ვერ ხედავთ, ან ცვლილებები დროთა განმავლობაში არასაკმარისია, მაშინ მონაცემებს დაუბრუნდით და ახალი სტრატეგია შეიმუშავეთ. ეცადეთ, გაარკვიოთ, რატომ არ მუშაობს ეს მიდგომა. მოკლე ნაბიჯებად დაყავით მისაღწევი მიზანი, მეტი კომუნიკაცია გქონდეთ ბავშვთან, ასწავლეთ ის ქცევა როგორც გინდა რომ მოიქცეს, ან ახლებურად შეხედე სამიზნე სიტუაციას (3).

დანართში 2 მოცემულია **თვითშეფასების კითხვარი: მხარდამჭერი გარემო სოციალური და ემოციური კომპეტენციის ხელშეწყობისათვის**, რომელიც დაგეხმარებათ დაფიქრდეთ, დააკვირდეთ და შეაფასოთ თქვენი პრაქტიკა, თუ რამდენად ეფექტურად უზრუნველყოფთ ბავშვებისთვის სოციალური და ემოციური კომპეტენციების მხარდამჭერ გარემოს.

გამოყენებული რესურსები:

1. მილერი, დ. ფ. (2004) ბავშვის პოზიტიური გაძღოლა. (Miller, D.F., (2004). Positive Child Guidance. 4th edition, Thomson Delmar Learning).
2. Riley, D., San Juan, R., Klinker, S., & Ramminger A., (2008). Social and Emotional Development – Connecting Science and Practice in Early Childhood Settings, Redleaf Press
3. Kaiser, B., (2007). Challenging Behavior in young children – understanding, preventing and responding effectively. 3rd edition, Pearson.
4. Inventory of practices for promoting children's social and emotional competence (2006). www.vanderbilt.edu/csefel. Center on the Social and Emotional Foundations for Early Learning (CSEFEL).
5. Yoder, N. (2014). *Teaching the whole child: Instructional practices that support social and emotional learning in three teacher evaluation frameworks*. Washington, DC: American Institutes for Research Center on Great Teachers and Leaders.

კომუნიკაციის წამახალისებელი გარემო

კომუნიკაციის მნიშვნელობა

იმისათვის, რომ ბავშვები ხარისხიანი საკომუნიკაციო გარემოთი უზრუნველვყოთ, მნიშვნელოვანია, დაფიქრდეთ იმ მიზეზებზე, თუ რატომ შეეძინათ ერთმანეთთან კომუნიკაციაში, რატომ ვიყენებთ შესტებს, ბგერებსა თუ სიტყვებს?

კომუნიკაცია ჩვენ გვეხმარება ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილებაში, მაგრამ იგი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ყველას აქვს დაუძლეველი სურვილი, გაუზიაროს სხვა ადამიანს თავისი გრძნობები, იდეები და გამოცდილებები. როდესაც ბედნიერები, მონყენილები, აღელვებულები, გახარებულები ან იმედგაცრუებულები ვართ, ძალიან გვჭირდება, დაველაპარაკოთ სხვებს და როდესაც ასე ვიქცევით, კმაყოფილების საოცარ განცდას ვგრძნობთ. ახლა წარმოიდგინეთ თქვენი თავი ისეთ გარემოში, სადაც არ იცით, როგორ უნდა შეხვიდეთ კომუნიკაციაში სხვებთან და სადაც მათ თქვენი არ ესმით. ცხადია, ასეთ ვითარებაში ხანგრძლივად ყოფნა თქვენს ემოციებსა და შემდეგ- ქცევაზეც უარყოფითად აისახება: გაბრაზდებით, შიშისა და იმედგაცრუების გრძნობა დაგეუფლებათ, შეეცდებით თქვენი იმედგაცრუება პროტესტით ან აგრესიით გამოხატოთ, ან ჩაიკეტებით და სხვებთან ურთიერთობას თავს საერთოდ აარიდებთ. ხანდახან, დაახლოებით იგივეს გრძნობენ და იგივენაირად იქცევიან ხოლმე კომუნიკაციის სირთულეების მქონე ბავშვები.

გარდა ფიზიკური და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებისა, ენას კიდევ ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფუნქცია აქვს: „ენა არის ფიქრის, სწავლისა და პრობლემების გადაწყვეტის ინსტრუმენტი“ (1). ენის დახმარებით, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ ალტერნატივები, ვიმსჯელოთ მიზეზებზე, წარმოვიდგინოთ, დავგეგმოთ, ვივარაუდოთ და პრობლემებს გადაწყვეტა მოვუნახოთ. ჩვენს გონებაში, ენის გამოყენებით, ყოველდღიურად ვიღებთ ათასობით პატარა გადაწყვეტილებას და ვჭრით ათასობით ყოველდღიურ ყოფით საკითხს. სწორედ ამიტომ, როდესაც თანამედროვე მკვლევარები ადრეული და სკოლამდელი საგანმანათლებლო დანესებულების შესახებ საუბრობენ, მათი განხილვის საგანი ყოველთვის- ბავშვებთან დამყარებული კომუნიკაციის ხარისხია. კომუნიკაციის ხარისხით განისაზღვრება, რამდენად ვაძლევთ საშუალებას ბავშვებს, ადრეული ასაკიდანვე ისწავლონ ფიქრი, გამოძიება, საკუთარი და სხვისი გრძნობების გაცნობიერება, საკუთარი და სხვისი აზრების დაფასება, იგრძნონ თავი დაცულად და დაფასებულად.

ბავშვები ენას ეუფლებიან უფროსებთან და თანატოლებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში. რაც უფრო სასიამოვნო, ხშირი, საინტერესო და ბავშვის ენობრივი განვითარებისათვის შესაბამისია ეს კომუნიკაცია, მით უფრო სწრაფად და ბუნებრივად ვითარდება ენა. ხელოვნურად შექმნილ გარემოში, სადაც ბავშვი თავს უფრო გამოცდაზე გრძნობს, სადაც მას მუდმივად საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების დემონსტრირებას თხოვენ და ამის მიხედვით აფასებენ, ენობრივი განვითარების კარგი გარემო არ არის.

იუნისეფის ერთ-ერთი უახლესი რეკომენდაციის თანახმად,⁵ უფროსებმა უნდა შექმნან გარემო და ხელი შეუწყონ პროცესს, სადაც ბავშვებს ექნებათ შესაძლებლობა, გამოხატონ თავისი აზრი. სადაც მათ მოსაზრებებს გაითვალისწინებენ, შეძლებენ, გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებაზე. ამისათვის, უფროსებს უნდა შესწავდეთ ძალა, მოუსმინონ ბავშვებს, ისწავლონ მათგან, გაიგონ და გაითვალისწინონ ბავშვის აზრი; უფროსებს უნდა უნდოდეთ და შეეძლოთ, გადააფასონ საკუთარი მოსაზრება და დამოკიდებულებები. მიიღონ გადაწყვეტილებები, რომელიც ეხმაურება ბავშვის ხედვებს.

კომუნიკაციური პარტნიორის როლი

ენის ათვისების სფეროში მომუშავე მეცნიერებმა (2) ექვსი პრინციპი ჩამოაყალიბეს, რომელიც ენის განვითარებაში გარემო ფაქტორების როლს აღწერს. მნიშვნელოვანია, რომ ადრეულ საგნმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე ადამიანებს კარგად ესმოდათ ამ პრინციპების მნიშვნელობა, იყენებდნენ მათ პრაქტიკაში და ამ პრინციპების შესახებ ცოდნას მშობლებსაც უზიარებდნენ, რადგან ოჯახები უდიდეს გავლენას ახდენენ ბავშვის ენის განვითარების ხარისხზე.

პრინციპი 1: ბავშვებს ხშირად უნდა ესმოდათ მრავალფეროვანი სიტყვები. ადრეული ენის დაუფლების დონე პირდაპირ კავშირშია მათი ენობრივი გარემოს ინტენსივობასთან (3). კანზასის უნივერსიტეტში ჩატარებული ძალიან მნიშვნელოვანი კვლევა (4) გვეუბნება, რომ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელ ბავშვებს მდიდარ ენობრივ გარემოსთან ხელმისაწვდომობის ძალიან განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ. თუ სოციალურად დაუცველ ოჯახებში მშობლები საათში დაახლოებით 620 სიტყვას ეუბნებიან ბავშვებს, სოციალურად უფრო სტაბილურ და განათლებულ ოჯახებში 2150 სიტყვას ეუბნებიან. შედეგად, 3 წლის ასაკისთვის, განათლებულ ოჯახებში გაზრდილ ბავშვებს ესმით 30 მილიონჯერ მეტი სიტყვა, ვიდრე ღარიბ და განათლების დაბალი დონის მქონე ოჯახებში გაზრდილ ბავშვებს. რაც მეტს ელაპარაკებიან უფროსები ბავშვებს, მით უფრო მეტად იზრდება მათი ლექსიკონი და მით უფრო მაღალია მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები. ამ კვლევის გამოქვეყნების შემდეგ, ბევრმა ქვეყანამ წამოიწყო სპეციალური პროგრამები წიგნიერების ხელშესაწყობად, ღარიბი და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის. 2009 წელს ჰაკმანისა და ფარაჰს მიერ ჩატარებულმა კვლევამ (5) აჩვენა, რომ ტვინის იმ ნაწილებზე, რომელიც ენობრივ განვითარებაზე პასუხისმგებელი, სიღარიბე ბევრად მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე ტვინის სხვა ნაწილებზე, რაც, ხუთი წლის ასაკისათვის, ტვინის სტრუქტურის ცვალებადობას იწვევს. ამიტომ, ბაღში მომუშავე ადამიანების პირდაპირი მოვალეობაა, გაანათლონ ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი ოჯახები ადრეული ენის დაუფლებისა და ბავშვის განვითარების ურთიერთკავშირზე და გარემოს როლზე ამ ყველაფერთან დაკავშირებით. სხვადასხვა კვლევებმა (2) ისიც აჩვენა, რომ იმ გარემოში, სადაც წიგნების ნაკლებობაა, უბრალოდ წიგნების რაოდენობის გაზრდაც - ღარიბი ოჯახების, სოფლებისა და ბაგა-ბაღების ცოტაოდენი წიგნებით მომარაგებაც კი- დადებით ეფექტს ახდენს ბავშვების ენობრივ განვითარებაზე.

პრინციპი 2: ბავშვები სიტყვებს მაშინ სწავლობენ, როდესაც დაინტერესებულები (6) არიან. ენის დაუფლება მაშინ უკეთ ხდება, როდესაც საუბარი ეხება ბავშვების უშუალო ინტერესთან დაკავშირებულ საგნებსა თუ მოვლენებს. კვლევები ასევე ადასტურებს, რომ ლექსიკონის გამდიდრებასთან გაზიარებული ყურადღების (როდესაც ბავშვი და უფროსი ერთი და იგივე საგანსა და მოვლენაზე

არიან ფოკუსირებულები) სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იმ ოჯახებში, სადაც უფროსები უკეთ ახერხებენ, შექმნან გარემო გაზიარებული ყურადღებისათვის, ბავშვებს გაცილებით მაღალი ლექსიკური მარაგი აქვთ (7-8). ბავშვები, რომლის მშობლებიც ცდილობენ, გადაიტანონ ბავშვის ყურადღება (არ მიყვებიან ბავშვის ინტერესს) და ცდილობენ, ბავშვებს მათთვის უინტერესო ობიექტები დაასახელებინონ, ნაკლებ ლექსიკურ მარაგს ივითარებენ (9-10).

პრინციპი 3: ბავშვები უკეთ სწავლობენ, როდესაც გულისხმიერ უფროსებთან ურთიერთობენ. ჰირშ-პასეჟისა და ბურშინალის კვლევა (11) ადასტურებს მჭიდრო კავშირს გულისხმიერ, სენსიტიურ უფროსთან ურთიერთობასა და ენობრივ-შემეცნებით შედეგებს შორის. მათ ხანგრძლივად იკვლიეს 6 თვიდან- 4.5 წლამდე ბავშვები და დაასკვნეს, რომ ბავშვები, რომლებიც სტაბილურად იყვნენ გულისხმიერი უფროსების გარემოცვაში, მეტ შემეცნებით კომპეტენციებს (შესაძლებლობებს) ავლენდნენ. ცხადია, არა მხოლოდ მდიდარი ენობრივი ურთიერთობები განაპირობებდა ამ შედეგებს, არამედ უფროსისა და ბავშვის ემოციური ურთიერთობის ხარისხიც (12).

პრინციპი 4: სიტყვებს უკეთ სწავლობ, როდესაც მათი აზრი გასაგებია. როდესაც ბავშვებს სიტყვების მნიშვნელობის გაგებაში ახსნით, ჩვენებით, ან ინტონაციისა და ბუნებრივი შესტის გამოყენებით ვეხმარებით, ენის ათვისებას მნიშვნელოვნად ვუწყობთ ხელს. ბავშვები, რომელთა მშობლებიც ამ სტრატეგიებს იყენებენ, წარმატებებს აღწევენ სიტყვათა მნიშვნელობის ცოდნის თვალსაზრისით (13).

პრინციპი 5: ლექსიკონი და გრამატიკა ერთდროულად ისწავლება. ბავშვები ლექსიკონს გრამატიკული სტრუქტურების მეშვეობით, ხოლო გრამატიკულ სტრუქტურებს- ლექსიკონის მეშვეობით იმდიდრებენ. როდესაც ბავშვები პირველად ამჩნევენ ლინგვისტურ კონტექსტს, რომელშიც სიტყვა წარმოითქმება, ისინი სწავლობენ, რომ სიტყვები ენის ნაწილებია (14). მაგალითად, როდესაც მათ ესმით, „სადაა ჩემი პიკაჩუ?“ ისინი იღებენ მინიშნებას, რომ „პიკაჩუ“ კონკრეტული საგანი, შესაბამისად- არსებითი სახელი უნდა იყოს. მეორე მხრივ, როდესაც ბავშვებმა სიტყვის მნიშვნელობა იციან, ისინი აკვირდებიან განსხვავებულ ლინგვისტურ კონტექსტებს, რომელშიც ეს სიტყვა გამოითქმის და ხვდებიან, რომ სიტყვები ახალ მნიშვნელობით ნიუანსებს იძენენ (15), მაგალითად, ხვდებიან, რომ სიტყვა „ცივი“ შეიძლება, სხვადასხვა საგნების და, ასევე, ზოგიერთი ადამიანის დამახასიათებელ ნიშნად გამოვიყენოთ.

პრინციპი 6: იყავი პოზიტიური დიალოგისას - ჰარტისა და რისლის (4) კვლევის ერთ-ერთი შედეგი იმასაც გვიჩვენებს, რომ დაბალშემოსავლიანი ოჯახის შვილებს უფრო ხშირად ესმით აკრძალვები (მაგ. -„ხელი არ მოკიდო!“), ვიდრე განმტკიცებები (მაგ. -„უი, რა საინტერესო სათამაშოა!“). აკრძალვებს არა მხოლოდ ნეგატიური ტონი აქვთ, არამედ ისინი დიალოგის დამბლოკველებიც არიან. ჩეის-ლანსდალისა და ტაკანიშის (16) მიერ მოხმობილი „სამი დედის და ბადრიჯნის“ მაგალითი კომუნიკაციური პარტნიორის როლისა და მნიშვნელობის კარგი ილუსტრაციაა: ბალის ასაკის ბავშვი დედასთან ერთადაა სუპერმარკეტში. ის ბადრიჯანს დაინახავს და დედას ეკითხება: „ეს რა არის?“ პირველი დედა ბავშვს აჩუქებს და მის შეკითხვას ყურადღებას არ აქცევს. მეორე დედა: „ეს ბადრიჯანია, არ გვჭირდება“. მესამე დედა კი ბავშვს ასე პასუხობს: „, ეს ბადრიჯანია. ცოტა ბოსტნეულს აქვს იისფერი ფერი, ერთ-ერთი ბადრიჯანია“. ის იღებს ბადრიჯანს, აწვდის თავის შვილს რამდენიმე ბადრიჯანს და სთავაზობს, რომ სასწორზე დადოს. -„ნახე, დაახლოებით 1 კილოა. კილო- 3 ლარი ღირს, ცოტა ძვირია, მაგრამ შენ ხომ გიყვარს შემწვარი ბოსტნეული, ესეც მოგეწონება. მოდი, ვიყიდოთ და ერთად მოვამზადოთ.“ ნაცვლად იმისა, რომ დიალოგი დაასრულოს, მესამე დედა

5 UNICEF's response to Article 12 of the United Nations Convention on the Rights of the Child: <http://unicef.org.index.php>

ბავშვის ინტერესს მიყვება და ამტკიცებს; ესაუბრება სრული წინადადებებით, რაც ხელს უწყობს ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების გამდიდრებას. როგორც დიკინსონი ამბობს, ბავშვთან დიალოგისას, მუდმივად უნდა ვცდილობდეთ „ხუთი პრინციპის შენარჩუნებას“, ანუ ჩვენსა და ბავშვს შორის კომუნიკაციური გაცვლა-გამოცვლის 5 საფეხური მაინც უნდა არსებობდეს. როდესაც ბავშვსა და უფროსს შორის საუბარი მხოლოდ ცალმხრივი აკრძალვით ან ერთსიკვეთიანი პასუხებით შემოიფარგლება, ბავშვებს არ ვანვდით საკმარის „სანვავს“ ენის დასწავლის მექანიზმის ასამუშავებლად და იმ შინაარსების გასააზრებლად, რასაც ენა აღნიშნავს.

ბავშვის განვითარების და ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულების მომუშავე მეცნიერები თანხმდებიან: უფროსის, კომუნიკაციური პარტნიორის როლი უაღრესად მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ ბავშვებმა თავი დაცულად, დაფასებულად, ღირსეულად, ჩართულად და მშვიდად იგრძნონ (17). ჩვენ ვიცით, რომ ბავშვ-ბავშვში ყოფნისას, თითოეული ბავშვისათვის კრიტიკული მნიშვნელობისაა, ურთიერთობდეს მასწავლებელთანაც და სხვა ბავშვებთანაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ვიცით ისიც, რომ ამგვარი ურთიერთობები ყოველთვის არ დგება, ან საკმარისად ხშირი არ არის. ამიტომ, რაც არ უნდა მრავალრიცხოვანი იყოს ბავშვების ჯგუფი, უფროსებმა (აღმზრდელ-პედაგოგმა, აღმზრდელმა, ბავშვთა მომუშავე სხვა სპეციალისტებმა) დღე ისე უნდა დაგეგმონ, რომ ბავშვებს აუცილებლად მიეცეთ უფროსებთან (თუნდაც დღეში 2 წუთიანი) პირისპირ კომუნიკაციის შესაძლებლობა და ასევე, მცირე ჯგუფებში აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა, უფროსის მონაწილეობით ან მის გარეშე.

საქართველოს ბავშვებში ბავშვთა მომუშავე ინკლუზიური განათლების სპეციალისტები (განსაკუთრებით ლოგოპედები) ხანდახან ამგვარ პრაქტიკას მიმართავენ: ისინი მუშაობენ ბავშვების მცირე ჯგუფთან, რომლებსაც ერთნაირი ტიპის კომუნიკაციური სირთულე აქვთ. თუმცა, ექსპერტები (1)სხვაგვარად გვიჩვენებენ: როდესაც კონკრეტული ბავშვის დასახმარებლად მცირე ჯგუფურ აქტივობას ვგეგმავთ, მნიშვნელოვანია, ბავშვების ჯგუფი გონივრულად შევარჩიოთ. დაფიქრდით, თქვენს ჯგუფში ვის რა კომუნიკაციური და სოციალური შესაძლებლობები აქვთ. თუ ბავშვს აქვს ენობრივი განვითარების შეფერხება ან დარღვევა, ან არის ძალიან ჩაკეტილი და პასიური კომუნიკაციაში, მისთვის რთული იქნება, იყოს ძალიან სოციალური და კომუნიკაბელური ბავშვების ჯგუფში. მეორე მხრივ, მისთვის არც ისეთ ჯგუფში ყოფნა იქნება სასარგებლო, სადაც ბავშვები, ძირითადად, კომუნიკაციის პასიურ სტილს იყენებენ. კარგი მცირე ჯგუფი, როგორც წესი, სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციური სტილის ბავშვებისგან შედგება ხოლმე.

ჰანენის პროგრამა (1) უფროსის მხრიდან ბავშვებთან ურთიერთობისას მორგებულ რამდენიმე როლზე საუბრობს. საბავშვო ბავშვთა აღმზრდელ-პედაგოგები და აღმზრდელები ხშირად **დირექტორის** (დირექტიული სტილი) როლს ირგებენ ხოლმე და ბავშვებთან ურთიერთობისას, ძირითადად, ან ინსტრუქციებს იძლევიან, ან შეკითხვებს სვამენ. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ამ როლის გამოყენებაც საჭიროა, მუდმივად ამ როლში ყოფნა ბავშვების მხრიდან ინიციატივისა და კომუნიკაციის წამოწყების სურვილს ძალიან აფერხებს. ამ სტილს უფროსები ასევე ხშირად იყენებენ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთანაც, რათა ასწავლონ და ესა თუ ის უნარი განუფუთარონ - „დადე წითელი კუბურა ზემოდან“, „მომანოდე ორი ჩხირი“ და ა.შ. თუმცა, უფროსებს ავიწყდებათ, რომ კომუნიკაციის ეს სტილი ისევე აფერხებს ინიციატივასა და კომუნიკაციას სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებში, როგორც დანარჩენ ბავშვებში.

საბავშვო ბავშვთა საკმაოდ ხშირია, როდესაც მასწავლებელს **„მოჩქარეს“** პოზიცია უჭირავს და საჭიროზე ხშირად ამბობს სიტყვას „სწრაფად“. ამის მიზეზი მასწავლებლის სურვილია, ყველაფერი მოასწროს და დაგეგმილ გრაფიკში ზუსტად ჩაეტიოს, თუმცა ბავშვებთან ურთიერთობისას, ეს სტილი მათ სიმშვიდისა და კონცენტრირების საშუალებას უკარგავს. დაჩქარება განსაკუთრებით არასასარგებლოა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის.

ხანდახან ზედმეტად **მოდუნებულ** უფროსსაც შევხვდებით. ისინი ამ სტილს იმ ბავშვებთან ურთიერთობისას არჩევენ, რომლებსაც ისედაც თავისი დღის წესრიგი აქვთ და მარტო თამაში ურჩევენიათ. თუმცა, ამგვარ ბავშვებსაც ძალიან ჭირდებათ ისეთ უფროსთან ურთიერთობა, რომელიც მას სხვებთან ინტერაქციის უნარების განვითარებაში დაეხმარება.

უფროსებისათვის **ზემზრუნველი** როლიც საკმაოდ დამახასიათებელია. ისინი ფიქრობენ, რომ ბავშვი თავს თავად ვერ გამოხატავს, ამიტომ მათ ნაცვლად ლაპარაკობენ ან დახმარებას სთავაზობენ მანამდე, სანამ ისინი ამის რაიმენაირ საჭიროებას გამოხატავენ. უფროსების ეს როლი ბავშვების დახმარების სურვილითაა გამოწვეული, მაგრამ ამით ბავშვი სწავლობს, რომ მისგან ბევრს არ ელიან.

დამჯილდოვების როლში უფროსები ყოველ წუთას ცდილობენ, დადებითი კომენტარი გააკეთონ და ყველაფერზე ამბობენ „ყოჩაღ“, „კარგად გააკეთე“, „სწორად თქვი“. ამ სტილის უარყოფითი მხარე შეიძლება ის იყოს, რომ ბავშვები ზედმეტად დამოკიდებული ხდებიან შექებაზე და შესაძლოა, რაიმე სიახლის სწავლის ნაკლები ინიციატივა გამოიჩინონ. გარდა ამისა, ამ სტილის მქონე ადამიანები, როგორც წესი, კომუნიკაციას შექებით ასრულებენ, ინტერაქცია ხშირად სრულდება სიტყვით „ყოჩაღ“ მაშინ, როდესაც მისი უფრო საინტერესოდ გაგრძელება შეიძლება. მაგ. ლუკას ნათქვამზე, - „ნაზი, ნახე, გიგანტური მანქანა გავაკეთე კუბურებით“, უფრო მოსალოდნელია, რომ „დამჯილდოვებელი“ უპასუხებს: „ყოჩაღ, ლუკა, მაგარი მანქანაა“ და ინტერაქცია აქ დასრულდება. არადა დიალოგის გაგრძელება ასეც შეიძლებოდა:

ნაზი: ლუკა, რა საოცარი მანქანაა! სად აპირებ წასვლას შენი მანქანით?

ლუკა: აფრიკაში უნდა წავიდე სპილოების სანახავად.

ნაზი: აფრიკაში? აფრიკა ძალიან შორსაა. ვფიქრობ, აფრიკაში ჩასვლას დიდ დროს მოანდომებ.

ლუკა: არა! ჩემი მანქანა დაფრინავს და თან ძალიან სწრაფადაც შეუძლია სიარული (18).

ბავშვ-ბავშვთა მომუშავე ადამიანები, თუ ისინი ბავშვის ენობრივი უნარების განვითარებაზე ორიენტირებულები არიან და ხელს უწყობენ ეფექტურ კომუნიკაციას, ყოველთვის ცდილობენ, დიალოგის მინიმუმ ხუთი რიგი შეინარჩუნონ (19), როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითშია მოცემული. კომუნიკაციის ეს სტილი აჩვენებს ბავშვს, რომ უფროსი მისით და მისი საქმიანობით დაინტერესებულია, რაც მის თვითშეფასების ზრდას უწყობს ხელს. ეს კი ბავშვს ეხმარება, გამოიჩინოს მეტი ინიციატივა, ხელს უწყობს მეტ თემაზე ფიქრს, მეტ წარმოსახვისა და აზროვნების უნარებს. ურთიერთობის ამ სტილს, როგორც წესი, **გულისხმიერი** უფროსები იყენებენ. ამ როლში უფროსი შეწყობილია ბავშვის შესაძლებლობებთან, საჭიროებასა და ინტერესებთან. ბავშვებთან ურთიერთობის გულისხმიერი სტილი გულისხმობს, რომ უფროსი

სიტუაციით და ინტერესით პასუხობს ბავშვის ყოველ საჭიროებას, რაც წაახალისებს ბავშვებს, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ინტერაქციაში მასთანაც და სხვა ბავშვებთანაც.

გულისხმიერი კომუნიკაციური სტილის მქონე ადამიანები, როგორც წესი, როდესაც ისინი ბავშვებს ელაპარაკებიან, არიან მათ სიმალღეზე, ამყარებენ მათთან თვალთ კონტაქტს, ყურადღებით უსმენენ და ხშირად უღიმებიან.

მოსმენა ნიშნავს ყურადღების იმაზე მიქცევას, თუ რას ამბობს ბავშვი; მოსმენა მნიშვნელოვანია შესაბამისი პასუხის გასაცემად. როდესაც ბავშვს ყურადღებით უსმენ, მას აგრძობინებ, რომ მისი ნათქვამი შენთვის მნიშვნელოვანია და ეს მისთვის კარგი მიზეზია დიალოგის გასაგრძელებლად. აქტიური მოსმენა ნიშნავს, რომ ბავშვს არ ვანყვეტინებთ და ჩვენ თვითონ არ ვვარაუდობთ, რისი თქმა უნდა ბავშვს, სანამ ის საუბარს დაასრულებს. ბავშვებთან მომუშავე ადამიანები ხშირად უშვებენ შეცდომებს და არ ელოდებიან ბავშვის რეაქციას, ცდილობენ სიჩუმის პერიოდის ამოვსებას. ვიდრე ბავშვის რეაქციას ელოდებით, შეეცადეთ გულში 10-მდე დაითვალოთ (18). იქნებ ბავშვს დრო ესაჭიროება რეაგირებისთვის. როდესაც აღმზრდელები აქტივობებს გეგმავენ და შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში ბავშვებთან ერთად ახორციელებენ, არ უნდა დაავინყდეთ, რომ ამ დროს ბავშვის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების უნარებიც უნდა განავითარონ. წაახალისეთ ბავშვები ამგვარი შეკითხვებით: „რამე ხომ არ გჭირდება?“, „რა გინდა, რომ მოგანოდო?“, „როგორ ფიქრობ, ეს ფერი გამოგვადგება?“, „დღეს თავს როგორ გრძობ?“ და ა.შ ადრეულ ასაკში ბავშვებს უჭირთ თავიანთი აზრებისა და გრძობების გადმოცემა. პრაქტიკოსებმა ყოველთვის უნდა მოუსმინონ და რეაგირება მოახდინონ მათ მცდელობებზე (20).

ნინი: შეხედე, მზია (ნინიმ ყურადღება გააზიარა).

მზია: ვა, ბუმბული იპოვე?! (მზია გულისხმიერია, პასუხობს ბავშვის ინტერესს და თან ნინის ამ საგნის სახელსაც ეუბნება).

ნინი: ბუნბუნი (მზიამ მარტივი, ნინის ენობრივი განვითარების შესაბამისი ინფორმაცია მიანოდა მისთვის საინტერესო საგნის შესახებ, შესაბამისად, ნინი უფრო მეტად აკვირდება საგანს და ცდილობს სიტყვის იმიტაციას).

მზია: კი, ეს ბუმბულია, ჩიტის ბუმბული (მზიას პასუხი სიტყვის სწორ მოდელირებას შეიცავდა და ასევე გარკვეულ ახალ ინფორმაციასაც).

ნინი: ჩიტი? გარეთ? (ახლა ნინი მეტ ინფორმაციას ითხოვს, რადგან მზიამ მის ინტერესს გულისხმიერად უპასუხა).

მზია: დიახ, ეს ბუმბული გარეთ რომ ჩიტი დაფრინავს, იმისია.

ეს მაგალითი ადაპტირებულია ელან ვაიცმანისა და ჯანის გრინბერგის წიგნიდან **Learning Language and Loving It (2004)** - ენის დასწავლა, სამწუხაროდ, ყოველთვის ამგვარი ბუნებრივი რითმით არ მიმდინარეობს. ნინისა და მზიას შორის დიალოგის რითმი არ იქნებოდა ბუნებრივი, თუ მაგალითად, მზია ეცდებოდა ნინისთვის ბუმბული სწორად ეთქმევიინებინა, ნინის ინტერესი ჩიტებისა და ბუმბულის თემაზე მისი ცოდნის შესამოწმებლად გამოეყენებინა, ან მისთვის ბუმბულის ფერების შემადგენლობის სწავლება ეცადა. ასეთ შემთხვევაში, ნინის მზიასთან დიალოგის ინტერესი დაეკარგებოდა და შესაბამისად, ენობრივი განვითარების, ენის სწავლის შესაძლებლობაც დაიკარგებოდა. სოციალურად აქტიური ბავშვის ინტერესიც კი შეიძლება განელდეს მასწავლებლის მცდელობით, ასწავლოს ან გამოცადოს ბავშვი, მაშინ როდესაც ბავშვს მხოლოდ ის უნდა, რომ სხვასთან საკუთარი ინტერესი გააზიაროს.

როდესაც ბავშვი სიტყვას არასწორად ამბობს, უფროსები, როგორც წესი, მიდრეკილები არიან, ბავშვს სიტყვა ასე გაუსწორონ: „ბუნბუნი კი არა, ბუმბული“. ასეთ დროს, გარდა იმისა, რომ კომუნიკაცია უკვე სასიამოვნო აღარაა, ბავშვს სიტყვის არასწორი ფორმა 2-ჯერ ესმის (ერთხელ თავისი ნათქვამი და ერთხელ უფროსის გამეორებული და სწორი ფორმა მხოლოდ ერთხელ, რაც სწორი ფორმის დასწავლას ხელს არ უწყობს; ამ მაგალითში კი მზია არც სასიამოვნო საკომუნიკაციო გარემოს არღვევს და ბავშვს სიტყვის სწორ ფორმასაც ორჯერ აწვდის ძალდაუტანებლად). გულისხმიერი უფროსის როლი სწორედ იმის მიგნებაშია, თუ როდის და როგორ არ დაკარგო ბავშვის ინტერესი და ამ ინტერესზე დააშენო ენა. გულისხმიერმა უფროსმა იცის, როდისაა სტრუქტურირებული სწავლებისა თუ ცოდნის შემომწმების დრო და როდისაა ბავშვის კომუნიკაციური და ენობრივი უნარების სტიმულირების დრო ბუნებრივი გარემო.

კომუნიკაციის დამყარება თამაშისას

როდესაც ბავშვთან ერთად თამაშობთ, დიალოგის თემა თავისთავად გაქვთ და თუ ამ დროს ბავშვი არ გრძობს ძალდატანებას, ახსნას რამე ან პასუხები გასცეს შეკითხვებს, თქვენ ორს შორის დიალოგის გამართვის მშვენიერი ასპარეზი იხსნება. ეს განსაკუთრებით კარგი სტრატეგიაა იმ ბავშვებისათვის, ვისაც ენობრივი განვითარების შეფერხება ან დარღვევა აქვთ, ან აქვთ ორალურ-მოტორული პრობლემები და მინიშნებების, ჟესტების თუ სურათების საშუალებით ამყარებენ კომუნიკაციას. დიალოგს ყოველთვის სიტყვები არ სჭირდება! მაგალითად არავერბალურ ბავშვთან ერთად თამაშობთ და აგორებთ მანქანას დაღმართიდან. თუ ბავშვი იცინის და/ან ტაშს უკრავს, ან სხვანაირად გამოხატავს მანქანის ჩამოსრიალებზე რეაქციას, თუ ის შეკითხვაზე „კიდე?“, თავის დაქნევით ან სხვაგვარი მინიშნებით პასუხობს, თუ მასწავლებლის შეკითხვაზე, ჩვენებაზე, რომელი მანქანის დაგორება ურჩევნია, დიდი თუ პატარის, ცისფერის თუ წითელის, მინიშნებით პასუხობს, ეს უკვე მშვენიერი დიალოგიცაა და ინტერაქციაც.

თამაშის დროს კომუნიკაციის დამყარება ენის განვითარების არაჩვეულებრივი საშუალებაა, ამიტომ შესთავაზეთ ბავშვს მისთვის საინტერესო იდეები და შემდეგ მიეცით მას აღმოჩენისა და შესწავლის დრო და მიყევით თამაშში. მაგალითად, მანქანის სიმალლიდან დაშვება რაღაც დროით შეიძლება საინტერესო იყოს, მაგრამ ახლა იქნებ კარგია, რომ ამ დაღმართს ხიდიც ავუშენოთ და მანქანა ხიდის ქვეშაც გავატაროთ? ეს დიალოგის გაგრძელების კარგ საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ამ სიტუაციაში ვაიცმანი და გრინსბერგი შემდეგ სტრატეგიებსაც გვთავაზობენ:

კუბურებისგან კედელი ავაშენოთ, რომელსაც მანქანა დაეჯახება

დახრის კუთხე შევცვალოთ და დავაკვირდეთ, სხვა კუთხიდან მანქანა უფრო სწრაფად წავა თუ უფრო ნელა

გამოვიყენოთ სხვადასხვა ფორმის საგნები (ბურთები, კუბურები... და ვნახოთ, რა როგორ დაეშვება სიმალლიდან, ან

მოვანყოთ მინი სცენა მინიატურული სათამაშო კაცუნებისა და მანქანების გამოყენებით.

მთავარია, რომ აქტივობების ინიცირებისას არ ვიყოთ ზედმეტად დომინანტურები და არ დავარღვიოთ ბავშვის ლიდერობა.

ხანდახან ყველაფერი გეგმის მიხედვით არ მიდის. ბავშვები შესაძლოა არ დაინტერესდნენ იმ თემით, რომელიც შეარჩიეთ ან შესაძლოა, ამ თემის სხვა ასპექტი აინტერესებდეთ. შესაძლოა, მათ იმ აქტივობით დაკავება უფრო დიდხანს მოუნდეთ, ვიდრე გათვლილი გქონდათ. იყავით მოქნილი და მზად, შეცვალოთ გეგმები, რათა წაახალისოთ მათი ცნობისმოყვარეობა და შეინარჩუნოთ მათი ინტერესი.

შეუსაბამეთ თქვენი შეკითხვები ბავშვის კომუნიკაციური უნარების და ენობრივი განვითარების დონეს (1).

გოი ბოლო დღეების მანძილზე ხშირად ამბობდა, რომ სტუმრად მიდის თავის ბიძასთან. დალი მასწავლებელს უნდა, იყოს ყურადღებიანი და გიოს აჩვენოს, რომ მისთვის მნიშვნელოვანი მოვლენით ისიც დაინტერესებულია.

დალი: გოი, რა ქენი გუშინ ბიძაშენთან?

მაგრამ, გოი ამ შეკითხვას ვერ პასუხობს, რადგან ეს მისი განვითარების საფეხურისათვის შეუსაბამო, ზედმეტად ღია შეკითხვაა, ასე რომ, დალიმ შეკითხვა უნდა შეცვალოს.

დალი: გოი, იყავი გუშინ ბიძასთან სტუმრად?

გოი: კი

დალი: ვინ წაგიყვანა? დედამ და მამამ? ბებოც იყო?

გოი: ხო, დედამ და მამამ, ბებო არ იყო.

დალი: რა ითამაშე შენს ბიძაშვილებთან ერთად?

როდესაც დალიმ უფრო კონკრეტული, გიოს განვითარების საფეხურისათვის შესაბამისი შეკითხვების დასმა დაიწყო, დიალოგიც განვითარდა.

ცხადია, შეკითხვები უნდა შევუსაბამოთ იმ ბავშვებსაც, ვისაც მეტი კომუნიკაციური უნარები აქვთ და მეტი ლაპარაკი შეუძლიათ.

მაგალითად, როდესაც მასწავლებელი ხედავს, რომ ბავშვებმა დიდი ციხესიმაგრე ააშენეს, მისი კომენტარი, უფრო ხშირად ასეთია ხოლმე: მაღალი კოშკი ააშენეთ? რაზეც ბავშვები მარტივად პასუხობენ: - დიახ. არადა, მასწავლებელს მათი განვითარებისა და შესაძლებლობების შესაბამისი შეკითხვა, რომ დაესვა, მაგალითად: - რა არაჩვეულებრივი ციხესიმაგრეა, რისთვის ააშენეთ? ბავშვები სავარაუდოდ უპასუხებდნენ: - ეს ციხესიმაგრე ჩვენი ჯარისკაცებისათვის ავაშენეთ, ისე, რომ ცუდიანებმა შემოჭრა ვერ შეძლონ... უდაოა, რომ ორ შეკითხვასა და ორ პასუხს შორის ენობრივი განვითარების სტიმულირების თვალსაზრისით ბევრი განსხვავებაა.

კავშირი ამბების თხრობას, წიგნთან ურთიერთობასა და ენობრივ განვითარებას შორის

ენობრივ განვითარებასთან დაკავშირებული კვლევები ადასტურებს, რომ ენობრივ განვითარებასა და ადრეულ ასაკში კითხვასა და ამბების თხრობას შორის ძლიერი კავშირია.

ამბების თხრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში. ამბები ბავშვს აზიარებს ენას, ენის რითმსა და სტრუქტურებს, ლიტერატურას; ამბების თხრობა ეხმარება ბავშვებს, განვიითარონ წარმოდგენის უნარი და ასევე

ეხმარება იმ სამყაროს გაგებასა და აღქმაში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ამ ასაკში ბავშვებისათვის ამბის თხრობა ძალიან სასიამოვნო პროცესია, რადგან მათ სჯერათ ყველაფრის, რასაც უყვებით და ავლენენ საოცარ ინტერესს მონაყოლი ამბების მიმართ. შესაბამისად, ბავშვებისათვის ამბების თხრობა შეიძლება ყველა თემაზე და თხრობისას შეიძლება გამოვიყენოთ ყველა ნივთი და მთელი ჩვენი შემოქმედებითობა - ეს შეიძლება იყოს ამბავი იმ პატარა და უძვირფასეს ნივთზე, რომელიც ბავშვობაში გქონია, ეს შესაძლოა იყოს წლების წინ გადაღებული ფოტო, ბავშვობის ერთი თავგადასავალი, სუნი, რომელიც სამზარეულოში დგებოდა, როდესაც ბებო ნამცხვარს აცხობდა, ცელქი ბიძაშვილი, რომელთან ერთადაც მურაბებს იპარავდი, ამბავი ტყეში მცხოვრებ ბუზუნა ჯუჯაზე ან სამი გოჭის ზღაპარი - ყველაფერი ის, რაც ავითარებს ენის გამოყენებას და ბავშვის წარმოდგენის უნარს. ბავშვები ამბის თხრობაში უკეთ ერთვებიან, როდესაც თავადაც აქტიურად არიან ჩართული - აბა, ერთად დავუყვიროთ; აბა, ერთად შევუბეროთ და ა.შ. მათ ძალიან უყვართ, როდესაც ამბავში საგნებიც მონაწილეობენ - უეცრად ჩანთიდან ამოღებული ნივთი, ანდა შუაზე გაჭრილ ვაშლში ჩახატული ვარსკვლავის ფორმაც კი შესაძლოა, კარგი საბაზი იყოს ამბის მოსაგონებლად; ასანთის ცარიელ კოლოფებზე მიბმული მავთულის ფეხები და ხელებიც კი შესაძლოა, საკმარისი იყოს მთელი ოჯახის წარმოსაჩენად. ამბის მოყოლა შეიძლება ყველაფერზე - უფროსებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ხშირად უსმინონ ენას - ოჯახის ამბები, საიდან ვართ, ვინ იყვნენ ჩემი წინაპრები, რა ხდებოდა ჩემს ბავშვობაში, სად ვისვენებდით, როცა ბავშვები ვიყავით, როგორი ჩიტის ბუდეები იყო იქ, რას ამბობდა ხოლმე ბებო და ა.შ. ბავშვებს ძალიან მოსწონთ ამბები, რომელშიც ისინიც მონაწილეობენ. თუ სადმე წასვლას გეგმავთ, წინასწარ მოუყევით ბავშვს ამბავი იმ ადგილის შესახებ. ეს ენობრივ განვითარებაში დახმარების გარდა, საკუთარი ქალაქის და ქვეყნის ისტორიის შესწავლის კარგი საშუალებაც იქნება.

კვლევები (2) ადასტურებს, რომ ბავშვები დიდ სარგებელს იღებენ, თუ მათ უკვე 8 თვის ასაკიდან რეგულარულად ვუკითხავთ, ოღონდ მნიშვნელოვანია, რომ კითხვის პროცესი იყოს ბავშვის ინტერესისა და ასაკის მიმართ სენსიტიური და ორმხრივი კომუნიკაციით მდიდარი (11).

არსებობს სულ სამი (2) რამ რის გამოც წიგნის კითხვა გავლენას ახდენს ბავშვების ენობრივ განვითარებაზე:

პირველ რიგში, ეს ბავშვებს საშუალებას აძლევს, გაიგონონ ახალი სიტყვები მრავალფეროვან გრამატიკულ კომბინაციებში. ბავშვებისთვის დაწერილი კარგი წიგნები მდიდარია მრავალფეროვანი ლექსიკითა და კარგად ფორმულირებული მოკლე წინადადებებით. გარდა ამისა, საბავშვო წიგნებში ხშირად ვხვდებით ერთი და იგივე სიტყვას სხვადასხვა გრამატიკულ ფორმაში, რაც ბავშვებს კარგად აჩვენებს, როგორ იცვლება და გამოიყენება სიტყვები. წიგნებში გამოიყენება ისეთი სიტყვები, რომელსაც შედარებით იშვიათად ვიყენებთ ყოველდღიურ სამეტყველო ენაში. სენეშალის (21) ის კვლევის მიხედვით, მშობლები ადასტურებდნენ, რომ წიგნების გაზიარებული კითხვა მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო მათი შვილების რეცეპტული და ექსპრესული⁶ ლექსიკონის გასამდიდრებლად. ყველა ენაში არსებობს სიტყვათა საბაზისო ერთეული დაახლოებით 5000 სიტყვა, რომელსაც კომუნიკაციის დროს ყველაზე ხშირად ვიყენებთ ხოლმე. ამ სიტყვებს მაღალი სიხშირის (ხშირად გამოყენებადი) სიტყვები ეწოდება, თუმცა, ცხადია, ენის კარგად ცოდნა ამ 5000 სიტყვაზე ბევრად, ბევრად უფრო მეტი სიტყვის ცოდნასა და გამოყენებას გულისხმობს. დომინიკ მასაროს მიერ ჩატარებული კვლევა (22) აჩვენებს, რომ ბავშვსა და

6 რეცეპტული ლექსიკონი -სიტყვები რომელიც გესმის, ექსპრესული ლექსიკონი -სიტყვები, რომლებსაც ამბობ.

უფროსს შორის ზეპირ დიალოგთან შედარებით, საბავშვო წიგნებში სამჯერ უფრო მეტია ისეთი სიტყვების რაოდენობა, რომელიც არ შედის ინგლისური ენის ყველაზე ხშირად გამოყენებად 5000 სიტყვას შორის, შესაბამისად, თუ გვინდა, რომ ბავშვებს ენა კარგად განუვითაროთ, მათთან მხოლოდ ლაპარაკი საკმარისი არ არის, მათ აუცილებლად უნდა ვუკითხოთ კიდევ. „ჩვენი სამეტყველო ენა „ზარმაცია“ - ამბობს მასარო - როდესაც რამის თქმა გვინდა, ჩვენ მიდრეკილები ვართ გამოვიყენოთ ნაცვალსახელები და ბუნებრივი ფესტები, იმ იმედით, რომ კონტექსტი სათქმელს ისედაც გასაგებს გახდის. უფრო ხშირად საუბრისას, ჩვენ საბავშვო ენას ვიყენებთ“ - მაგალითად, - „აი, ის მომანოდე, იქ რომ დევს“. ცნობილი ფაქტია, რომ წიგნიერება და კარგი წერა-კითხვის უნარები პირდაპირ კორელაციაშია (კავშირშია) ადრეულ ბავშვობაში ენის ათვისების ხარისხთან, ამიტომ ადრეულ ასაკში წიგნების კითხვა ძალიან კარგი გზაა ბავშვების წიგნიერების და აკადემიური უნარების გასავითარებლად.

მეორე გზა, რომლითაც წიგნების კითხვა ამდიდრებს ბავშვების ენას, არის გაზიარებული ყურადღებისა და ინტერესის ნახაღისება (7-8). საბავშვო წიგნები-ბევრი სხვადასხვა ნიშნით- ახერხებს ბავშვების ყურადღების ხანგრძლივად შენარჩუნებას. წიგნის გვერდი ყურადღების ფოკუსირების კარგი საშუალებაა, ხშირადაა გამოყენებული დიდი და მუქი შრიფტი, კონტრასტული ფერები და მრავალფეროვანი ნახატები; მოძრავი საგნებისგან, მაგალითად, ბურთისგან და მანქანისგან განსხვავებით, წიგნები „არსად გარბის“ და მყარად რჩება შენს ხელეში. ყურადღებამა უფროსმა ადვილად შეიძლება შენიშნოს, სად არის ბავშვის ყურადღება წიგნის გვერდის თვალთვლისას, მიყვება ბავშვის ინტერესს და თავისი კომენტარებით დაეხმაროს ბავშვს, გაიღრმავოს ან დაიკმაყოფილოს ინტერესი.

დაბოლოს, წიგნის კითხვა ეხმარება ბავშვებს ენის დასწავლაში, რადგან წიგნი მსმენელისგან სიტყვათა მნიშვნელობის გააზრებასა და აქტიურ ჩართულობას მოითხოვს. როდესაც წაკითხული წიგნი ბავშვებსა და უფროსებს კომუნიკაციის გაბმისკენ უბიძგებს, და როდესაც ეს კომუნიკაცია წიგნში ამოკითხულ ფარგლებს გაცდება ხოლმე - ასე ხდება დიალოგური კითხვისას (23) - ისინი მონაწილეობენ ენობრივ აქტივობაში, რომლის კიდევ უფრო მეტ ლექსიკურ მარაგსა და მრავალფეროვანი სტრუქტურის მქონე წინადადებებს იყენებს. დიალოგური კითხვისას, უფროსი მიყვება ბავშვის ინტერესს და ერთვება დიალოგში ბავშვთან წიგნში გვერდზე არსებული მასალის, ან იმ გამოცდილების შესახებ, რაც ბავშვს წაკითხულთან დაკავშირებით ჰქონია. ასეთ დროს წიგნის კითხვა ხდება „ახლო და პერსონალური ურთიერთობა“ და საუკეთესოა ბავშვის ენობრივი განვითარებისათვის (23).

როდესაც სკოლამდელი ასაკის ბავშვს ვუკითხავთ, უნდა გვახსოვდეს: დასხვადით ერთმანეთთან ახლოს. სასურველია, ერთ სიმაღლეზე და ისე, რომ ერთმანეთს უყურებდეთ და ერთმანეთის სახის გამომეტყველების გაცვლა შეგეძლოთ. წიგნის კითხვის და ამბების მოყოლის დრო დიალოგის დროცაა და არა მხოლოდ ჯდომისა და მოსმენის. ამიტომ, თანამედროვე მკვლევარები გვიჩვენებენ (18), წიგნის კითხვის პროცესს შევხედოთ არა როგორც ბავშვისთვის კითხვას, არამედ ბავშვთან ერთად კითხვას. ამ პროცესში ბავშვი აქტიურად უნდა იყოს ჩართული. უფროსებისთვის ხანდახან „გვეგმის შესრულება“ მნიშვნელოვანი, არადა ბავშვი სიამოვნებას წიგნთან და თქვენთან ურთიერთობის პროცესიდან იღებს და არა წაკითხული წიგნების რაოდენობიდან.

წიგნების მეშვეობით ბავშვები საკუთარ სამყაროს ახალ სამყაროს უკავშირდებიან. წიგნის ამბებსა და ილუსტრაციებს ისინი გადაყავთ სხვა გარემოსა და

სიტუაციებში, რითაც იფართოებენ ცოდნას, გამოცდილებას და წარმოსახვის უნარებს. ამ უალრესად მომავადობელ პროცესში ბავშვი შესაძლოა, ამბის ერთი დეტალით განსაკუთრებით დაინტერესდეს ან ერთი და იგივე ამბის კიდევ და კიდევ მოსმენა მოუნდეს. წიგნის კითხვის პროცესი მათი შინაგანი სამყაროს გაფართოების შესაძლებლობა უნდა იყოს და არა „დაჯექი და მომისმინე“ აქტი. შესაძლებელია, ბავშვმა ერთ კონკრეტულ გვერდზე უფრო დიდხანს მოინდომოს შეყოვნება, კონკრეტული სურათის თვალთვლება და მაინცდამაინც ერთ ფაქტზე კითხვების დასმა. ნუ უბიძგებთ ამ დროს ბავშვს, წავიდეს წინ, რადგან თქვენ ფიქრობთ, რომ უფრო მნიშვნელოვანი წიგნის ბოლომდე ჩაკითხვაა. პირიქით, გამოიყენეთ მისი ინტერესი საინტერესო დიალოგის გასამართად და მისი ცოდნისა და აზროვნების გასაფართოებლად (18).

როგორც ელან ვაიცმანი და ჯანის გრინბერგი გვიჩვენებენ (1), წიგნის კითხვისას თავი თანამედროვე ინტერაქციული თეატრის მსახიობად უნდა იგრძნოთ - „პუბლიკასთან“ მაქსიმალურად საინტერესო ურთიერთობა უნდა დაამყაროთ; თუ ბავშვის ინტერესების მიყოლა ამას მოითხოვს, შეგიძლიათ გამოტოვოთ გვერდები, ან არ დაასრულოთ კითხვა, ანდა ერთი და იგივე წიგნის რამდენჯერმე წაკითხვა მოგიწიოთ - მთავარია შედეგს ინტერაქცია! ყველა საბავშვო წიგნი კარგად დაწერილი არ არის. თუ საჭიროა, კითხვისას გაამარტივეთ და შეამოკლეთ წინადადებები. გამოყავით, ხმამაღლა წარმოთქვით საკვანძო სიტყვები. კითხვისას, თხრობისას ცვალებით ინტონაცია, ისაუბრეთ ნელა და მიეცით ბავშვებს საშუალება, ჩაერთონ. მიუთითეთ ბავშვებს კონკრეტული სიტყვების მნიშვნელობაზე ნახატების ჩვენებით და საუბრით.

წიგნები სხვადასხვაგვარი არსებობს - ზოგი მხატვრულია, ზოგი საინფორმაციო. კითხვის დაწყებამდე აჩვენეთ ბავშვებს წიგნის ყდა, წაუკითხეთ სათაური და ავტორი; შეეცადეთ გამოაცნობინოთ, რა უნარის შეიძლება იყოს წიგნი: ზღაპარი, საბავშვო მოთხრობა, ლექსების წიგნი, წიგნი ცხოველებზე, ტრანსპორტზე და ა.შ. წაახალისეთ ბავშვები წინასწარ იმსჯელონ, რა შინაარსის შეიძლება იყოს წიგნი, ან როგორ შეიძლება ის უკავშირდებოდეს მათ გამოცდილებას ან ადრე წაკითხულ სხვა წიგნს. შეგიძლიათ ბავშვებს მოკლედ განუმარტოთ, რატომ აირჩიეთ ესა თუ ის წიგნი წასაკითხად, მაგალითად, „ეს მოთხრობა ერთ ბიჭზეა, რომელსაც უცნაური თავგადასავალი გადახდა ზაფხულში. თქვენ ხომ ახლა დაბრუნდით ზაფხულის არდადეგებიდან. მოდი, ერთად წავიკითხოთ და მერე თქვენი ამბებიც მოვყვეთ“, ან „ეს წიგნი ბევრჯერ მაქვს წაკითხული, ძალიან მიყვარს - თავუნიასა და ვეშაპის მეგობრობაზეა, ძალიან მაინტერესებს თქვენ როგორ მოგეწონებათ და რას იტყვით ამ ამბის შესახებ“.

წიგნის კითხვისას ბავშვები მეტი ინტერესით ჩაერთვებიან, თუ ამ პროცესში მათ ემოციებსა და გამოცდილებასაც მიაქცევთ. მაგალითად, კითხულობთ: „გოგონამ დედას უთხრა, - მაინც ვერ დამიჭერ- და გაიქცა“. ამ დროს კარგია, თუ შეჩერდებით, გაოცებულ სახეს მიიღებთ და იტყვით: „ვაიმე, ახლა ნეტა, რა მოხდება? მგონი, ცუდი ამბები დატრიალდება, რას იზამდა შენი დედიკო მისგან რომ გაქცეულიყავი?“.

გამომდინარე იქიდან, რომ წიგნთან ურთიერთობასა და ენობრივ განვითარებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, უალრესად მნიშვნელოვანია, წავუკითხოთ იმ ბავშვებს, ვისაც ენობრივი განვითარების სირთულეები აქვს. თუ საინტერესოდ მივანოდებთ, წიგნით ყველა ბავშვი ინტერესდება. წიგნებს ერთი უპირატესობა აქვს დიალოგთან შედარებით, დიალოგისგან განსხვავებით, ენა და სიტყვები წიგნში „არ ქრება“, ისინი ყოველთვის უკან ბრუნდება, როდესაც წიგნს თავიდან ვკითხულობთ (1). შესაბამისად, წიგნის კითხვა არაჩვეულებრივი კონტექსტია, რომლის ფარგლებშიც ბავშვებს თავისი ენობრივი შესაძლებლობების განვითარება შეუძლიათ. როდესაც ბავშვებს წიგნში მოყოლილი ამბები კიდევ და კიდევ ესმით, ისინი მეტს და მეტს იგებენ მის შესახებ და წიგნის ენა მათთვის უფრო და უფრო ახლობელი ხდება. საყვარელი წიგნი დროთა განმავლობაში ხდება იმდენად ნაცნობი, რომ ბავშვი მას თავად „კითხულობს“.

როდესაც ძალიან პატარა ბავშვებს ან უფრო მოზრდილ ბავშვებს ვუკითხავთ, რომელთა ენობრივი განვითარებაც ჯერ პრე-ვერბალურ დონეზეა, მნიშვნელოვანია, ვიყოთ მათთან პირისპირ, მათ სიმალღებზე და შევარჩიოთ წიგნები დიდი, ფერადი და ნათელი ილუსტრაციებით; სასურველია, სენსორული შეგრძნებების შესაძლებლობებითაც. წიგნის კითხვის დროსაც არ დაგავინწყდეთ დაკვირვების, დალოდების და მოსმენის სტრატეგია. დააკვირდით, რა მოეწონება ბავშვს და დაელოდეთ მის რეაქციებს, მოუსმინეთ მათ კომუნიკაციურ მინიშნებებს და გქონდეთ შესაბამისი რეაქცია - მიყევით ბავშვის ინტერესს: დაასახელეთ, ახსენით, განავრცეთ. ამ ასაკში მოკლე, ცხადი წინადადებები ბავშვისთვის გასაგებს ხდის, რა ხდება წიგნში. ასევე მნიშვნელოვანი სტრატეგიაა წიგნში აღწერილის პანტომიმური განსახიერებაც (ბავშვმა დაიძინა, დედა ტელეფონზე ლაპარაკობს, ძალი ყეფს და ა.შ.) ასევე სასარგებლოა წიგნში აღწერილი ამბის, მაგალითად, „დედა ტელეფონზე ლაპარაკობს“ რეალურ საგანთან დაკავშირება, ყურმილის აღება და ტელეფონით „დარეკვა“ და ა.შ.

როდესაც უფრო მოზრდილ ბავშვებს უკითხავთ, რომლებიც უკვე იყენებენ 3-4 სიტყვიან წინადადებებს, იყავი მათი მოდელი და ნახალისეთ, გამოიყენონ ენა, რათა წიგნში ამოკითხულის შინაარსი დააკავშირონ იმასთან, რაც უკვე იციან. რომ აუხსნათ, რა მოხდა და ივარაუდონ, რა მოხდება მერე, ისაუბრონ ხასიათებსა და გრძნობებზე.

თუ წიგნის კითხვისას დაიცავთ ქვემოთ მოყვანილ 8 პრინციპს (1) და თან ამას ჩართულობითა და ენთუზიაზმით გააკეთებთ, თქვენს მოსაწავლეებს მისცემთ ენისა და აზროვნების განვითარების ყველა შესაძლებლობას; შეაჩვენეთ მათ განმატრელებების გაკეთებას, გამოცდილებაზე საუბარს, ემოციების გაზიარებას, მოვლენების შეფასებას, ვარაუდს, დაგეგმვასა და პრობლემის გადაწყვეტას - ანუ განუვითარებთ მათ ყველა იმ უნარსა და თვისებას, რაც მათ ასე გამოადგებათ სწავლასა და მომავალ ცხოვრებაში:

დავუშვათ, რომ ბავშვებს უკითხავთ ზღაპარს „გოგონა და სამი დათვი“:

- განმარტეთ: გოგონამ მაგიდაზე დატოვებული ფაფა იმიტომ შეჭამა, რომ ძალიან მშვიდი იყო
- ისაუბრეთ გამოცდილებაზე: პატარა გოგონას მსგავსად, როდისმე, რაიმე ისეთის გაკეთება თუ მოგდომებია, რისი გაკეთებაც არ შეიძლება?
- ემოციები: როგორ ფიქრობ, რას იგრძნობდა პატარა დათვი, თავისი სკამი გატეხილი რომ დახვდა?
- შეაფასეთ: კარგი აზრი იყო, გოგონამ ტყეში წასვლა მარტომ რომ გადარწმუნებდა?
- ივარაუდეთ: რას იფიქრებდნენ დათვები, თავიანთ საძინებელში დაძინებული პატარა გოგონა რომ დაინახეს?
- დააგეგმინეთ: თუ გავილვიძებ და დავინახავ ჩემკენ წამოსულ დათვებს, ალბათ ძალიან სწრაფად გავიქცევი
- პრობლემის გადაწყვეტა: რა უნდა ქნას გოგონამ, შინ რომ დაბრუნდეს?
- წარმოიდგინეთ: მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ ანა პატარა გოგონაა, ნიკა-პატარა დათვი, დათვი და ელენე- დედა და მამა დათვები, და ეს ამბავი გავათამაშოთ.

რომ შევაჯამოთ, რაც უფრო ადრე დაიწყებთ ბავშვებისათვის წიგნების წაკითხვას, მით უფრო მალე გახდება კითხვა ბავშვის ცხოვრების მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ნაწილი. მით უფრო უკეთ შეძლებენ ბავშვები ენის განვითარებას და მით უკეთ მოემზადებიან მომავალი ცხოვრებისათვის.

კომუნიკაციის და ენის სირთულეები

არსებობს მითი, რომ ენობრივი სირთულეების მქონე ბავშვი ენის განვითარებას თავისთავად შეძლებს, თუ ის საბავშვო ბაღში „ტიპური“ განვითარების ბავშვების გვერდით იქნება. სინამდვილეში:

- ბავშვები, რომლებსაც კომუნიკაციის სირთულეები აქვთ, ხშირად არიან უარყოფილები და იზოლირებულები;
- ტიპური განვითარების ბავშვი თითქმის არასდროს ირჩევს თამაშში პარტნიორად ენობრივი შეფერხების მქონე ბავშვს;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს ურჩევნიათ, ჯგუფში უფროსებთან იურთიერთონ, ვიდრე თავიანთ თანატოლებთან;
- თუ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი ჩართულია ბავშვების ჯგუფურ თამაშებში, მას, როგორც წესი, პასიური როლი აქვს, მაგალითად, „ჩვილი“-სახლობანას თამაშისას. (1).

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ თავისთავად, უფროსების მხრიდან დახმარებისა და სპეციალური ჩარევის გარეშე, მხოლოდ ზრდასთან ერთად, ეს პრობლემები არ გვარდება. თუ ბავშვს არ ეხმარებიან განვითაროს სოციალური და კომუნიკაციური ურთიერთობები საბავშვო ბაღში, მას თანატოლებთან ურთიერთობისას პრობლემები ექმნება სკოლის ასაკშიც. შესაბამისად, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს სჭირდება სპეციფიკური და თანმიმდევრული დახმარება, ჯგუფის აქტიური და ჩართული წევრი რომ გახდეს. მისი წარმატებული ჩართვა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ზრუნავს აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და ბაღში მომუშავე სხვა სპეციალისტი მის განვითარებასა და სხვა ბავშვებთან ურთიერთობაზე.

მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ენისა და კომუნიკაციის პრობლემებთან, ცვალებადია. გარკვეული მონაცემების თანახმად, შესაძლოა მეტყველებისა და კომუნიკაციის პრობლემები 30 ბავშვიან ჯგუფში დაახლოებით სამ ბავშვს ჰქონდეს.

როდესაც კომუნიკაციური და ენობრივი შეფერხება ან დარღვევა დროულადაა იდენტიფიცირებული და შესაბამისი დახმარებაც დროულადაა აღმოჩენილი, მომავალი სირთულეები- სოციალიზაციასა და სწავლაში- ან თავიდანაა არიდებული, ან შესაძლო მინიმუმამდეა დაყვანილი. ამიტომ, ადრეულ ასაკში მშობლისა და ბავშვ-ბაღში მომუშავე ადამიანების ფხიზელი თვალი, და საჭიროების შემთხვევაში, ადრეული ჩარევა, ბავშვის მომავალ ცხოვრებაში ბევრ რამეს განსაზღვრავს.

შესაბამისად, პირველი, რაც ბავშვ-ბაღში ბავშვებთან მომუშავე ადამიანებმა უნდა იცოდნენ, არის ბავშვის ენობრივი ათვისების ეტაპები. მათ ასევე უნდა ესმოდეთ კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართება და მათი კავშირი ბავშვის სხვა, განსაკუთრებით კი სოციალურ-ემოციურ და აკადემიურ უნარებთან.

კომუნიკაცია ადამიანებს სჭირდებათ არა მხოლოდ საკუთარი საჭიროებების გამოსახატავად და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისათვის, არამედ ემოციებისა და იდეების, სხვა ადამიანების შეხედულებების, აზრებისა და ფართო კონტექსტის გასაზიარებლად. როდესაც კომუნიკაციაზე ვსაუბრობთ, სულ უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება მეტყველება არ არის. ბევრი ადამიანი ახორციელებს წარმატებულ კომუნიკაციას არავერბალური საშუალებების გამოყენებით: ნიშნების, ჟესტების, ბარათების ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

AAC - ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია

როდესაც ბავშვი ვერ ახერხებს ლაპარაკს (ვერ ივითარებს ფუნქციურ ენას, სავარაუდოდ, ორალურ-მოტორული სირთულეების გამო), მას აუცილებლად უნდა შევთავაზოთ **კომუნიკაციის ალტერნატიული** საშუალებები - ეს შეიძლება იყოს მინიშნებები, ჟესტები თუ სურათები. ცხადია, ეს უნდა გავაკეთოთ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ესმის, რომ სიტყვას, ნიშანს ან სურათს რაღაც შინაარსი აქვს. რამდენადაც უკეთესად ესმის ბავშვს სიტყვები (მისი შინაარსი და ფუნქცია), მით უკეთესი იქნება მისი შესაძლებლობა, გამოიყენოს კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები.

არავერბალური ბავშვებისათვის ბუნებრივი ჟესტებით და/ან სურათებით კომუნიკაციის საშუალების შეთავაზება ამცირებს მათ იმედგაცრუებას კომუნიკაციასთან დაკავშირებით და ეხმარება მათ, გამოხატონ თავიანთი სურვილები. როდესაც ბავშვები ხედავენ, რომ კომუნიკაცია სარგებლობასთან და არა იმედგაცრუებასთანაა დაკავშირებული, ისინი მოტივირებულნი ხდებიან უფრო მეტად გამოიყენონ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები. ხანდახან, ბავშვი შესაძლებელია, სიტყვებისა და ჟესტების, ან სიტყვებისა და სურათების კომბინაციას იყენებდეს. ამ შემთხვევაში, კომუნიკაციის არავერბალური ფორმა **აუგმენტური კომუნიკაცია** იქნება, (და არა ალტერნატიული), რადგან ის ავსებს და არ ანაცვლებს მეტყველებას. დროთა განმავლობაში, როდესაც ბავშვი მეტყველებას უკეთ განვიითარებს, მან შესაძლოა აუგმენტური კომუნიკაცია მეტყველებით ჩაანაცვლოს).

არსებობს არასწორი მოსაზრება, რომ ალტერნატიული ან აუგმენტური კომუნიკაცია ვერბალურ კომუნიკაციას აფერხებს. პირველ რიგში, თუ ბავშვი ვერ მეტყველებს, მას აუცილებლად უნდა შევთავაზოთ კომუნიკაციის რაიმე საშუალება, რადგან კომუნიკაცია ადამიანის არსებობის საბაზისო ჩარჩოა და მისი შეზღუდვა (თუნდაც იმ სურვილით, რომ ბავშვმა სწრაფად განვიითაროს ვერბალური ენა) ბავშვის ემოციურ ტრამვას და შესაბამისად მიუღებელი ქცევის პროვოცირებას იწვევს.

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების საჭიროებები არის ზოგადი ტერმინი, რაც მოიცავს საჭიროებათა ფართო სპექტრს, მათ შორის:

- დარღვევებს კომუნიკაციაში და ენის პრაგმატულ/ფუნქციურ გამოყენებაში, რაც უფრო მეტად დამახასიათებელია აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის, თუმცა არამხოლოდ მათთვის.
- პირველ და მეორად ენობრივ დარღვევას - ენობრივი დარღვევა პირველადია, თუ ბავშვი სხვა დანარჩენ სფეროებში (კოგნიტური-შემეცნებითი, მოტორული, სოციალურ-ემოციური, ადაპტური) ნორმალურად ვითარდება და მას მხოლოდ ენის განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეები აღენიშნება. თუ ბავშვის ენობრივი განვითარება განვითარების ეტაპებს მიყვება, მაგრამ განვითარება უფრო შენელებული ტემპით ხდება, მაშინ სახეზეა ენობრივი განვითარების შეფერხება, მაგრამ, თუ ეს მდგომარეობა დროში ხანგრძლივდება და ბავშვის სოციალიზაციასა და აკადემიური უნარების დაუფლებაზე ახდენს გავლენას, მაშინ ენობრივი დარღვევა უნდა ვივარაუდოთ. ენობრივი დარღვევა შეიძლება ვლინდებოდეს ფონოლოგიური ალქმის თვალსაზრისით, მორფო-სინტაქსის თვალსაზრისით, სემანტიკის (ლექსიკის) თვალსაზრისით, ან სამივე მიმართულებით ერთად. როდესაც ენობრივი დარღვევა რაიმე სხვა მდგომარეობას ახლავს თან, მაგალითად, დაუნის სინდრომს, ცერებრულ დამბლას, აუტიზმს და ა.შ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეორად ენობრივ დარღვევასთან.

- ბავშვებს შეიძლება არ ჰქონდეთ პრობლემები ენის განვითარებაში, მაგრამ ჰქონდეთ გარკვეული პრობლემები არტიკულაციაში. არტიკულაციური პრობლემები ეწოდება მეტყველების მექანიკას, იმას, თუ როგორ იქმნება მეტყველებაში გამოყენებული ბგერები. ბავშვს შეიძლება პრობლემა ჰქონდეს სიტყვების წარმოთქმისას არტიკულაციის დონეზე იმის მიუხედავად, რომ მან ეს სიტყვები კარგად იცის.

მეტყველების, ენისა და კომუნიკაციის ურთიერთმიმართებას ფორმის, შინაარსისა და გამოყენების (ფუნქციის) მიხედვითად აღწერენ (24).

ფორმა: სამეტყველო ბგერების წარმოთქმა სიტყვათა კომბინაციებში.

შინაარსი: მნიშვნელობა, რომელიც გამოხატულია სიტყვების მეშვეობით (ობიექტები, ქმედებები, საგანთა შორის მიმართებები).

გამოყენება (ფუნქცია): მიზეზი რატომაც ვლაპარაკობთ (აზრის გამოხატვა, მიღება, გაპროტესტება); როგორ ვითვალისწინებთ სხვას, როდესაც მათთან შევდივართ კომუნიკაციაში (რა ინფორმაცია იციან უკვე, რა უნდა იცოდნენ, როგორ ვადაპტირდებით სხვადასხვა საკომუნიკაციო პარტნიორებთან? როგორ ვინყებთ, ვინარჩუნებთ და ვასრულებთ კომუნიკაციას სხვასთან?).

სამწუხაროდ, როდესაც ბავშვს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სირთულეები აქვს, უფრო მეტი ყურადღება ფორმას ექცევა და ნაკლები- შინაარსსა და გამოყენებას, არადა ენობრივი განვითარების არსი სწორედ შინაარსსა და გამოყენებაშია.

ბავშვებს შეუძლიათ ბგერებისა და სიტყვების, (წინადადებებისაც კი) იმიტირება ისე, რომ არ ესმოდეთ მათი ნათქვამის უკან არსებული აზრი. ძალიან მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ მხოლოდ ბგერებზე მუშაობა არ ეხმარება ენობრივ განვითარებას. ამიტომ, ბგერათა და სიტყვათა კომბინაციების გამოთქმაზე (ფორმაზე) მუშაობასთან ერთად, აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ იმ შინაარსსა და ფუნქციაზეც, რაც ბავშვის განვითარების ასაკისთვის შესაბამისია.

როდესაც ბავშვის ენობრივ განვითარებას ბუნებრივ გარემოში ვცდილობთ, ანუ, როდესაც ახალი სიტყვის მოდელირება ბუნებრივ სასაუბრო გარემოში ხდება, ბავშვს ვაძლევთ შინაარსის გააზრების საშუალებასაც, რადგან მან სიტყვა კონტექსტში გაიგონა და გაიგო. ბავშვის კომუნიკაციის სურვილსა და მზაობაზე პასუხი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ბგერებისა და სიტყვების გამოთქმის სწორად და მრავალჯერადად სწავლება, რადგან ხშირმა შესწორებამ და ძალდატანებამ შესაძლოა კომუნიკაციასთან დაკავშირებული იმედგაცრუება გამოიწვიოს.

შინაარსის კატეგორიები (ენა) მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგს: გამეორებას (კიდე, მეტი), გარემოში არსებულ საგნებსა და მოქმედებებს (ბურთი, ჭუპა-ჭუპა), არარსებულს (ფაფუ, აღარ არი), ქმედებებს (გახსენი, გაჩერდი, ახტი), სივრცით მიმართებებს (ზევით, შიგნით, ქვევით), კუთვნილებას (ჩემი, დედიკოსი), განსაზღვრებას (სველი, ჭუჭყიანი, გატეხილი, ცხელი), რაოდენობას (ორი, ბევრი), დროს (შემდეგ, მანამდე) და შედეგობრიობას (რადგან, ამიტომ) (24). მნიშვნელოვანია, შევქმნათ შესაძლებლობები გარემოში, სადაც ბავშვები ამ კატეგორიებთან მიმართებაში მრავალფეროვან გამოცდილებას მიიღებენ. თავი აარიდეთ დასახელების მოთხოვნაზე ფოკუსირებას და ამის ნაცვლად, მეტი

ყურადღება გაამახვილეთ ბავშვის ბუნებრივ კონტექსტში არსებულ საგნებსა და მის გამოცდილებაზე ამ საგნების მიმართ. ბავშვი ბურთის შესახებ სწავლობს მისი შეგრძნებით, როდესაც ხელში უჭირავს, როდესაც გამოცდის, რომ ის მრგვალია და გორავს. სურათები ამ მნიშვნელოვან მინიშნებებს ყოველთვის ვერ ჩაანაცვლებენ და შესაძლოა ბავშვისათვის საერთოდ აზრს მოკლებული იყოს, თუ ის იზოლირებულად გამოიყენება.

ძალიან ხშირად, ჩვენ ხელს ვუწყოთ მხოლოდ იმას, რომ ბავშვებმა დაასახელონ საგნები და მოითხოვონ რაც უნდათ, არადა ჩვენ ენას მხოლოდ დასახელებისა და მოთხოვნისათვის როდი ვიყენებთ. ჩვენს კომუნიკაციურ განზრახვებში, როგორც წესი, მოთხოვნასა და დასახელებასთან ერთად შედის სხვა უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციებიც: ფაქტების, მოვლენების კომენტირება, აზრისა და ემოციის გამოხატვა, გაზიარება. „თუ ჩვენ ენას ვუდგებით როგორც რალაცას, რაც უნდა „ვასწავლოთ“ და არა რალაცას, რაც უნდა „გამოიცადოს“ სხვებთან ურთიერთობისა და ინტერაქციის კონტექსტში, ბავშვებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, განვიტარონ კომუნიკაციურ ფუნქციათა მრავალფეროვნება“ (25). ჩვენ გვინდა ხელი შევუწყოთ ბავშვის უნარს, ახსნას, მოახდინოს სხვისი ქცევის რეგულირება, უარი თქვას, დასვას შეკითხვა, წარმოიდგინოს, შევიდეს ფართო დიალოგში (დისკურსი). თუ ნამდვილად გვინდა, რომ ამ ყველაფერს ხელი შევუწყოთ, გაზიარებული გამოცდილება (და არა სიტყვებისა და ბგერების ზეპირი დასწავლა) არის სწორედ ის, რითაც უნდა დავიწყოთ. გაზიარებული გამოცდილების კონტექსტში, ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ბავშვებს, თქვან რაიმე, გამოთქვან აზრი ისე, რომ ამ დროს ბავშვებს ნაკლები გამოცდილი შეკითხვები დავუსვათ, ბავშვის ინიციატივას მეტად დაველოდოთ და მისი კომუნიკაციის სურვილი მეტად წავახალისოთ.

შესაბამისად, რადგან ბავშვის ენობრივი და კომუნიკაციური უნარების განვითარებისათვის შინაარსსა და ფუნქციას (გამოყენებას) უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფორმას. როდესაც ბავშვის დახმარებაზე ვინყებთ ფიქრს, ჩვენს თავს უნდა დავუსვათ შემდეგი ტიპის შეკითხვები:

- რა სახის ურთიერთობები, საგნები და ობიექტები იწვევს მის ჩართულობას?
- როგორ რეაგირებს საგნებსა და ადამიანებზე მის გარშემო?
- შეუძლია თუ არა ყურადღების გაზიარება საგანსა და ადამიანს შორის?
- რომელია ისეთი აქტივობა (თუნდაც უმარტივესი, მაგ-ად რაიმე სათამაშოს ტრიალი), რომელში ჩართულობის დროსაც, მას ამ აქტივობასთან დაკავშირებული იდეის ან ემოციის სხვისთვის გაზიარება შეუძლია, (თუნდაც შეხედვით, გაცინებით ან მინიშნებით)?

ცხადია, გარდა ამ საკითხებისა, კარგად უნდა გვესმოდეს ენობრივი განვითარების რომელ სფეროში აქვს ბავშვს სირთულე, ერთში თუ რამდენიმეში. სასურველია, ბავშვის შეფასებაში, ენობრივი განვითარების თვალსაზრისით, ამ საქმის პროფესიონალი იყოს ჩართული. კარგი იქნება, თუ ბავშვის შეფასება არ მოხდება ერთჯერადად და მას სხვადასხვა გარემოში და ძირითად კომუნიკაციურ პარტნიორებთან⁷ დააკვირდებიან, რადგან გარემოსა და კომუნიკაციურ პარტნიორზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ბავშვის შეფასების შედეგები, როდესაც საქმე მხოლოდ კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების შეფასებას ეხება, შეიძლება გაერთიანდეს დანართში 2 მოყვანილ ფორმაში.

არსებობს ბავშვის ენობრივი განვითარების შეფასების ფორმალური და

7 როგორც წესი, ბალის ასაკში ბავშვის ძირითადი კომუნიკაციური პარტნიორები ბავშვის მშობლები, ოჯახის წევრები, ბალის პედაგოგები და ბალის მეგობრები არიან.

არაფორმალური ინსტრუმენტები. ბაგა-ბალის გარემოში, როგორც წესი, არაფორმალური ინსტრუმენტები (სხვადასხვა სახის კითხვარები ან რეიტინგული შკალები) გამოიყენება. ერთ-ერთ ასეთ ინსტრუმენტს დანართში 3 ნახავთ. ეს კითხვარი დაგეხმარებათ, უკეთ დაინახოთ, ვითარდება თუ არა ბავშვი ასაკის შესაბამისად, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თვალსაზრისით. არსებობს მცდარი მოსაზრება, რომ ბავშვის ენობრივ განვითარებაზე დაკვირვება და ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის მეტყველებას დაიწყებს. ბავშვის ენის განვითარება მისი დაბადებისთანავე (თუ უფრო ადრე არა) იწყება და შესაბამისად, უფროსები ყურადღებით უნდა იყვნენ ყოველთვის, რადგან ყველა ასაკს განვითარების თავისი ეტაპები და თავისებურებები გააჩნია. ამ ქვეთავის ბოლოს მოყვანილი ცხრილი 2 წლიდან იწყება, რადგან ბავშვები ბალში 2 წლის ასაკიდან შეიძლება მოხვდნენ. თუმცა, ბალის გარემოში მომუშავე ადამიანებს მნიშვნელოვანია ესმოდეთ, კომუნიკაციური და ენობრივი განვითარების თვალსაზრისით, რა მნიშვნელოვან საფეხურებს გადის ბავშვი 2 წლამდეც.

ბავშვის ენობრივი და კომუნიკაციური უნარების გასაუმჯობესებელი მიზნები და ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიები ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის გათვალისწინებით და ყველა ჩართული მხარის მონაწილეობით უნდა განისაზღვროს.

ბაგა-ბალის გარემოში ჩართული მხარე უნდა იყოს: მშობელი, აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი, ბალში ან ბალების გაერთიანებაში ინკლუზიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტი (ფსიქოლოგი, ლოგოპედი და/ან სპეციალური განათლების პედაგოგი), ბავშვთან მომუშავე ბალს გარე სპეციალისტი (არსებობის შემთხვევაში). თუ ბავშვის სპეციალური საჭიროებები თვალსაჩინოა, მაშინ ყველა ეს ადამიანი ბავშვის გუნდის წევრი უნდა გახდეს და ბავშვის ინდივიდუალური გეგმის განსაზღვრასა და შესრულებაზე გუნდურად უნდა იმუშაონ. ხოლო თუ ბავშვის საჭიროებები უფრო მსუბუქი სახისაა, ამ საჭიროებებზე რეაგირება შესაძლოა, მხოლოდ აღმზრდელმა მოახდინოს მშობელთან შეთანხმებით. საჭიროების შემთხვევაში კი, კონსულტაციები გაიაროს ყველა ხელმისაწვდომ რესურსთან, იქნება ეს ბალში, თუ ბალს გარეთ მომუშავე სპეციალისტი. ბაგა-ბალის გარემოში ბავშვების კომუნიკაციურ საჭიროებებზე მუშაობის მაგალითები იხილეთ შემდეგ შემთხვევათა განხილვებში: ანანო, დაჩი, მარი, ლუკა, ლიზი, სანდრო (ნაწილი 3).

გამოყენებული რესურსები:

1. Elaine Weitzman and Janice Greenberg, (2002). Learning Language and Loving it; Hanen Center Publication. გვ. 16.
2. David K. Dickinson et al., 2012. Child Development Research Volume 2012, Article ID 602807, <http://dx.doi.org/10.1155/2012/602807>
3. A. Fernald and A. Weisleder, (2011). “Early language experience is vital to developing fluency in understanding,” in Handbook of Early Literacy Research, S. B. Neuman and D. K. Dickinson, Eds., vol. 3, Guilford, New York, NY, USA.
4. B. Hart and T. Risley, (1995). Meaningful Differences in the Everyday Lives of American Children, Brookes Publishing, Baltimore, Md, USA.
5. D. A. Hackman and M. J. Farah, (2009). “Socioeconomic status and the developing brain,” Trends in Cognitive Sciences, vol. 13, no. 2, pp. 65–73.
6. P. Bloom, (2000). How Children Learn the Meanings of Words, MIT Press, Cambridge, Mass, USA.
7. N. Akhtar, F. Dunham, and P. J. Dunham, (1991). “Directive interactions and early vocabulary development: the role of joint attentional focus,” Journal of Child Language, vol. 18, no. 1, pp. 41–49.

8. M. Tomasello and M. J. Farrar, (1986). "Joint attention and early language," *Child development*, vol. 57, no. 6, pp. 1454–1463.
9. P. J. Dunham, F. Dunham, and A. Curwin, (1993). "Joint-attentional states and lexical acquisition at 18 months," *Developmental Psychology*, vol. 29, no. 5, pp. 827–831.
10. A. Fernald, A. Perfors, and V. A. Marchman, (2006). "Picking up speed in understanding: speech processing efficiency and vocabulary growth across the 2nd year," *Developmental Psychology*, vol. 42, no. 1, pp. 98–116.
11. K. Hirsh-Pasek and M. Burchinal, (2006). "Putting language learning in context: how change at home and in school affects language growth across time," *Merrill Palmer Quarterly*, vol. 52, pp. 449–485.
12. P. Estrada, W. F. Arsenio, R. D. Hess, and S. D. Holloway, (1987). "Affective quality of the mother-child relationship: longitudinal consequences for children's school-relevant cognitive functioning," *Developmental Psychology*, vol. 23, no. 2, pp. 210–215.
13. Z. O. Weizman and C. E. Snow, (2001). "Lexical input as related to children's vocabulary acquisition: effects of sophisticated exposure and support for meaning," *Developmental Psychology*, vol. 37, no. 2, pp. 265–279.
14. M. Imai, L. Li, E. Haryu et al., (2008). "Novel noun and verb learning in Chinese-, English-, and Japanese-speaking children," *Child Development*, vol. 79, no. 4, pp. 979–1000.
15. J. Gillette, H. Gleitman, L. Gleitman, and A. Lederer, (1999). "Human simulations of vocabulary learning," *Cognition*, vol. 73, no. 2, pp. 135–176.
16. P. L. Chase-Lansdale and E. Takanishi, (2009). "How do families matter? Understanding how families strengthen their children's educational achievement," Report from the Foundation for child development, New York, NY, USA.
17. C. Trevarthen, (2005). Reflections on the Nature and Emotional Needs of Infant Intersubjectivity.
18. Elaine Weitzman and Janice Greenberg, ABC and Beyond; (2010). Hanen Center Publication.
19. D. Dickinson (2001). Why we must improve teacher-child conversations in preschools and the promise of professional development. <https://depts.washington.edu/cqel/PDFs/DickinsonTeacherChildConvers.pdf>
20. J. Cooper (2010). Early Year Communication Handbook.
21. M. Sénéchal, (2011). "A model of the concurrent and longitudinal relations between home literacy and child outcomes," in *Handbook of Early Literacy Research*, S. B. Neuman and D. K. Dickinson, Eds., vol. 3, pp. 175–188, Guilford, New York, NY, USA.
22. Dominic W. Massaro, (2015). *Journal of Literacy Research*, Two Different Communication Genres and Implications for Vocabulary Development and Learning to Read.
23. G. J. Whitehurst, F. L. Falco, C. J. Lonigan et al., (1988). "Accelerating language development through picture book reading," *Developmental Psychology*, vol. 24, no. 4, pp. 552–559.
24. Lahey, M. (1988). *Language disorders and language development*. New York: Macmillan.
25. Michele Ricamato, (2008). Looking at Communication and Language from a Developmental Lens; ICDL DIR Institute.

კოგნიტური მხარდაჭერი ბარემო

ბავშვების კოგნიტური განვითარება, მათი აზროვნების ხელშეწყობა ადრეული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი საზრუნავია. კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესები ბავშვებთან ვლინდება, როგორც ყურადღების მიქცევა, დამახსოვრება, სიმბოლიზება, კატეგორიზაცია, დაგეგმვა, შეფასება, პრობლემის გადაწყვეტა, შექმნა, ფანტაზიორობა (2). ერთ-ერთი კლასიფიკაციით, შემეცნების პროცესები ექვს დონედ იყოფა, რომელიც აერთიანებს დამახსოვრებას, გაგებას, გამოყენებას, ანალიზს, შეფასებას და შექმნას. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ყოველი მომდევნო დონე რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. შესაბამისად, დამახსოვრება, გაგება და გამოყენება აზროვნების ქვედა დონეებია, ხოლო ანალიზი, შეფასება და შექმნა კი - ზედა. ცხადია, აზროვნებისთვის ყველა დონე მნიშვნელოვანია, მაგრამ ადრეულ ასაკში მხოლოდ ქვედა დონის ხელშეწყობა ბავშვის ჰოლისტური განვითარების პრინციპებს ეწინააღმდეგება და არ ქმნის აზროვნების სრულფასოვანი განვითარების პირობებს. მაგალითად, გამზადებული ინფორმაციის, ცოდნის მიწოდება, მისი დამახსოვრება და მხოლოდ დასწავლილის გამოყენება დაბალ სააზროვნო პროცესებს უწყობს ხელს და არ ეხმარება ბავშვს გადავიდეს აზროვნების უფრო მაღალ დონეზე.



განვიხილოთ შემეცნების თითოეული დონე.

დამახსოვრება. დამახსოვრება გულისხმობს ობიექტების, მოვლენების ცნობას, დასახელებას. ასევე, წესების, კლასიფიკაციების და კატეგორიების ცოდნას. სმენითი, წერილობითი ინფორმაციის დამახსოვრებას და გახსენებას მსგავსი, ან ზუსტი ფორმით (3).

გაგება. გაგება, როგორც აზროვნების ქვედა დონე, გულისხმობს ნასწავლი მასალის მნიშვნელობის წვდომას. ფაქტების, წესების, პრინციპების, პროცესების, ობიექტების, მოვლენების საკუთარი სიტყვებით აღწერას; შესაბამისი მაგალითის მოყვანას; ასევე, საგნების, მოვლენების, პროცესების თვალსაჩინო ნიშნით დახარისხებას და დაჯგუფებას (3).

გამოყენება. გამოყენება გულისხმობს ადრე ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. კერძოდ, ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში მოხმარება; მოდელის მიხედვით (ნასწავლი წესის მიხედვით) დავალების, სამუშაოს შესრულება; პროცედურის განხორციელება (3).

ანალიზი. ანალიზი აზროვნების მაღალი დონეა, რაც გულისხმობს ადამიანის წარმოდგენაში მთლიანი საგნის, მოვლენის ცალკეული ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფას; მასალის შემადგენელ ნაწილებად დაყოფას; ნაწილების შედარება-შეპირისპირებას; ნაწილებს შორის კავშირის ან სტრუქტურის დანახვას; მოვლენის მიზეზის (დაფარული აზრის აღმოჩენა) ახსნას; პროცესის კანონზომიერების გამოვლენას; მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენას (3).

შეფასება. შეფასებაც აზროვნების ზედა დონეა და გულისხმობს საკუთარი პოზიციის (არჩევანის) არგუმენტირებულ დასაბუთებას, გარკვეულ კრიტერიუმებზე ან სტანდარტებზე დაყრდნობით; დასკვნების გაკეთებას, პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთებას; მოქმედების შეფასებას (3).

შექმნა - ანალიზის სანინაალმდეგო პროცესს - სინთეზს მოიცავს და გულისხმობს ცალკე მოცემული ელემენტების (ნაწილების, თვისებების) გონებაში გაერთიანებას ახალი მთლიანობის სახით. შექმნა აზროვნების ზედა დონეა და მასში იგულისხმება: ნაწილების გაერთიანება ახალი სტრუქტურის შესაქმნელად; დაგეგმვა; ახალი, შემოქმედებითი პროდუქტის (ინტელექტუალური, მატერიალური) შექმნა ან გამოგონება; პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების მოფიქრება; პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვა (3).

უფროსის როლი აზროვნებითი პროცესების განვითარებაში

უფროსის როლი ბავშვის აზროვნებითი პროცესების განვითარებაში მნიშვნელოვანია. კარგი აღმზრდელი ყოველთვის ცდილობს, ბავშვი მაღალი აზროვნების პროცესებში ჩართოს - აფიქროს კრიტიკულად და განსხვავებულად, მისცეს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად, თავისი გამოცდილებით ააგოს ცოდნა და შექმნას.

აზროვნებითი პროცესების განვითარებისთვის აღმზრდელს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება შეუძლია. მაგ. შესაბამისი კითხვების დასმით, როგორცაა: „რა მოხდება, თუ ...?“ „გიფიქრიაზე?“ „რა პრობლემაა და როგორ აღმოაჩინე?“ „რა მოხდება, თუ ამას ცდი?“ „რატომ ფიქრობ, რომ ეს მოხდება?“ „როგორ შეგიძლია, ეს დააფიქსირო?“ „აბა, რას ამჩნევ ამ რიცხვებთან მიმართებაში?“ უფროსი ბავშვებს ეხმარება, იფიქრონ და იაზროვნონ მათ ირგვლივ მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებზე (4). ღია კითხვები ბავშვის მაღალი აზროვნებითი პროცესების სტიმულირებას ახდენს, ხოლო უფროსს-ბავშვის ფიქრების გაგებაში ეხმარება. ასევე გაითვალისწინეთ კითხვები ბავშვის ინდივიდუალური განვითარების შესაბამისი იყოს. მაგალითად, აქვს თუ არა ბავშვს ნანახი, სანამ მუხლუხოს ან ესკალატორის შესახებ ჰკითხავ; ან აქვს თუ არა საკმარისი ლექსიკური მარაგი, სანამ აღწერას სთხოვ.

ცხრილში იხილეთ აზროვნებითი პროცესების შესაბამისი კითხვების მაგალითები და კრიტერიუმები.

რომელია მაღალი დონის კითხვები⁸

მაღალი დონის კითხვაა, თუ	მაღალი დონის კითხვა არ არის, თუ
<ul style="list-style-type: none"> ✓ ბავშვი თავისებურად პასუხობს (მაგ. რითია განსაკუთრებული დედა?) ✓ ბავშვის ფიქრის, აზროვნების და შეხედულების განვითარებას უწყობს ხელს (მაგ. რომ შეგეძლოს ხელოვნების ცენტრის შეცვლა, როგორ შეცვლიდი? რატომ?) 	<ul style="list-style-type: none"> ✓ მასზე პასუხია კი ან არა (მაგ. გყავს ძმა?) ✓ მასზე პასუხი ცხადია (მაგ. რა ფერის არის ეს ფანქარი?) ✓ მხოლოდ ერთი სწორი პასუხია (მაგ. რომელია შენი ქურთუკი)

სხვადასხვა სააზროვნო უნარების ხელშემწყობი კითხვების მაგალითები⁹:

კოგნიტური პროცესები	შეკითხვების მაგალითები
<p>დამახსოვრება (ცნობა, დასახელება, დათვლა, გამეორება, გახსენება)</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ რა ფორმისაა ეს კუბი? ✓ რამდენი კუბისგან შედგება შენი კოშკი? ✓ რამდენ ბავშვს აცვია ლურჯი წინდა დღეს? ✓ ვინ არ არის დღეს? ✓ რა უნდა გავაკეთოთ საუზმის შემდეგ?
<p>გაგება (აღწერა, განხილვა, განმარტება, შეჯამება)</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ რომელი კუბი გამოიყენე პირველი? შემდეგი? რომელი კუბი დადე ყველაზე ბოლო შენს კოშკზე? ✓ როგორ ფიქრობ, რას გრძნობს ახალ გარემოცვაში ჩვენი ახალი ცხოველი? ✓ როგორ გვეხმარება ეს წესი, ვიყოთ ჯგუფის კარგი წევრები? ✓ როგორ დაეხმარები ალექსანდრას, თავი უკეთ იგრძნოს მას შემდეგ, რაც ეწყინა?

8 NAEC Webinar: Inspiring Higher-Level Thinking in Young Children. <https://www.youtube.com/watch?v=jdk1VR-kqME>

9 NAEC Webinar: Inspiring Higher-Level Thinking in Young Children. <https://www.youtube.com/watch?v=jdk1VR-kqME>

<p>გამოყენება (ახსნა რატომ, დრამატიზება, მისადაგება)</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ მაჩვენე, როგორ დაამაგრე ამ კონსტრუქციაზე სახურავი? ✓ გინახავს ამ შენობის მსგავსი რეალურ ცხოვრებაში? სად? ✓ რატომ ფიქრობ, რომ ნანას ეწყინა, საღებავის ქილა რომ ვერ გახსნა? ✓ დიდხანს რომ გემუშავა ამ კონსტრუქციაზე და ვილაცხა დაენგრია, რას გააკეთებდი? ✓ ჩვენ ვისაუბრეთ, თუ რას გრძნობს ლელა, მამა რომ რამდენიმე დღით საავადმყოფოში დაანვინეს. შეგიძლია მოგვიყვი, შენ როდის გრძნობდი თავს დადარდიანებულად? რა გააკეთე მაშინ?
<p>ანალიზი (ამოცნობა/დადგენა, გამოცდა, დასკვნა, შეცვლა, შედარება/შეპირისპირება)</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ რითი განსხვავდება შენი შენობა ანას შენობისგან? რითია მსგავსი? ✓ რა შეგიძლია გააკეთო იმისათვის, რომ მყარად იდგეს ეს შენობა? ✓ აბა, იფიქრეთ იმ წინააღმდეგობებზე, რაც გარეთ გავაკეთეთ. რამ იმუშავა? როგორ შეგვიძლია შევცვალოთ, რომ უფრო რთული გადასალახი იყოს, უფრო სახალისო იყოს? ✓ აბა, სხვანაირად როგორ დავალაგოთ, რომ ამ კუბებს სწორი ადგილი მივუჩინოთ?
<p>შეფასება (აზრის/შეხედულების გამოხატვა, მსჯელობა, დაცვა/კრიტიკა)</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ შენი შენობის რომელი ნაწილი იყო ყველაზე რთული ასაშენებელი? რატომ? როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ ამ კუბს მოვაცილებთ შენობას? ✓ როგორ ფიქრობ, არაუშავს, ამ წიგნში ბიჭმა ჭიანჭველას რომ დაადგა ფეხი? რატომ კი, ან რატომ- არა? ✓ როგორ ფიქრობ, ამან იმოქმედა?

<p>შექმნა (გააკეთო, შეადგინო) ააგო, დააპროექტო,</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ რისი გამოყენება შეგიძლია შენი შენობის ნახატის/ნახაზის დასახატად ისე, რომ ხვალ იგივე შენობა ააგო? ✓ რა ტიპის შენობა უნდა ააგო, რომ ყველა ეს მანქანა ერთდროულად მოათავსო? ✓ რა უნდა დავხატოთ კედელზე იმის საჩვენებლად, თუ როგორ ვეხმარებით ერთმანეთს და ვაკეთებთ კარგ რაღაცეებს? ✓ ზოგჯერ ძალიან ვბრაზობთ. რა ჩავდეთ ამ კალათში ისეთი, რაც დაგვამშვიდებს, როცა ეს დაგვჭირდება?
---	---

კოგნიტური განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები

აღმზრდელ-პედაგოგებს ბავშვების კოგნიტური განვითარების ხელშემწყობა დამატებითი სტრატეგიების გამოყენებითაც შეუძლიათ. ესენია:

- მასალების მრავალფეროვანი დანიშნულებით გამოყენება. უფროსების მხრიდან ბავშვების ნახალისება, მასალები გამოიყენონ არადანიშნულებისამებრ, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს. მაგალითად, ფანქრების გამოყენება, როგორც წერისა და ხატვისთვის, ასევე ადამიანების ფიგურებად, ან ფორმების (ფანქრებით სამკუთხედის გაკეთება) შესაქმნელად, სიმბოლურ და შემოქმედებით აზროვნებას უწყობს ხელს.
- აქტივობების ინდივიდუალიზაცია. აქტივობები ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ სხვადასხვა შესაძლებლობების ბავშვები აქტიურად მონაწილეობდნენ. მაგალითად, ქვიშის მაგიდაში ჩამალული „ძვლების გათხრები“ ხელით ან სხვადასხვა იარაღებით. წინასწარ მომზადებულია ჩონჩხის ნახატი იმის საჩვენებლად, თუ როგორ ქმნიან ცალკეული ძვლები ერთ მთლიანობას. ნაპოვნ ძვლებს კი ბავშვები ნახატის ნიმუშზე განათავსებენ. ამასთან, წიგნის წაკითხვა არქეოლოგიაზე ან ძვლოვან სისტემაზე, ან ორივე ერთად, უფრო მეტად აღრმავებს ბავშვების ცოდნას და მათ წარმოადგენს.
- კრეატიულობა და მრავალგვარ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის უნარების ხელშემწყობა. მრავალფეროვნება უნდა იყოს როგორც მასალების მხრივ, ასევე ურთიერთობის თვალსაზრისით, მაგალითად, ამბების თხრობა, ზღაპრების ილუსტრირება და ამბების გათამაშება. აღმზრდელები წიგნებს ისე უნდა უკითხავდნენ, რომ ბავშვები აქტიურად იყვნენ ჩართულები. მაგ. ღია კითხვების დასმა ბავშვებს დააფიქრებს, თუ რა შეიძლება მოხდეს შემდეგ, სანამ ფურცელს გადაშლი, სადაც ჩანს, თუ რა მოხდა. კითხვით ბავშვებს, რას ფიქრობენ, რას განიცდის გმირი. მათი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს იგი და ა.შ.
- ერთ თემაზე სხვადასხვა საშუალებებით მუშაობა. მაგალითად, ერთი და იმავე საკითხზე საუბარი, ხატვა, აშენება, გათამაშება, სიმღერა. უნივერსალური დიზაინით სხვადასხვა სწავლის სტილისა და განვითარების მქონე ბავშვების აქტიური მონაწილეობა ყველა აქტივობაში, დახმარებითაც კი.
- კვლევის ხელშემწყობა. აღმზრდელები უნდა აფასებდნენ ბავშვების მისწრაფებებს. საშუალებას აძლევდნენ, ახალი გზებით იკვლიონ მასალები, მოქმედებები; ნებას რთავდნენ, იმდენი ხანი იყვნენ, რამდენიც სრული კვლევისთვის სჭირდებათ.

- მრავალფეროვანი სენსორული აქტივობების უზრუნველყოფა. აღმზრდელები მრავალფეროვან სენსორულ აქტივობებს უნდა გეგმავდნენ, სადაც ბავშვების მხედველობა, სმენა, შეხება, გემო და მოძრაობაა ჩართული. მაგალითად, წარმოვადგინოთ არა მხოლოდ სტანდარტული ანბანი, არამედ სხვადასხვა სენსორული მასალისგან შექმნილიც, მაგ. პრიალა ქალაქისგან, ხაოიანი ფურცლისგან ისე, რომ ხელის გადასმით, თითებიც გრძნობდნენ ასოების მოხაზულობას. ან მაგალითად, იხტუნონ იატაკზე განლაგებულ დიდი ასოების მწკრივზე, ან შექმნან ასოები თოკით, რომლებსაც დაწერილ ასოებს დაადებენ (მეტი დეტალებისთვის იხილეთ თავი - უნივერსალური დიზაინი).
- გაკეთებულზე და გასაკეთებელზე საუბარი. აღმზრდელი ესაუბრება ბავშვებს იმის შესახებ, თუ რა გააკეთეს წინა დღეს, რას გააკეთებენ დღეს, რათა დაეხმარონ გახსენებაში, თავიანთი საქმიანობის შეფასებაში; ეხმარებიან, აირჩიონ, რომელი ნამუშევარი შეინახონ პორტფოლიოში. ასევე ახალისებენ ისაუბრონ, რა გააკეთეს შაბათ-კვირას სახლში, წინა საღამოს. შეიძლება მორიგეობით, სხვადასხვა დღეს- სხვადასხვა ბავშვმა ისაუბროს თავის ამბებზე.
- არჩევანის ხელშეწყობა. არჩევანი ბავშვებს უფრო დამოუკიდებლებს ხდის და თავიანთი სამუშაოს მართვაში ეხმარება. უფროსი აქტიური არჩევანის გაკეთებაში უნდა დაეხმაროს ბავშვებს. მაგალითად, 'დღეს სამი აქტივობა უნდა დავასრულოთ. იფიქრეთ, რომელი მათგანი უნდა გააკეთოთ პირველად. რა არის თქვენი მეორე არჩევანი? რა იქნება მესამე?' 'გადაწყვიტეთ, დღეს პარტნიორთან გსურთ მუშაობა თუ დამოუკიდებლად' 'რითი ითამაშებ?' ასევე უნდა ჰკითხოს და მოუსმინოს, თუ რატომ გააკეთეს ბავშვებმა ასეთი არჩევანი.
- ცნებების კვლევა. აღმზრდელ-პედაგოგი ისე გეგმავს აქტივობებს, რომ ბავშვებმა ცნებები სხვადასხვა დონეზე იკვლიონ, კონკრეტულიდან - აბსტრაქტულამდე. მაგალითად: რიცხვების დაკავშირება კონკრეტული საგნების ჯგუფთან, რიცხვების შესაბამისად დაკავუნება, უფრო აბსტრაქტული ნახატის მაგალითად, „თავაზიანობაზე“ დახატვა.
- იმიტაცია და წარმოსახვა. იმიტაციის და წარმოსახვის ნასახალისებლად იზრუნეთ დრამატული სივრცის მოწყობაზე (სახლის სივრცე, სამზარეულო, ცხოველების ნიღბები).
- ცდები/ექსპერიმენტები. აღმზრდელი ისე აწყობს აქტივობებს, რომ ბავშვებს ახალისებს იწინასწარმეტყველონ, რა მოხდება და შემდეგ იწინააღმდეგონ რა მოხდა (როგორ ფიქრობ, ბურთი ამ დაფაზე უფრო სწრაფად ჩამოსრილდება თუ ამაზე? დაფები სხვადასხვა დახრისაა. რატომ ფიქრობ ასე? აბა სცადე და ვნახოთ). აკეთებენ ცხრილს, სადაც ექსპერიმენტის მონაცემებს იწერენ. უფროსი ახალისებს ბავშვებს, იფიქრონ, რა ხდება, როცა იცვლება მახასიათებლები, როდესაც ზედაპირი სრიალავს, ქვიანია, ხისაა, თუ ბურთები უფრო დიდია, ან პატარა და ა.შ.
- დაკვირვება, ფიქრი, მსჯელობა. სხვადასხვა აქტივობებს იყენებს დაკვირვების, ფიქრის და მსჯელობის უნარების გასავარჯიშებლად. ბავშვები თესვენ მარცვლებს პატარა კონტეინერებში. ზოგი კონტეინერი მზიან ადგილას დევს, ზოგი ჩრდილში, ზოგიერთს წყალს უსხამენ ყოველდღე, ზოგს- ყოველ მეორე დღეს. ბავშვები ზომავენ ზრდის პროცესს კვირიდან კვირამდე და აკეთებენ ცხრილს. მსჯელობენ, თუ რამ განაპირობა ზოგიერთის უფრო სწრაფი და უკეთესი ზრდა.

- ახლის ნაცნობთან დაკავშირება. დაეხმარეთ ბავშვებს ახალი ცნებები და ინფორმაცია დააკავშირონ იმასთან, რაც უკვე იციან, ახსოვთ და აინტერესებთ. დაეხმარეთ გამოიყენონ, რაც ისწავლეს, მაგალითად: 'ამის მსგავსი რამე შეგემთხვავთ ადრე? რა მოხდა მაშინ?' 'როგორია წიგნი, რომელიც თქვენ წაიკითხეთ ამ კვირის დასაწყისში. ორივეს ერთნაირი დასასრული აქვს?'
- დამატებითი გამოწვევების შექმნა. შექმენით პრობლემა და გაართულებთ ამოცანა თუ ხედვით რომ ბავშვებისთვის ეს უკვე აღარ წარმოადგენ სირთულეს ან ინტერესს კარგავენ. ასევე, **შეამცირეთ გამოწვევები**, თუ ამჩნევთ რომ ეს ბავშვებისთვის რთული და მიუღწევადია.

თამაშის როლი აზროვნების განვითარებაში

ამ ნაწილში ვიმსჯელებთ თამაშის მნიშვნელობაზე ბავშვის აზროვნების განვითარებაში.

თამაში და აბსტრაქტული აზროვნება

აზროვნების და ფიქრის მთავარ საშუალებას ცნება-მენტალური რეპრეზენტაცია, აბსტრაქტული საგანი, იდეა, - წარმოადგენს. ცნებები გამოცდილების ორგანიზებასა და კატეგორიზებაში გვეხმარება. ცნებების გარეშე ბავშვების წარმოდგენები სამყაროს შესახებ ქაოტური იქნებოდა. ბავშვები ჩვილობიდან აყალიბებენ კატეგორიებს საგნების, შეგრძნებების და მოვლენების შესახებ, რაც ასაკის, მეტყველების და გამოცდილების ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდება და ვითარდება. ცნებები გამოცდილების ორგანიზებასთან ერთად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ კოგნიტური ოპერაციების შესრულებაში, როგორცაა ცნობა, ანალოგიების ფორმირება, დასკვნების გაკეთება. თამაში მნიშვნელოვნად ეხმარება ცნებითი აზროვნების განვითარებას. თამაშის დროს გამოიცდება, ვარჯიშდება და იხვეწება ბავშვის ჯერ კიდევ მოუმწიფებელი წარმოდგენები სივრცის, დროის, ალბათობის და მიზეზ-შედეგობრიობის შესახებ.

ლევ ვიგოტსკი შემეცნებით განვითარებაში თამაშის რამდენიმე როლზე საუბრობს. საბაზისო დონეზე წარმოსახვითი თამაში აბსტრაქტული აზროვნების ჩამოყალიბებაში საკვანძო როლს ასრულებს. თამაში ბავშვებს საშუალებას აძლევს, მათ მიერ წარმოსახულ ობიექტზე, მის მნიშვნელობაზე თავად საგნისგან განყენებულად იფიქრონ. ვიგოტსკის მიხედვით, ძალიან პატარა ბავშვებს აბსტრაქტული აზროვნების უნარი არ აქვთ, რადგან მათთვის მნიშვნელობა და საგანი შერწყმულია. როდესაც ბავშვები წარმოსახვით თამაშს თამაშობენ და სხვადასხვა საგნებს სიმბოლურად სხვა საგნის აღსანიშნავად იყენებენ (მაგალითად, ჯოხი ვითომ ადამიანია), მნიშვნელობა, ანუ შინაარსი „ადამიანი“, რეალური ობიექტებისგან - ადამიანი - გამოცალკევდება. შედეგად, ბავშვს მალე უჩნდება საგნების შინაარსზე თავად ამ საგნებისგან დამოუკიდებლად ფიქრის უნარი (1).

მეორე დონეზე თამაში სწავლისათვის საჭირო გარემოს ქმნის. მესამე დონეზე კი, თამაში სწავლის ხელშეწყობს, თვითდახმარების ინსტრუმენტის როლს ასრულებს. ვიგოტსკი ამტკიცებდა, რომ თამაშის დროს ბავშვები ინვითარებენ სხვადასხვა უნარებს - თვითკონტროლს, მეხსიერებას, მეტყველებას, სწავლობენ სხვებთან თანამშრომლობას. ვიგოტსკი თამაშს ერთგვარ გამადიდებელ შუშას უწოდებს, რომელიც ბავშვის პოტენციურ ახალ შესაძლებლობებს ავლენს, სანამ სხვა სიტუაციაში რეალურ უნარებად გარდაიქმნება. სწორედ ამის გამო, თამაშის

პროცესში ბავშვები, თავიანთი რეალური განვითარების დონესთან შედარებით, უფრო განვითარებულნი ჩანან. თამაში ხელს უწყობს განვითარებას, რადგან ბავშვის განვითარების უახლოეს ზონაში „ხარაჩოს“ როლს ასრულებს და ბავშვებს ფუნქციონირების უფრო მაღალი დონის მიღწევაში ეხმარება (1).

კრეატიული აზროვნება, პრობლემის გადაწყვეტა

თამაშის როლი პრობლემის გადაწყვეტის უნარის, კრეატიული აზროვნების განვითარებაში არაერთმა კვლევამ დაადასტურა. ჯერომ ბრუნერის აზრით, თამაშის დროს საშუალება შედეგზე მნიშვნელოვანია. მოთამაშე ბავშვებს დასახული მიზნის მიღწევა არ ადარდებთ, ამიტომ თავისუფლად ატარებენ ექსპერიმენტებს ქცევის ახალი კომბინაციებით, რასაც მიზნების წნეხის არსებობის შემთხვევაში არ გააკეთებდნენ. თამაში ბავშვების ქცევის მრავალფეროვნებას განაპირობებს და ამდენად, ხელს უწყობს პრობლემის გადაწყვეტის უნარის განვითარებას. მოქნილობა თამაშის ერთ-ერთი საკვანძო მახასიათებელია. თამაშის დროს ბავშვი ბევრ სხვადასხვა ქცევას იყენებს და ითვისებს, რაც მას მოგვიანებით პრობლემის გადაწყვეტის დროს ადგება. თამაშში ახალი ქცევითი კომბინაციების შეტანის შემდეგ, ბავშვები მათ შემდგომ უკვე რეალური ცხოვრებისეული პრობლემების გადასაწყვეტად ცდიან (1). ამრიგად, თამაში ზრდის ბავშვების ქცევით შესაძლებლობებს და მათ მოქნილობას პრობლემების გადაწყვეტის პროცესში.

წარმოსახვითი თამაშის დროს, როლების განსახიერებისას და საგნების ტრანსფორმაციისას, კრეატიული აზროვნების და პრობლემის გადაჭრის პროცესები აქტიურდება. ხშირად, ბავშვები ამა თუ იმ ეპიზოდის რამდენიმე შესაძლო ვარიანტს მოიფიქრებენ და განსხვავებულად გეგმავენ მოქმედებებს. ასევე, თამაშისა და წარმოსახვის პროცესში ემოციის გამოხატვა, ბავშვებში ემოციურად დატვირთული მდიდარი ასოციაციური გამოცდილების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. თამაშის პროცესში მყარდება კავშირი თამაშის თანმხლებ ემოციასა და ბავშვის ემოციურ სისტემაში ჩამოყალიბებულ ასოციაციებს შორის, რაც, თავის მხრივ, აზროვნებით პროცესებს აწვითარებს (1).

სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული თამაში

განვიხილოთ სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული თამაშის პრო ფორმა, რაც მნიშვნელოვანია ბავშვის კეთილდღეობის, სწავლისა და განვითარებისათვის.

სტრუქტურირებული თამაში ცნობილია როგორც მიზანზე ორიენტირებული, სადაც პრობლემის გადასაჭრელად ლოგიკაა საჭირო. ხოლო, არასტრუქტურირებული - თავისუფალი, შემოქმედებითი და ღია თამაშია შეუზღუდავი შესაძლებლობებით (open-ended). თამაშის ეს ფორმები ერთმანეთისგან ბევრი კრიტერიუმით განსხვავდება. ეს კრიტერიუმებია: უფროსის ჩართულობის ხარისხი, საგნების არჩევანი, თამაშის ჩანაფიქრი (მოზრდილის თუ ბავშვის პერსპექტივიდან), საგნების ტიპი და სხვა. თავისუფალი თამაშის დროს, როგორც ამას სახელწოდება გვეუბნება, ბავშვი თავისუფალია თამაშის არჩევანში და თამაშის ჩანაფიქრიც მას ეკუთვნის, განსხვავებით სტრუქტურირებული თამაშისგან, სადაც თამაშის შინაარსი უფროსის მიერ შეიძლება იყოს შეთავაზებული. რაც შეეხება მასალას, თავისთავად მასალაც უზიძგებს ბავშვებს სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული თამაშისკენ. ზოგიერთი მასალა იმდენად ღიაა გამოყენების თვალსაზრისით, რომ თავად იძლევა თავისუფალი მიმდინარეობის

შესაძლებლობას, მაგალითად, ქვიშა და წყალი, თავსატეხებისა და „ლეგოს“ კონსტრუქციებისგან განსხვავებით. ქვიშის და წყლის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს, ხოლო „ფაზლისა“ და „ლეგოს“ შემთხვევაში ქცევის არჩევანი უფრო შეზღუდულია და მისი სწორად გამოყენების მიმართულებასაც თავად ეს მასალები იძლევა. ბრუნერი თვლის, რომ როდესაც თავისუფალი თამაშისას, არასტრუქტურირებულ მასალასთან ბავშვებს გეგმის დასტრუქტურის გარეშე უშვებ, მათ ზომიერ სირთულეებს და გამოწვევებს ნაკლებად უქმნი, რაც კოგნიტური განვითარების სტიმულირებისთვის აუცილებელია. ქვით სილვას მიხედვით, განსაზღვრული მიზნების მქონე სტრუქტურირებული თამაშები უფრო მეტად უქმნის ბავშვებს სირთულეებს და გამოწვევებს.

ბრუნერი ასევე აღნიშნავს თამაშს, როგორც სიახლის წყაროს. თამაშის დროს მოცემული მასალებისა და შესაძლებლობების კვლევით ბავშვი ცდის ბევრ ახალ კომბინაციას ცდის, ქმნის განსხვავებულ სიტუაციებს და საგნებს. საგნებისა და სიმბოლოების კომბინაციის და კეთების ახალი გზების აღმოჩენით, ბავშვს შემოქმედებითობის და მოქნილობის გამოცდილება ეძლევა. ახალი საგნების შექმნით ბავშვი პირველ ნაბიჯებს დგამს კრეატიულობისკენ. ისეთი მასალა როგორც ქვიშა და ცომია, ხელს უწყობს კრეატიულობას, თუ ის გამდიდრებულია დამატებითი მასალით და საგნებით. ბუნებრივია, სტრუქტურირებული და თავისუფალი, ანუ არასტრუქტურირებული თამაშის მნიშვნელობის აღიარება ქმნის იმის საფუძველს, რომ ადრეული განათლების სპეციალისტებს ვურჩიოთ, უზრუნველყონ ამ ორი ტიპის თამაშის შესაძლებლობების ბალანსი, რათა ბავშვისთვის თამაშით მიღებული სარგებელი მაქსიმალური იყოს (5).

გამოყენებული რესურსები:

1. ჯონსონი, ჯ.ი, ქრისტი, ჯ.ფ, უორდლი, ფ. (2005). თამაში, განვითარება და ადრეული განათლება
2. ბერკი, ლ.ე. (2006) ბავშვის განვითარება
3. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო) (2007). ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
4. Big Questions for Young Minds: Extending Children's Thinking. NAEYC's book
5. Sylva, K & Lunt, I (2003). Child Development. A First Course

მოტორული მხარდაჭერი გარემო

მოძრაობის მნიშვნელობა განვითარებაში

ბავშვის განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მოძრაობის ხარისხზე, რადგან სწავლის და შემეცნების ერთ-ერთი პირველი საშუალება გარემოს ფიზიკური კვლევაა. ბავშვები ხელის წვრილი კუნთების გამოყენებით წვდებიან, იტაცებენ, ეხებიან. სხეულის მსხვილი კუნთების, ხელების და ფეხების გამოყენებით ხობავენ, ურტყამენ, ექაჩებიან, აწვებიან. შესაბამისად, როდესაც მათ თავისუფლად მოძრაობის შესაძლებლობები ეძლევათ, ისინი კოგნიტიურად და ემოციურადაც ვითარდებიან. მოძრაობით ბავშვები გარემოსთან ურთიერთობენ, მასზე მოქმედებენ, იკვლევენ, ცდიან, აღმოაჩინენ, აგროვებენ ინფორმაციას, რომელიც შემდგომ ცოდნის შექმნაში ეხმარება. მოძრაობა ეხმარება საკუთარი თავის გამოხატვაში, რის შედეგადაც საკუთარ თავსა და სამყაროზე წარმოდგენებს იფართოებენ.

ცხოვრების პირველი წლები ფუნდამენტური მოტორული უნარების განვითარებისთვის განსაკუთრებულად კრიტიკული პერიოდია. ამ წლებში ხდება მოტორული, კერძოდ მსხვილი და ნატიფი მოტორიკის ინტენსიური განვითარება - სხეულის მოძრაობის კონტროლი, მსხვილი და წვრილი კუნთების კოორდინირებულად და მიზანმიმართულად გამოყენება.

ადრეულ ასაკში მოძრაობის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე მოტორული აქტივობები ადრეული განათლების პროგრამების ღირებული კომპონენტია. მოძრაობის და მოტორული განვითარების ხელშეწყობით ყველა ბავშვი იღებს სარგებელს როგორც ტიპური განვითარების, ასევე სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები.

მოძრაობის და კვლევის შეზღუდული შესაძლებლობის გამო, ბავშვები, რომელთაც მოტორული განვითარების შეფერხება და სირთულეები აქვთ, გარემოს შესახებ ისე ადვილად და იმდენს ვერ სწავლობენ. ცერებრული დამბლა, სპინა ბიფიდა სწორედ ამ მდგომარეობების მაგალითებია. მოტორული სირთულეების მქონე ბავშვებს უძნელდებათ, ხელით მიწვდნენ სათამაშოს, ან უჩვეულო ფორმით მოძრაობენ, ადვილად ეცემიან და ბორძიკობენ, უჭირთ სხეულის გარკვეული ნაწილის კონტროლი, არ შეუძლიათ საგნების თავდაჯერებულად აღება, განსაკუთრებით მანიპულაციური და კვლევითი საქმიანობა. უძნელდებათ სიარულის, ჯდომის, ხობვის სწავლა და ადვილად იღლებიან მცირე ძალისხმევის შედეგადაც (1).

აღმზრდელმა უნდა იფიქროს ბავშვების მოტორული განვითარების ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ეს თავისებურებები გაითვალისწინოს დაგეგმვისა და გარემოს მოწყობისას, რაც აღჭურვილობის, წესების, ინსტრუქციების ადაპტირებასა და მორგებას გულისხმობს. როგორც საერთო წესი, ყველა ბავშვს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებსაც, სჭირდებათ ზომიერი გამოწვევები, სირთულეები გადასალახად, წახალისება მცდელობისთვის, წარმატების განცდა, მისი განმტკიცება, და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა.

ბავშვები სარგებელს მრავალფეროვანი მოტორული აქტივობებიდან იღებენ. მოტორული აქტივობების ძირითადი კატეგორიებია ვარჯიში, ბაზისური მოტორული უნარების (სირბილი, ხტომა, ძრომა, კიბეებზე სიარული) წვრთნა, მუსიკა და ცეკვა, ინდივიდუალური და ჯგუფური ფიზიკური აქტივობები და კოოპერატიული თამაშები. თითოეული ამ კატეგორიის აქტივობა მარტივი, ხანმოკლე, და ყველა მასში მონაწილე ბავშვისთვის წარმატების მომტანი უნდა იყოს. ფიზიკური ვარჯიშის აქტივობებია სხეულის სხვადასხვა მოძრაობები, მაგალითად გაჭიმვა, ტრიალი; ისეთი წარმოსახვითი თამაში, როგორცაა დათვივით ან სხვა რომელიმე ცხოველივით სიარული, რაც ახალისებს ბავშვებს და ხელს უწყობს კრეატიულობასაც. ძირითადი მოტორული უნარების ვარჯიში ისეთ აქტივობებს მოიცავს, როგორცაა სიარული, სირბილი, ხტომა, ძრომა და ბურთით თამაში. მარტივი გზა ძირითადი მოტორული უნარების გამოყენებისთვის, დაბრკოლებების და ბარიერების შექმნაა, რომლის დროსაც ბავშვებს უნევთ შეძრომა, გადასვლა, გადაძრომა; ასევე ბურთის მიზანში სროლა, თოკზე გადახტომა ან თოკის ქვეშ გაძრომა. ძირითადი მოტორული უნარების განვითარებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ისეთი აღჭურვილობები, როგორცაა მატრასი, კონუსები, დიდი ზომის ბურთები, მარცვლეულის ტომრები, ჰულაჰუპი, სარკე, საჩხარუნოები, თოკები, საბურავები, გასაძრომი გვირაბი. მოტორული უნარების ვარჯიშისას ყურადღება უნდა მიექცეს მცდელობას და მოძრაობას და არა მოძრაობის სიზუსტეს.

მნიშვნელოვანია, საჭიროების შემთხვევაში, მოტორული აქტივობების ადაპტირება. ყველა ბავშვს შეიძლება დასჭირდეს მოძრაობის ან თამაშის მცირე ზომის კომპონენტებად დაშლა, რაც უსაფრთხოებისა და წარმატების მიზნით უნდა მოხდეს. მაგალითად, ბავშვებს შეუძლიათ ივარჯიშონ ბალანსის ან მანიპულაციის კომპონენტზე, რაც შემდგომ სხვა აქტივობებში გამოადგებათ. ადაპტირება მნიშვნელოვანია მოტორული აქტივობების დაგეგმვისას. მაგალითად სათამაშო სივრცის შეზღუდვა, ან უფრო დიდი ზომის აღჭურვილობის გამოყენება, წესების შეცვლა, შემოკლება, ხშირი დასვენების შეთავაზება, უფრო მსუბუქი აღჭურვილობის გამოყენება, გამარტივება, შენელება - ეს ყველაფერი ადაპტირებას გულისხმობს. ასევე შეიძლება მოხდეს მოლოდინების და მასალების ადაპტირება. ამაში იგულისხმება კონკურენციის და შეჯიბრის გარეშე თამაში და მოძრაობა; ასევე, გამეორების რაოდენობის შემცირება, მუსიკის ტემპის შენელება, სიზუსტის არ მოთხოვნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემო უნდა უსაფრთხოებას და წარმატებას უზრუნველყოფდეს.

ბუნებრივია, პატარა ასაკში ბავშვებს მოძრაობისთვის არ სჭირდებათ რთული მოტორული აქტივობები და მაღალ ორგანიზებული თამაშები. ნაკლებად ორგანიზებული, ნელი ტემპის და უფრო კვლევითი აქტივობები მეტად შესაფერისია მათთვის. ბავშვებს სჭირდებათ მოტორული უნარების წვრთნის შესაძლებლობა, სადაც თანატოლები და უფროსებიც მონაწილეობენ.

დამატებითი სტრატეგიები და მასალები მოტორული მხარდაჭერი გარემოსთვის

- სივრცის ისე მოწყობა, რომ ბავშვები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ როგორც ძირითად ოთახში, ისე სხვა სივრცეებში - საპირფარეოში, სამზარეულოში, და ა.შ. ეს ასევე გულისხმობს საკმარის სივრცეს ეტლით მოსარგებლე ბავშვებისთვისაც, რომ მათ თავისუფლად შეძლონ ეტლით გადაადგილება და ტრიალი. მაგალითად, თავისუფლად შევიდნენ და გამოვიდნენ ხელ-პირის დასაბანად, ან სასწავლო ცენტრებში.

- საკმარისი და შესაბამისი უნდა იყოს გარე სივრცე თამაშისა და სირბილისთვის, როგორც ტიპური განვითარების, ასევე ეტლით მოსარგებლე ბავშვებისთვის. თავისუფლად უნდა გადაადგილდებოდნენ ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ დამხმარე საშუალებებით.
- უსაფრთხო უნდა იყოს სივრცე სენსორული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის, მაგალითად, ვიზუალური მინიშნებები კიბის საფეხურებზე, ან სილრმის ცვლილების მიმანიშნებლები; მაღალი კონტრასტის გამაფრთხილებლები, მაგალითად, კონტრასტული საღებავებით დახატული ნიშანი - მუქ ზედაპირზე თეთრი ან ყვითელი, ან შავი თეთრ ან ყვითელ ზედაპირზე.
- გასათვალისწინებელია თაროების და მასალების ბავშვის სიმაღლეზე განთავსება, რომ დამოუკიდებლად მიწვდნენ და აიღონ საჭირო ნივთები.
- ბალანსირებულად უნდა იყოს დაგეგმილი ისეთი აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოძრაობას, ხელის, სხეულის მოძრაობას. ასეთია მაგალითად სხეულის სხვადასხვა ნაწილზე შეხება და სიმღერა - თავი, ხელი, ფეხი, მხრები, მუხლები, თვალები, ყურები, პირი, ცხვირი. ეს აქტივობა მოიცავს როგორც დიდ და პატარა მოძრაობებს, ასევე სხეულის იმ ნაწილების მოძებნასაც, რასაც ხედავს და ვერ ხედავს ბავშვი - მაგ. მუხლი და ცხვირი.
- ჩაჭიდების და ნატიფი მოტორიკის განსხვავებული განვითარების შემთხვევაში, საჭიროა სხვადასხვა ზომისა და ფორმის მასალების გამოყენება. მაგალითად, სხვადასხვა ზომის - მსხვილი, ან წვრილი ფუნჯები, ფანქრები, კალმები. დიდი და პატარა ბურთები, დიდი და პატარა კუბები, დიდი და პატარა მანქანები, ასევე ადვილად ჩასაჭიდებელი ჩანგალი და კოვზი, ისევე როგორც ტიპური ზომის. სხვადასხვა ზომის სახატავი ფურცლები, ტიპური ფაზლები და ხელისმოსაკიდებლიანი, სხვადასხვა ზომის ფორმებიანი დაფები, მზარდი ზომის ქიქები და კუბები.
- მასალების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს ხელმარჯვეობას: თიხა, ცომი, პლასტილინი. მცირე ზომის საგნები, რომელიც პატარა ხერხელებში უნდა მოთავსდეს (მაგ. მოზაიკა), მძივები, თითების და ხელის თოჯინები, ნიგნები მყარი და ჩვეულებრივი ფურცლებით, თითებით თამაში შესაბამისი მუსიკითა და მოძრაობით. ბავშვებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ სხვადასხვა კონტინერებში ასხან წყალი, ითამაშონ სველ და მშრალ ქვიშაში, ჩაყარონ მშრალი ქვიშა კონტინერებში, ისროლონ და დაიჭირონ ბურთები.
- ეზოს მონყობილობები: ასაძრომი, ჩამოსახტომი, სასრილო, ასასვლელი - უსაფრთხოების ზომების დაცვით. დარბაზის და ოთახის გასაძრომი, სახოხი და ბალანსის აღჭურვილობები.

მნიშვნელოვანია დასკვნის სახით კვლავ იმის აღნიშვნა, რომ მოძრაობითი აქტივობების დროს არა მხოლოდ ბავშვის სხეული იღებს სარგებელს, არამედ მთლიანი ბავშვი. ხოლო სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ასეთი ტიპის აქტივობებში ჩართვა შეიძლება მისი სხვა სფეროების განვითარების დასაწყისიც გახდეს.

გამოყენებული რესურსები:

1. <https://www.iidc.indiana.edu/styles/iidc/defiles/ecc/welcomingallchildrenrevisededition2014.pdf>

სენსორული მხარდაჭერი გარემო

სენსორული გამოცდილების მნიშვნელობა განვითარებაში

სენსორული აქტივობები დამასალები არამხოლოდ „სახალისო“ და „სასიამოვნო“, არამედ აქტიური სწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცდილებაა, რომელიც ბავშვის მრავალმხრივ ზრდასა და განვითარებას უწყობს ხელს. სენსორული გამოცდილებით ადრეული განათლების სპეციალისტებს შეუძლიათ, დააკმაყოფილონ ადრეული განათლების სტანდარტები და დააკვირდნენ ბავშვების განვითარების პროგრესსაც. სტანდარტის მიხედვით, მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, სწორედ მდიდარი სენსორული გამოცდილებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ხოლო ასაკისა და განვითარების შესაბამისი მრავალფეროვანი სენსორული მასალა ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

ნებისმიერი მასალა, რომელიც შეგრძნებების - მხედველობის, სმენის, შეხების, გემოს, ყნოსვის, მოძრაობის და პოზის - სტიმულირებას ახდენს სენსორულია, მაგალითად, ქვიშა, ცომი, წყალი, ქაფი, ზუმფარის ქალაღი. აქტივობა კი, რომელშიც შეგრძნებები ჩართული, სენსორული აქტივობაა, მაგალითად ქვიშით და წყლით თამაში, მუსიკის მოსმენა, ცეკვა, თითებით ხატვა, სხვადასხვა გემოსა და ტესქსტურის საკვების დაგემოვნება.

ძირითადი შეგრძნებების გარდა, რომელიც მხედველობას, სმენას, შეხებას, გემოს და ყნოსვას მოიცავს, არსებობს კიდევ ორი სენსორული - ვესტიბულარული და პროპრიოცეპტული სისტემა. ვესტიბულარული არის მოძრაობის და ბალანსის შეგრძნება, რაც გვაძლევს ინფორმაციას, თუ სად არის ჩვენი სხეული სივრცეში. პროპრიოცეპტული კი სხეულის ცნობიერება, თუ რა მიმართებაშია სხეულის ნაწილები ერთმანეთთან. ეს შეგრძნება ასევე გვანვდის ინფორმაციას, თუ რა ძალისხმევა და ძალა გვჭირდება კონკრეტული მოქმედებისთვის.

ბავშვები გარემოზე ზემოქმედებით და შეგრძნებების სისტემებიდან მიღებული ინფორმაციით აგებენ ცოდნას სამყაროს შესახებ. განვითარებისთვის მათ სჭირდებათ კვლევა, გამოცდა და საგნებზე მათი ზემოქმედებიდან უკუკავშირის მიღება, რომ სენსომოტორული ეტაპიდან უფრო რთულ გონებრივ ოპერაციებზე გადავიდნენ - მოცემულ საგნებზე ფიქრიდან გადავიდნენ დამახსოვრებულ და წარმოდგენილ საგნებზე ფიქრზე. ამ პროცესში გარემოს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ბავშვები უკეთესად სწავლობენ, როდესაც დამოუკიდებლად აკეთებენ და თავად ქმნიან საკუთარ ცოდნას მის შესახებ, უფროსების მიერ მიცემული მზა ახსნების ნაცვლად. ბავშვები აგებენ ცოდნას თავიანთ სენსორულ გამოცდილებაზე და იყენებენ სიმბოლოებს, ენასა და რეფლექსიას ცოდნის დასაგროვებლად.

სენსორული გამოცდილება სხვადასხვა სფეროების განვითარებას უზრუნველყოფს. სენსორული მასალა ავითარებს შემეცნებას, მასალების მანიპულირებით ბავშვები სწავლობენ ისეთ ცნებებს, როგორცაა მეტი, ნაკლები, სავსე/ცარიელი, ჩაძირვა/ტივტივი. ივითარებენ მათემატიკურ წარმოდგენებს - ზომის, რაოდენობის, დანყვილების, კლასიფიცირების, დახარისხების შესახებ. სენსორული აქტივობებისას, ასევე ვითარდება მსხვილი და წვრილი კუნთები, თვალისა და ხელის კოორდინაცია, როდესაც ასხამენ ერთი ჭურჭლიდან მეორეში, ყრიან ყალიბში, აცვამენ მძივებს, რწყავენ, წვევენ და ატარებენ სენსორულ მასალას. ზრდიან ლექსიკურ მარაგს სენსორული აქტივობებისას ისეთი სიტყვების გამოყენებით, როგორცაა მყარი, რბილი, უხეში, ნაზი, თხევადი, ცხელი, ცივი.

სენსორული გამოცდილება ხელს უწყობს პოზიტიურ თვითშეფასებას და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებას, რადგან ასეთ აქტივობებში დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს. არ არსებობს ამ მასალების სწორი ან არასწორი გამოყენების გზა. როდესაც ბავშვებს მრავალფეროვანი სენსორული არჩევანის შესაძლებლობა ეძლევათ, ისინი იმას ირჩევენ, რაც მათ სხეულს სჭირდება სწავლის გაგრძელებისთვის. მაგალითად საღებავში ისეთი მასალის დამატება, როგორცაა შვრია, ან ბავშვისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ იდგეს ან იწვეს იატაკზე, ასევე ვერბალური ინსტრუქციების დანყვილება ვიზუალურ მიმანიშნებლებთან - სენსორული სტრატეგიებია, რომელიც ხელს უწყობს სწავლის პროცესს.

ტრადიციულ ოთახთან ან სათამაშო მოედანთან შედარებით, ბუნებაში თამაში მრავალფეროვან სენსორულ გამოცდილებას და მოტორული განვითარების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ბუნების სიმდიდრე და მრავალფეროვნება: მცენარეების ზრდის ციკლი, ქვის სიმაგრე, ფერებისა და ხმების მრავალფეროვნება. ისეთი ქცევების ნებადართულობა, როგორცაა - ყვირილი, სირბილი, ცოცვა, - ყველაფერი ეს ხელს უწყობს ფიზიკურ, კოგნიტიურ და სოციალურ - ემოციურ განვითარებას. მასალა, როგორცაა გირჩი, სხვადასხვა ხის ნაყოფი, წაბლი, ყვავილი ხელს უწყობს კვლევას. ასეთი რამის ნახვა ერთია, ხოლო შეხება, სუნის შეგრძნება, გადაადგილება, ასევე მნიშვნელოვანი პროცესებია ბავშვის სწავლისა და განვითარებისათვის.

მუსიკის თანხლებით მოძრაობა, ცეკვა, ინსტრუმენტებზე დაკვრა, მასალების ექსპერიმენტირება, რაც ხმებს გამოსცემს, ასევე უწყობს ხელს ბავშვის განვითარებას. მუსიკა და მოძრაობა ძლიერი სასწავლო საშუალებაა, რომელიც ბევრ შეგრძნებას აერთიანებს: მხედველობას, სმენას, შეხებას, სივრცეში სხეულის აღქმას. მუსიკა ასევე ხელს უწყობს მათემატიკური კონცეფციების განვითარებას - რიტმის, ბგერის ხანგრძლივობის, ტემპის საშუალებით.

ბავშვები განსხვავებული შეგრძნებებით

სენსორული პროცესირება ტვინის უნარია, გარემოდან, ყველა შეგრძნების გზით, მრავალფეროვანი სენსორული ინფორმაცია მიიღოს, გადაამუშაოს, ორგანიზება გაუკეთოს და გამოიყენოს გარემოსთან ურთიერთობისას. უნარი, მიიღო ინფორმაცია შეგრძნებებიდან, როგორცაა ხმები, შუქები, ტექსტურა, მოძრაობა, მიზიდულობა - და იმოქმედო შესაბამისად, სენსორული ინტეგრაციაა. ადრეული განათლების სპეციალისტებისთვის მნიშვნელოვანია ამის ცოდნა და ბავშვების სენსორულ ინფორმაციაზე რეაგირების თავისებურებების გათვალისწინება. ეს ცოდნა არა მხოლოდ სენსორული ინტეგრაციის დარღვევის დროს გამოგადგებათ, არამედ ყველა ბავშვთან, რათა შესაბამისად დაუჭიროთ მხარი მათ და ხარისხიანი სასწავლო გარემო შექმნათ (1).

ბავშვები განსხვავდებიან იმით, თუ როგორ უმკლავდებიან სენსორული არხებით შემოსულ მრავალფეროვან ინფორმაციას და სენსორულ სიგნალებს. არსებობს კონკრეტული სტრატეგიები, რომელიც დაგეხმრებათ იმ ბავშვებთან მუშაობის დროს, ვისაც ასეთი ინფორმაციის გადაამუშავების სირთულეები აქვთ. ბავშვები განსხვავდებიან სენსორული ინფორმაციის მიღებისა და გადაამუშავების თვალსაზრისით:

- არიან ბავშვები, რომლებიც ძლიერად რეაგირებენ რომელიმე ერთი ან რამდენიმე შეგრძნებიდან (შეხებით, მხედველობით, სმენით, გემოთი ყნოსვით, მოძრაობით ან პოზით) მიღებულ სენსორულ ინფორმაციაზე. მათ ტვინს არ შეუძლია შესაბამისად გაუმკლავდეს ასეთ სტიმულაციას და ცდილობენ, თავი აარიდონ ზედმეტად გადატვირთულ და დამღლელ

გარემოებებს. შედეგად, მათ არ შეუძლიათ ზოგიერთ ჯგუფურ აქტივობაში მონაწილეობა და შესაძლებელია, მიუღებლად მოიქცნენ, რაც უარყოფითად მოქმედებს სწავლის შესაძლებლობებზე (1).

- არიან ბავშვები, რომლებიც ნაკლებად რეაგირებენ სენსორულ სტიმულაციაზე. ასეთი ბავშვები ყოველთვის ეძებენ უფრო მეტ და მეტ სტიმულაციას გარემოდან და არასოდეს არიან დაკმაყოფილებულები. ისინი შესაძლებელია სულ მოძრაობაში იყვნენ, დარბოდნენ, ხტოდნენ, ცოცავდნენ ოთახის გარშემო. ისინი პირში იღებენ საგნებს, მოსწონთ ჭუჭყიანი აქტივობები და მეტ სტიმულაციას ეძებენ.
- არიან ბავშვები, რომლებიც თითქოს ვერ ამჩნევენ ერთი ან რამდენიმე სენსორული სისტემიდან შემოსულ ინფორმაციას. შეიძლება ისინი ჩუმები იყვნენ, გარიყულები და შენელებულად რეაგირებდნენ გარემოზე. მათ შეიძლება არ ჰქონდეთ რეაქცია ტკივილზე ან ვერბალურ მოთხოვნაზე. მათ ასევე შეიძლება, არ უნდოდეთ ბევრი მოძრაობა, ან მოუხერხებლად და უცნაურად მოძრაობდნენ (1).

სტრატეგიები ეფექტური გარემოს შესაქმნელად

აღმზრდელისთვის ერთ-ერთი გამოწვევაა ისეთი გარემოს მოწყობა, რომელიც ბავშვების ინდივიდუალურ სენსორულ საჭიროებებზე იქნება მორგებული. ამისათვის გასათვალისწინებელია შემდეგ საკითხები:

სივრცის ორგანიზება. ოთახი არ უნდა იყოს არეული. პირიქით, ორგანიზებული და მონესრიგებული სივრცე ეხმარება ბავშვებს, უსაფრთხოდ იგრძნონ თავი ამ გარემოში.

ოთახის განათება და ვიზუალური მხარე. ოთახის განათება მნიშვნელოვანი მხარეა. ხელოვნური განათება არაკომფორტულია და შეიძლება ბავშვის ნეგატიური რეაქციები გამოიწვიოს. ბუნებრივი განათება სასარგებლოა. უფრო ნათელი და უფრო ბნელი სივრცეების არსებობა ბავშვს ეხმარება, საჭიროების შემთხვევაში, თავი აარიდოს სტრესულ სივრცეს.

ხმაურის დონე/სმენითი სტიმულაცია. ცხადია, ოთახში უნდა იყოს ზომიერი ხმაური. რბილი ზედაპირები ხმამაღალ ხმებს ახშობს. წყნარი სივრცე დასაჯდომებით, პლედებით და ბალიშებით ბავშვებს სხვადასხვა ხმების შემცირებაში დაეხმარება. გადაჭარბებულად სტიმულირებულ ბავშვებს სწორად შერჩეული მშვიდი მუსიკა და რიტმი დამშვიდებაში დაეხმარება.

ტაქტილური სტიმულაცია. მრავალფეროვანი შესაძლებლობების მიცემა სხვადასხვა ტექსტურით. სენსორული მაგიდები ქვიშით, წყლით, ცომით და ა.შ. სადაც ბავშვებს შესაძლებლობა მიეცემათ, შეიგრძნონ და იკვლიონ თავიანთი ტემპით. წიგნების შექმნისას ისეთი ტექსტურის გამოყენება, როგორცაა თქვა, ზუმფარის ქალაღი, დაეხმარებათ სენსორული სტიმულაციის მაძიებელ ბავშვებს უფრო მეტად დაინტერესდნენ და იკვლიონ წიგნები. ასევე მრავალფეროვანი სენსორული გამოცდილების შეთავაზება ხელოვნების ცენტრში, რაც უზრუნველყოფს ბავშვების მეტ ჩართულობას. ამის მაგალითებია ქვიშის დამატება თითების საღებავებში, არომატული მარკერების გამოყენება. ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ ის ბავშვებიც, რომლებიც თავს არიღებენ სენსორულ სტიმულაციას. მათ შესაძლებელია სირთულეები ჰქონდეთ ამ აქტივობებთან დაკავშირებით და სიახლის შეთავაზებისას გაძლოა და მხარდაჭერა დასჭირდეთ.

მოძრაობა/ბალანსი. ბავშვებს ბევრი მოძრაობა სჭირდებათ, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვიღაც შეიძლება, ფრთხილი იყოს და წინააღმდეგობა გაუწიოს მოძრაე აქტივობებს. ცხადია, აღმზრდელისთვის გამონწვევაა ისეთი აქტივობების უზრუნველყოფა, რომელიც ორივე ამ საჭიროებას (მოძრაობა და მოძრაობისგან თავის არიდება) დააკმაყოფილებს. სირბილი, რალაცაზე გადახტომა, ბურთის დარტყმა კარგი დასაწყისია მათთვის, ვისაც წახალისება სჭირდება მოძრაობაში. იმ ბავშვებისთვის, ვისაც ენერჯის გამოსაშვებად ბევრი მოძრაობა სჭირდებათ, რომ შემდეგ მშვიდად ისხდნენ სტრუქტურირებული აქტივობების დროს, სასარგებლოა ცოცვა, საქანელაზე ქანაობა და ხტუნვა.

სხეულის პოზიცია. ბავშვებმა, მათი კუნთებიდან და სახსრებიდან შემოსული ინფორმაციის საშუალებით, იციან, სად არის სივრცეში მათი სხეული. ბავშვები, რომლებიც ამ ინფორმაციას გადაჭარბებულად იღებენ, შეიძლება ზარმაცად მოგეჩვენოთ, რადგან წინააღმდეგობას უწევენ ისეთ აქტივობებს, რაც მათი სხეულისთვის რთული გასაკეთებელია. მაგალითად ცოცვა, მძიმე საგნებზე მინოლა. ხოლო ისინი, რომლებიც არასაკმარისად იღებენ ასეთ ინფორმაციას, შეიძლება ითამაშონ უხეში თამაშები, ან თითქოს საერთოდ არ განიცდიან ტკივილს, როდესაც ეცემიან. ბავშვებს სჭირდებათ ასეთი სენსორული ინფორმაციის გაცნობიერება, რომ საბოლოო კოორდინაციის განვითარებისთვის- სივრცეში სხეულის ადეკვატური ცნობიერება ჩამოუყალიბდეთ. აღმზრდელს შეუძლიათ შესთავაზონ ბევრი ტიპის მოტორული და ნატიფი მოტორული აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს ისეთ დამატებით ძალისხმევას, როგორცაა ბურთით თამაში, სრიალი, მძიმე შრომა.

ბავშვის გარემოსთან ურთიერთობაზე დაკვირვება მნიშვნელოვანი იარაღია აღმზრდელისთვის. ამ დაკვირვებიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინება ყოველდღიური მასალების შერჩევისა და მორგებისას უნდა მოხდეს, რომ ბავშვების მრავალფეროვანი სენსორული საჭიროებები იქნეს დაკმაყოფილებული (1).

დამატებითი იდეებისთვის, სენსორული აქტივობების დასაგეგმად შეგიძლიათ, სხვადასხვა რესურსებს და ვებ გვერდებს მიმართოთ (3).

გამოყენებული რესურსები:

1. Isbell, C. and Isbell, R. (2007). Sensory Integration: A Guide for Preschool Teachers. Gryphon House, Beltsville, MD
2. <https://www.learning4kids.net/list-of-sensory-play-ideas/>

დაკვირვება, შეფასება, დაგეგმვა

დაკვირვება და შეფასება ადრეული განათლების ხარისხიანი პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია. სისტემური დაკვირვებისა და თანმიმდევრული შეფასების გარეშე შეუძლებელია ბავშვებისთვის მრავალმხრივი განვითარების უზრუნველყოფა და ზოგადად, პროგრამის შეფასება. სისტემური დაკვირვება და შეფასება პრაქტიკის ორ მნიშვნელოვან კომპონენტზეა ფოკუსირებული - ბავშვსა და გამოცდილებაზე. ბავშვში იგულისხმება მისი განვითარების ინდივიდუალური თავისებურებების, ძლიერი მხარეების, საჭიროებების, ინტერესების და სწავლის სტილის შესწავლა. მრავალფეროვან და მრავალმხრივ გამოცდილებაში კი კურიკულუმის (პროგრამის), აქტივობების, სასწავლო მიზნების, შედეგების, დღის განრიგის, მასალების, ფიზიკური და სოციალური გარემოს, საგანმანათლებლო სტრატეგიების მიზანმიმართული დაგეგმვისა და მართვის შეფასება.

ზოგადად, შეფასება სხვადასხვა ამოცანებისთვის გამოიყენება:

სკრინინგი - რომლის ამოცანაა დადგინდეს, სჭირდება თუ არა ბავშვს განვითარების სიღრმისეული და მრავალმხრივი შეფასება, დიაგნოსტიკა. არის თუ არა მისი განვითარება საყურადღებო.

შეფასება - რომლის ამოცანაა პედაგოგიური პრაქტიკის მხარდაჭერა და იმის დადგენა, თუ რა იცის, და რისი გაკეთება შეუძლია მოცემულ მომენტში ბავშვს. ბავშვის ძლიერი მხარეების და განვითარების, სასწავლო მიდგომების და/ან ქცევის მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირებას ემსახურება. მისი ამოცანაა სპეციალური საჭიროებების, მდგომარეობების ან განვითარების შეფერხების დიაგნოსტიკა; სიმწვავის ხარისხის, თავისებურებების და სპეციალურ პროგრამებში ჩართვის აუცილებლობის განსაზღვრა. ეს მონაცემები სწავლისა და განვითარების პროგრესის შესაფასებლად და შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად გამოიყენება. შეფასება, რომელიც პედაგოგიურ მხარდაჭერას ემსახურება, უწყვეტი პროცესია და პირდაპირ კავშირშია კურიკულუმთან, მის მიზნებთან, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფო სტანდარტებთან არის დაკავშირებული (1).

კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტები, როგორც წესი, ერთი მიზნისთვის არის შექმნილი. მაგალითად, სკრინინგ ინსტრუმენტის მიზანია დადგინდეს: საჭიროებს თუ არა ბავშვის განვითარება შემდგომ მონიტორინგს ან სიღრმისეულ შეფასებას. იხილეთ დანართში 4 მოცემული სკრინინგის კითხვარი „განვითარების ეტაპები“.¹ ეს ინსტრუმენტი ზოგად წარმოდგენას შეგიქმნით ბავშვის განვითარებაზე, დაგანახებთ საყურადღებოა თუ არა მისი განვითარების რომელიმე ასპექტი, და შესაბამისად, საჭიროა თუ არა სხვა სპეციალისტებთან გადამისამართება უფრო სიღრმისეული შეფასებისთვის. ასეთი ინსტრუმენტები ვერ გამოიყენება სხვა მიზნებისთვის გარდა სკრინინგისა. მაგალითად, სწავლების პროცესზე დასაკვირვებლად.

შეფასებისას, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ორი პროცესი: **მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ინტერპრეტაცია/ანალიზი.** დაკვირვებით და შეფასების სხვადასხვა მეთოდებით მრავალმხრივი ინფორმაცია გროვდება

¹ გაითვალისწინეთ ისიც, რომ ქართულ ენაზე არსებობს სკრინინგ კითხვარი ASQ-ასაკებისა და ეტაპების კითხვარი, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს მიერაა დამტკიცებული და რომელიც, ახლო მომავალში, შესაძლებელია საყოველთაო სკრინინგის ინსტრუმენტად იქცეს.

ბავშვების და აქტივობების შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს ნამუშევრებს, ფოტოებს, მშობლებთან ინტერვიუებს, ტესტების მონაცემებს. ეს არის **მონაცემთა შეგროვების** პროცესი. ბავშვების და პრაქტიკის შესაფასებლად, გარკვეული მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ, ხდება მონაცემთა **ინტერპრეტაცია/ანალიზი**. ანალიზზე დაყრდნობით ხდება სწავლებასთან, ბავშვების განვითარების მიზნებთან და ხელშემწყობ სტრატეგიებთან დაკავშირებით გადამწყვეტილებების მიღება (2), კერძოდ, ინდივიდუალიზაცია და ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმასთან დაკავშირებით.

აღმზრდელ-პედაგოგი მუდმივად უნდა ახორციელებდეს მონაცემთა შეგროვებას და დაკვირვებას ორი მიმართულებით: 1) რას, როგორ სწავლობენ და ვითარდებიან ბავშვები და 2) რა მისცა გამოცდილებამ მათ და რა გავლენა ჰქონდა მათ სწავლასა და განვითარებაზე.

დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია ადრეული განათლების სპეციალისტებს სათანადო გადამწყვეტილებების მიღებაში ეხმარება, რაც ბავშვებისათვის დღის საქმიანობების დაგეგმვასთან, მათი პროგრესის და ზოგადად, პროგრამის ეფექტიანობის შეფასებასთან არის დაკავშირებული. სწორედ ეს კომპონენტები ქმნის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების უწყვეტ ციკლს: დაგეგმვა (როგორც გამიზნული პრაქტიკა), დაგეგმილის განხორციელება (რაც არ გამოირიცხავს განხორციელებისას ცვლილებების შეტანას ბავშვების ინტერესების და საჭიროებების შესაბამისად), დაკვირვება/შეფასება (პრაქტიკის და ბავშვების პროგრესის), ცვლილებების მიზეზის ანალიზი და ინდივიდუალიზაცია (რეფლექსიასა და შეფასებაზე დაფუძნებული ცვლილებების შეტანა თითოეული ბავშვის პროგრესის, ინტერესების და საჭიროებების შესაბამისად) (3).

ბავშვებზე დაკვირვებისა და სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დოკუმენტირება მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით შეიძლება.

დაკვირვების, მონაცემთა შეგროვების მეთოდებია:

- შემთხვევის ჩანაწერები
- მიმდინარე ჩანაწერები
- ფოკუსირებული დაკვირვება (რომელიმე ერთ კერძო აქტივობაზე, ქცევაზე, ინტერესზე დაკვირვება)
- დროის შერჩევა (ჩანაწერების წარმოება დროის გარკვეულ მონაკვეთში. მაგალითად, ორი საათის განმავლობაში, ყოველ მეხუთე წუთზე დაკვირვების წარმოება)
- ცხრილები
- კითხვარები: ჩეკლისტები, რეიტინგული სკალები
- ნამუშევრის ნიმუშები
- ფოტოები - ნამუშევრის ან მოთამაშე ბავშვების
- მშობლისგან მიღებული ინფორმაციის ჩანაწერები
- ვიდეო და აუდიო ჩანაწერები

იმისათვის, რომ შეფასება სანდო მონაცემებზე დამყარებული და პრაქტიკისთვის ღირებული იყოს, აუცილებელია დაკვირვება სათანადოდ განხორციელდეს.

როგორი უნდა იყოს დაკვირვება და შეფასება

დაკვირვება არ იქნება შედეგიანი, თუ იშვიათად, შემთხვევით და არათანმიმდევრულად ხორციელდება. ის მიმდინარე პროცესია, სადაც მნიშვნელოვანია სისტემურობა, დაგეგმვა, რათა ბავშვის ცვალებადი განვითარების პროცესები არ დარჩეს შეუმჩნეველი და შესაბამისად, პროგრამა მის უნიკალურ საჭიროებებზე იყოს მორგებული. გრონლუნდი გამოყოფს დაკვირვებისა და შეფასების ხუთ მახასიათებელს, რომელსაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ:

- დაკვირვება უნდა იყოს სისტემური, თანმიმდევრული, ყოველდღიურ და რუტინულ აქტივობებთან დაკავშირებული
- ობიექტური და აღწერიტი და არა ინტერპრეტირებული, შეფასებითი ან განსჯითი
- კრიტერიუმზე დაფუძნებული
- დოკუმენტირებული და დროულად ჩანერილი
- ფოკუსირებული ახლად აღმოცენებულ უნარებზე და უკვე ნასწავლზე, რაც აღმზრდელს პრაქტიკის, სწავლების გაუმჯობესებასა და ბავშვის განვითარების ხელშემწყობაში დაეხმარება (2).

1) დაკვირვების სისტემურობა, თანმიმდევრობა და ყოველდღიურ აქტივობებთან დაკავშირება

ბავშვებზე და მათთან მუშაობაზე დაკვირვება ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს. ცხადია, თითოეულ ბავშვზე ინფორმაციის შეგროვება და დოკუმენტირება დროსა და ძალისხმევას საჭიროებს, მაგრამ შესაძლებელია დაკვირვებისა და დოკუმენტირების ინდივიდუალური სისტემის შემუშავება. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ შეიმუშაოთ ბავშვებზე და მათ საქმიანობაზე დაკვირვების შემდეგი სისტემა - კვირის დღეებზე გადაანაწილოთ ბავშვების გარკვეული ჯგუფები, ვისზეც განახორციელებთ დაკვირვებას ისე, როგორც ეს ცხრილშია მოცემული.

ორშაბათი: ნინი, ელენე, გუგა, ნუცა, ლევანი, ლუკა
 სამშაბათი: თამუნა, ნუცა, ირაკლი, საბა, ალექსანდრე
 ოთხშაბათი: ნიკო, თამთა, მარი, სოფო, გიო, გიგა და ა.შ.

ასევე შეგიძლიათ წინასწარ დაგეგმოთ არა მხოლოდ ის, თუ ვის დააკვირდეთ, არამედ, რას დააკვირდეთ კონკრეტულ ბავშვთან.

ორშაბათი	
ნინი	დრამატული თამაში
ელენე	კომუნიკაცია
გიგა, მარიამი, ლუკა	სხვებთან თამაში
სამშაბათი	
თამუნა	დამოუკიდებლობა
ნანუკა	წერის ადრეული უნარები
ლევანი	სხვა ბავშვებთან ურთიერთობა
ნინი, ირაკლი	პრობლემის გადაჭრა

თუმცა, წინასწარ დაგეგმვა არ გამორიცხავს სპონტანურ დაკვირვებასაც. შესაძლებელია მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინოთ რომელიმე სხვა ბავშვის შესახებ, რომელზე დაკვირვებაც არ გქონდათ დაგეგმილი. ბუნებრივია, ეს ინფორმაცია არ უნდა დაიკარგოს. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ დაკვირვების შინაარსი არ უნდა იყოს დაკავშირებული მხოლოდ ბავშვის ცალკეულ უნარებთან. ეს არ უნდა იყოს მშრალი ჩამონათვალი უნარების, არამედ გამყარებული და დაკავშირებული ბავშვის ყოველდღიურ საქმიანობასთან, რუტინასთან და ურთიერთობებთან, თუ როგორ იყენებს ბავშვი ამ უნარებს. ასევე უნდა ჩანდეს ბავშვის ინდივიდუალობა, ინტერესები. მაგალითად, ასახელებს თუ არა ბავშვი ემოციებს და იყენებს თუ არა ამ უნარს შესაბამის სიტუაციებში. როგორ და რა სიტუაციებში იყენებს მათემატიკურ უნარებს - თვლას, გაზომვას, როგორია მისი წარმოდგენები საკუთარ თავზე, როგორ თამაშობს ბავშვებთან და ურთიერთობს თქვენთან, როგორია მისი მეტყველება და კომუნიკაციური უნარები. ცხადია, უფრო მეტის მთქმელია ჩანაწერი, როდესაც მშრალი ინდიკატორების ჩამონათვალი კი არ არის, მაგალითად შეუძლია ამბის მოყოლა, მისი ლექსიკური მარაგი 1000 სიტყვაზე მეტია, არამედ დეტალურად აღწერს, რა მოყვა ბავშვმა, როგორ ვითარებაში, რა სიტყვებით და ფრაზებით.

მაგალითისთვის განვიხილოთ ჩანაწერი 4 წლის და 8 თვის ლუკაზე: „აღმზრდელი ბავშვებს საპირისპირო სიტყვებზე ესაუბრება. აჩვენებს დიდ და პატარა ფიგურებს. ლუკა ბავშვებთან ერთად ზის, უყურებს კედელზე ჩამოკიდებულ თვალსაჩინოებებს. იმეორებს ბავშვებთან ერთად სიტყვებს, როცა აღმზრდელი ეკითხება „როგორია კუბურა?“ იგი არ პასუხობს“.

მნიშვნელოვანია, ლუკას ამ ცოდნას და უნარს ყურადღება მიექცეს სხვადასხვა ბუნებრივი აქტივობების დროს, ბავშვისთვის ნაცნობ გარემოში და მისთვის შესაბამისი ამოცანების შესრულებისას. შესაძლებელია, ლუკამ კარგად იცის დიდი და პატარა, როდესაც საყვარელი ნამცხვრის ნაჭერს არჩევს, ან მეგობართან ერთად მანქანის ფარეხის მშენებლობით არის დაკავებული. მსგავს სიტუაციებში, ლუკაზე დაკვირვებით აღმზრდელი მნიშვნელოვან მტკიცებულებებს შეაგროვებს, - თუ რაში და როგორ იყენებს იგი ამ ცოდნას თუ უნარს.

ღირებულ ინფორმაციას იძლევა ასევე ბავშვების საქმიანობაზე დაკვირვება სხვადასხვა ცენტრებში. ამისათვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ წინასწარ გამზადებული ფორმატი, რომელსაც ცენტრში მომუშავე ბავშვებზე დაკვირვების ჩასაწერად გამოიყენებთ.

მცირე ჯგუფზე დაკვირვება²

აქტივობა/ცენტრი -----	მიზანი -----	თარიღი: -----
ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:
ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:
ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:

2) ობიექტური და აღწერილი დაკვირვება

იმისათვის, რომ დაკვირვება იყოს აზრიანი და გამოყენებადი, იგი უნდა იყოს ობიექტური და ფაქტობრივი. ანუ, უნდა მოხდეს ბავშვის შესახებ ინფორმაციის დოკუმენტირება, რასაც სპეცილისტი ხედავს და ისმენს. ფაქტობრივი დაკვირვება უნდა აღწერდეს:

- მოქმედებას
- მეტყველებას
- სხეულის ენას
- სახის გამომეტყველებას
- ნამუშევრებს (4)

ისეთი ზედსართავეები, როგორცაა აგრესიული, ბედნიერი, მოწყვნილი, სხვა პირს ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს, რაც შეიძლება არ შეესაბამებოდეს დამკვირვებლის მიერ აღქმულ ფაქტებს. სწორედ ეს არის აღსანიშნავი ობიექტურ ჩანაწერთან მიმართებაში. ის ისე ზუსტად უნდა იყოს გაკეთებული, რომ ორი დამოუკიდებელი პირი, კითხვისას არ უნდა ახდენდეს ფაქტების განსხვავებულ ინტერპრეტაციას. ამას გარდა, ობიექტური ჩანაწერი დამკვირვებელს გაუადვილებს სხვადასხვა დაკვირვებიდან შეგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ობიექტური დასკვნებისა და შემაჯამებელი ანგარიშის გაკეთებას და დააზღვევს მას სუბიექტური და არასწორი შეფასებისგან.

თუ დამკვირვებელს საკუთარი ინტერპრეტაციის დაფიქსირებაც სურს, ეს აუცილებლად ცალკე გრაფაში, ან შენიშვნის სახით უნდა მიაწეროს, რომ არ მოხდეს ობიექტური ფაქტების და სუბიექტური შთაბეჭდილებების ან ვარაუდების არევა. ამისათვის, მაგალითად, ჩრდილში დაკვირვების ფორმაში ცალკე გრაფაა გამოყოფილი, სადაც ობიექტურად აღწერილი ბავშვის ქცევისა

² ადაპტირებულია წიგნიდან ფოკუსირებული დაკვირვება. როგორ დავაკვირდეთ ადრეული ასაკის ბავშვებს შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისთვის. (2013) ავტორები გ, გრონლუნდი, მ. ჯეიმსი, მეორე გამოცემა, რედლიფ პრესი.

და გარემოს გარდა, შესაძლებელია, დამკვირვებელმა თავისი ვარაუდები და სხვა შენიშვნებიც ჩაწეროს.

იხილეთ ჩრდილში დაკვირვების მაგალითი.

დრო	ქცევა	გარემო	შენიშვნა
16:54	ნ. მეგობარს ყელზე უჭერს და ყურში ეუბნება რაღაცას.	ცენტრებში ბავშვები გადანაწილებული.	ნ. საუბრისას სიტყვებს მარცვლავს. ბავშვებისთვის რთულად გასაგებია და მის მოსასმენად დიდხანს არ ჩერდება. ამიტომ იჭერს ძლიერად, რომ ბოლომდე უთხრას სათქმელი.

3) დაკვირვება და შეფასება კრიტერიუმზე დაფუძნებული უნდა იყოს

ბავშვის შესაძლებლობების დასადგენად გამოიყენება განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალი, როგორც ადრეული სწავლისა და განვითარების სტანდარტიდან, ასევე სხვადასხვა კითხვარებიდან. ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტი კურიკულუმის დაგეგმვისა და ბავშვებზე დაკვირვების სახელმძღვანელო დოკუმენტია. განვითარების სტანდარტი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ტიპური განვითარებისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმების მკაფიო ჩამონათვალია. სწორედ ამ კრიტერიუმებს შეგიძლიათ დაეყრდნოთ შეფასებისას და კურიკულუმის დაგეგმვისას. ამისათვის დაკვირვებით შეგროვებული მონაცემები სტანდარტის, ან შერჩეული კითხვარების ინდიკატორებს უნდა დაუკავშიროთ(2).

კითხვარები განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალია. ისინი აერთიანებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების მახასიათებლებს პირობითად გამოყოფილი განვითარების სფეროების მიხედვით, რაც სხვადასხვა კითხვარში სხვადასხვანაირად არის მოცემული. მაგალითად, „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმის“ კითხვარში მოცემულია ექვსი სფერო - ფიზიკური, თვითმომსახურება, შემეცნება, მეტყველება, წერისათვის მზაობა და სოციალურ-ემოციური - ასაკობრივი კრიტერიუმების ნუსხა (5). ჯ. ბითის **ბავშვის უნარების ჩეკლისტში** კი ამ სფეროებს ემატება სამი სფერო - თვითშეფასება, წარმოსახვა, შემოქმედებითი უნარები, ხოლო ზოგიერთი სფერო ქვესფეროებად არის მოცემული, მაგალითად სოციალურ-ემოციურის ნაცვლად - ემოციური განვითარება, სოციალური თამაში და პროსოციალური ქცევა (6).

სწორედ ასეთ შეფასებას, როდესაც ბავშვების მოქმედებები და საუბარი მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და ინდიკატორებს დარდება, **კრიტერიუმზე დაფუძნებული** შეფასება ეწოდება. ამ დროს არ ხდება ერთი ბავშვის მეორესთან შედარება, არამედ ხდება თითოეული ბავშვის პროგრესზე დაკვირვება სტანდარტის ინდიკატორებთან ან აღმზრდელის მიერ დასახულ მიზნებთან მიმართებაში, რაზეც იგი მუშაობს.

დაკვირვებით მიღებული მონაცემების შედარება ინდიკატორებთან ორი გზით არის შესაძლებელი. თქვენ აკვირდებით ბავშვს, აკეთებთ ჩანაწერს და შემდეგ უკავშირებთ ჩანაწერს განვითარების ინდიკატორებს, რათა განსაზღვროთ ბავშვის პროგრესი. ან პირიქით, აკვირდებით ბავშვს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია მაგალითები, თუ როგორ არის შესაძლებელი ინდიკატორების დაკავშირება დაკვირვების ჩანაწერებთან, ან პირიქით (იხ. მაგალითი 1 და 2).

მაგალითი 1. დაკვირვების ჩანაწერის დაკავშირება განვითარების ინდიკატორებთან

„ნამ კუბურების ცენტრში კოშკის აშენება დაიწყო. მის გვერდით საბა აშენებს. ნია მიუტრიალდა, ჯერ მის კუბურებს შეხედა, შემდეგ მოტრიალდა, თავისი კუბურებით აშენებული კონსტრუქცია აიღო და ნელი მოძრაობით მიიტანა საბასთან: „ჩემი სახლი დიდია, შენი- პატარაა; გინდა, ჩემ კუბურებს მოგცემ და მეც ავაშენებ შენთან ერთად.“ ბიჭი დათანხმდა. ერთად გააგრძელეს სახლის აშენება. ისინი თანმიმდევრობით აწყობდნენ კუბურებს, რამდენჯერმე ერთმანეთს შეხედეს, გაუღიმეს და გააგრძელეს თამაში. ნამ პატარა სათამაშო მანქანა და თოჯინა მოიტანა, თოჯინა სახლზე დადო: „ეს მე ვარ, ნახე როგორი სახლი მაქვს“, საბა: „მანქანა სად დავდოთ? სახლში მანქანას ვერ შევიყვანო, ეზო გავაკეთოთ“. ნამ შეხედა საბას და თავი დაუქნია. კალათიდან კუბურები ამოიღეს და ერთმანეთის გვერდით დააწყვეს. საბა: „მანქანას მე ეზოში დავდებ ...“

ამ ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს ინდიკატორები- სოციალური, მათემატიკური უნარების და მეტყველების სფეროებიდან:

- სხვა ბავშვებთან ერთობლივი თამაშის წამომწყებია. ამჟღავნებს, რომ სიამოვნებს მათთან თამაში
- იძლევა ინსტრუქციებს, ან მიყვება სხვის, თანატოლის ინსტრუქციებს
- იყენებს საგნის ზომის აღმნიშვნელ სიტყვებს
- ასახელებს დიდ და პატარა საგნებს, აფასებს ზომას

მაგალითი 2. ბავშვზე დაკვირვება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით.

ასევე, შესაძლებელია დაკვირვებამდე განსაზღვროთ, თუ რას გინდათ დააკვირდეთ. თქვენ შეიძლება აიღოთ კრიტერიუმები ერთი რომელიმე ან რამდენიმე სფეროდან, ან ერთი კრიტერიუმი ერთი სფეროდან. მაგალითად, შეიძლება თქვენ გაინტერესებთ ბავშვის მოტორული განვითარება, რისთვისაც ხელმძღვანელობთ ბავშვის განვითარების სტანდარტის ქვესფეროში (მსხვილი მოტორული უნარები) მოცემული ინდიკატორებით, ან იღებთ რომელიმე კითხვარს, სადაც ასევე მოცემულია ბავშვის ფიზიკური განვითარების ინდიკატორები. შემდეგ, აკვირდებით ბავშვს შესაბამის ვითარებაში. ქვემოთ მოცემულია მაგალითები:

ბავშვის ადრეული სწავლისა და განვითარების სტანდარტიდან აღებული კატეგორიები და ინდიკატორები

მსხვილი უნარები	მოტორული	აღწერა
სირბილი		დარბის და დაუხმარებლად ჩერდება. თავს არიდებს დაბრკოლებებს
კიბეზე ასვლა- ჩამოსვლა		კიბეზე ადის მარჯვენა ფეხით. იყენებს მოაჯირს
ველოსიპედი		დაკვირვების საშუალება არ მომეცა
ხტომა		ხტება მოკლე მანძილზე
ძროშიალი		სასრიალოს კიბეზე ასაძრომად, დახმარებას ითხოვს
სროლა-დაჭერა		ბურთს აგორებს

ჯ. ბითის ბავშვის უნარების ჩეკლისტიდან აღებული ნატიფი მოტორული უნარები

5. ნატიფი მოტორული უნარები	აღწერა	რიცხვი
--- ნამყვანია ერთი (მარჯვენა/ მარცხენა) ხელი	მარჯვენა	3.10.2017
--- ადვილად ხსნის სხვადასხვა გასახსნელ, ხუფიან ნივთებს	ხსნის ხუფიან ბოთლებს	10.10.2017
--- სითხეს ისე ასხამს ჭიქაში, რომ არ ეღვრება	+	
--- ხსნის და კრავს (ელვა, ლილები, ფხრინი)	ხსნის და იკრავს ელვას, ლილებს, ფხრინს. თასების შეკვრაში ითხოვს დახმარებას	
--- თავისუფლად იღებს და სვამს საგნებს (მაგ. თავსატეხი)	ხშირად ირჩევს ფორმებიან დაფას და სვამს ყველა ფორმას (სამკუთხედი, კვადრეტი, წრე, რომბი, ხუთკუთხედი).	
--- აკონტროლებს სახატავ და სანერ საშუალებებს	ხატავს მარტივ ფორმებს: წრე, წრფე. ქმნის მარტივ ნახატებს: ადამიანი, მანქანა.	
--- აკონტროლებს მაკრატელს	ჭრის მარტივ ფიგურებს	
--- აჭედებს ლურსმანს	არ მომეცა დაკვირვების საშუალება	

ასევე, შეიძლება თქვენ გაინტერესებთ რომელიმე კონკრეტულ უნარზე დაკვირვება, მაგალითად, - სოციალურ-ემოციური სფეროდან- როგორ შეუძლია ბავშვს იმპულსის კონტროლი. მთელი დღის განმავლობაში ყურადღებით უნდა იყოთ, თუ როგორ ავლენს ბავშვი იმპულსის კონტროლთან დაკავშირებულ ქცევებს და ჩაინეროთ. შესაძლებელია, ჩანანერი ასეთი იყოს:

„ნინო მშვიდად ელოდება თავის რიგს. უმტკივნეულოდ გადადის ერთი აქტივობიდან მეორეზე“.

ან

„ელენე, ძირითადად, აწყვეტინებს სხვებს საუბარს, იღებს სხვის ნივთებს და სათამაშოებს, რიგში დგომისას- ხელს კრავს სხვა ბავშვებს“.

4) დაკვირვება ჩანანერი და დოკუმენტირებული უნდა იყოს

ამ ნაწილში განვიხილავთ **შეფასებით პორტფოლიოს**, რომელიც იქმნება სხვადასხვა დაკვირვების ჩანანერებიდან განვითარების ინდიკატორებთან და სასწავლო მიზნებთან მიმართებაში. **პორტფოლიო**

შეგროვებული მტკიცებულებების ორგანიზების ერთ-ერთი გზაა შეფასებითი პორტფოლიო, რაც აერთიანებს დაკვირვების ჩანანერებს, ნამუშევრების ნიმუშებს და/ან ფოტოებს. ამისათვის, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, თითოეულ ბავშვზე მრავალმხრივი დაკვირვებები უნდა ანარმოთ, შემდეგ გაიაზროთ ეს ჩანანერები და შეაფასოთ თითოეული ბავშვის ზრდა, განვითარება და სწავლა (3).

პორტფოლიოს შედგენისას, მნიშვნელოვანია დაფიქრდეთ, ბავშვის რომელი უნარია საგულისხმო და პორტფოლიოში შესატანი. ამ უნართან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი დეტალები და ფაქტები უნდა აღინეროს (2). მაგალითად, თუ პორტფოლიოში მხოლოდ ინდიკატორს დანერტ - „ხატავს წარმოსახვით საგნებს და ადამიანებს - განვილილ თემატიკასთან დაკავშირებულ ნახატს“ (სტანდარტი 6.1 ბავშვი ინტერესდება ვიზუალური ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის), არ აჩვენებთ ბავშვის მიერ გამოვლენილ სხვა უნარებს. ან, თუ მხოლოდ მის დახატულ ნახატს ჩადებთ პორტფოლიოში, არც ეს იქნება საკმარისი მტკიცებულება ბავშვის სხვადასხვა უნარებსა და მიღწევებზე. მნიშვნელოვანია კონტექსტი, ამ უნარის ფუნქციური მხარე და მეტი დეტალი: რა დახატა, რა სიტუაციაში, რა მასალებით, რა თქვა ამ ნახატზე, ვისთან ერთად ხატავდა. გაუზიარა თუ არა ნახატის შესახებ შთაბეჭდილებები მეგობარს ან აღმზრდელს.

მაგალითად, დეტალური ჩანანერი შეიძლება ასეთი იყოს:

„დილის წრის დასრულების შემდეგ, აღმზრდელმა შესთავაზა ბავშვებს, აერჩიათ ხატვა, კუბურების ცენტრში თამაში ან ძერწვა. ელენემ ხატვა აირჩია. ელენემ ადვილზე ხტუნვა დაიწყო: „მე მიყვარს ხატვა“. ელენე დგება ფეხზე და იღებს ყვითელ ფანქარს. ფანქარი უჭირავს ცერა, შუა და საჩვენებელი თითით. დახატა მზე. შემდეგ აიღო ნაცრისფერი ფანქარი და დახატა ფიფქები. გვერდზე მჯდომს მიუბრუნდა და ჰკითხა: „ ეს ხომ ყავისფერია? სახლი უნდა დავხატო.“ ელენემ დაიწყო სახლის ხატვა. სახლს დაუხატა სახურავი, კიბეები, ფანჯრები, ნათურა, რომელიც ანთებულია და სკამი. სკამზე ქალი დასვა. ელენემ წითელი ფანქრით მაგიდის ხატვა დაიწყო, მაგიდაზე დახატა ლარნაკი, რომელშიც მსხალი, ვაშლი და ბანანი ჩახატა. აღმზრდელს დაუძახა: „მე უკვე დავამთავრე“. აღმზრდელი: „ძალიან კარგია, ელენე“. აღმზრდელი იღებს სურათს და ამბობს: „მოდით, ჩამოვიკიდოთ“. ელენე ეხუტება აღმზრდელს: „მასწავლებლო, მე ხომ წერა არ ვიცი და შეგიძლიათ, ჩემი სახელი დაანეროთ? დედა რომ მოვა, ისე ვერ მიხვდება და რომ ნაიკითხავს ჩემს სახელს, მიხვდება, რომ ჩემი დახატულია“.

ასეთი ჩანანერი ბავშვის ინტერესების და შესაძლებლობების უფრო მრავალმხრივ და ინტეგრირებულ ინფორმაციას იძლევა. მაგალითად, ის, რომ ელენე ირჩევს ხატვას სხვა აქტივობებს შორის. მეგობართან ერთად ხატავს და უზიარებს ხატვის პროცესს და შთაბეჭდილებებს. მისი ნახატი ბევრი დეტალისგან შედგება. მას სწორად უჭირავს და კარგად იყენებს ფანქარს მრავალფეროვანი ფორმების და დეტალების დასახატად. მზად არის ისწავლოს საკუთარი სახელის და გვარის წერა. პოზიტიური მიჯაჭვულობა აქვს აღმზრდელთან. სიხარულს ჩახუტებით გამოხატავს. და ბოლოს, დღეს ელენე იყო ხალისიანი და აქტიურად ჩართული

აქტივობაში. კიდევ უფრო მეტი გვეცოდინებოდა ელენესთვის ნახატზე საუბრის შესაძლებლობა რომ მიეცათ. ამით კიდევ უფრო მეტს გავიგებდით მისი ჩანაფიქრის და მეტყველების შესახებ.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი დაკვირვების ჩანაწერის ერთ-ერთი ნიმუშია. ზოგჯერ ჩანაწერი შეიძლება არ იყოს ასეთი დეტალური. ბუნებრივია, თქვენ ვერ მოახერხებთ და არც არის საჭირო ყველაფრის დეტალურად ჩანერა. ზოგჯერ მოკლე ჩანაწერებიც საკმარისია. ის, თუ რამდენად დეტალურად უნდა ჩანეროთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აკვირდებით. ზემოთ მოცემული მაგალითიდან შეიძლება ნახატის აღწერა არც გააკეთოთ, თუ პორტფოლიოში ბავშვის ნახატსაც დაურთავთ და ჩანეროთ მხოლოდ ის, რაც ნახატით არ ჩანს და, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია ამ კონკრეტული ბავშვის ზრდის, განვითარების და სწავლის საჩვენებლად.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ბავშვის ნამუშევრების ერთობლიობა და შევსებული კითხვარები (აღნიშნულ ინდიკატორთა ჩამონათვალით) არ იძლევა ბავშვის შესახებ მრავალმხრივ სურათს. დაკვირვების ჩანაწერების, ფოტოებისა და ნამუშევრების შეფასებით ჩანაწერად გაერთიანებამ შეიძლება, ბავშვის განვითარების შესახებ მნიშვნელოვანი და ინფორმაციული სურათი დაგვიხატოს. შეფასების პროცესში დაკვირვების ჩანაწერები ყველაზე მნიშვნელოვანია, ხოლო სურათები და ნამუშევრები დამატებითი მტკიცებულებაა ჩანაწერის გასამყარებლად (2).

შეფასების პროტფოლიო ისეთ უნარებზე უნდა გაკეთდეს, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მიმდინარე დაკვირვებით ფასდება და გარკვეული შედეგის მაჩვენებელია. ისეთი უნარები, რომელიც დიახ ან არათი ფასდება, მაგალითად მსხვილი მოტორული უნარები, ისედაც მოცემულია შევსებულ კითხვარებში (ინდიკატორთა ჩამონათვალში) დიახ და არა პასუხებით.

პორტფოლიოს შესადგენად უნდა გაითვალისწინოთ:

- უნარები, რომელთა დოკუმენტირებას ახორციელებთ, სად არის უკეთესად წარმოდგენილი - პორტფოლიოში თუ ინდიკატორთა ჩამონათვალში?
- დაკვირვების ჩანაწერი, ასევე ბავშვის ნამუშევარი ან სურათი, აჩვენებს თუ არა იმ უნიკალურ გზებს, რომელთაც ირჩევს ბავშვი რაიმეს გასაკეთებლად?
- აჩვენებს თუ არა დაკვირვების ჩანაწერი ბავშვის მიერ დროთა განმავლობაში განვითარებული სხვადასხვა უნარისა და შესაძლებლობის ინტეგრაციას? (2).

კონკრეტულ მაგალითზე, დეტალურად განვიხილოთ შეფასებითი პორტფოლიოს წარმოების პროცესი. თქვენ, შესაძლებელია, აკვირდებით ლუკას კომუნიკაციას, ბავშვებთან თამაშს და მეტყველებას. და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჩანაწერს აკეთებთ მის ამ ქცევებთან დაკავშირებით. ასე მაგალითად:

„ბაღში მოსვლისას მშვიდად არის. ძირითადად მიდის კუბურების ცენტრისკენ. ყუთიდან იღებს და ინყებს ერთს მეორეზე დანყობას. გ. მივიდა და აიღო კუბურა. ლუკამ გამოართვა, ხელი კრა, გააგრძელა თამაში. კუბურებს ამწკრივებს და აკვირდება. დგება, ხელში უჭირავს ერთი კუბურა და ინყებს ოთახში უმიზნოდ სიარულს.“ (ჩანაწერის თარიღი: 20.09.2017)

ასეთი ტიპის ჩანაწერები შეიძლება, მის თამაშზე, სხვადასხვა სიტუაციებზე დაკვირვებისას გააკეთოთ. რამდენიმე ობიექტური დაკვირვების შემდეგ, შეგიძლიათ ლუკასთან მიმართებაში მიზანი გამოყოთ- დაეხმაროთ მარტივი ფრაზების სწავლაში, ბავშვებთან კომუნიკაციის დასამყარებლად. ასევე, ხელი შეუწყოთ კუბურების ცენტრში სხვებთან ერთად თამაშს. თუ ეს ცენტრი მისი

ერთადერთი ინტერესია, შეიძლება მიზნად დაისახოთ, რომ უფრო დაინტერესოთ და დაუმატოთ სხვა სასწავლო მიზნები ამ ცენტრში, მაგალითად ზომა და ფორმა. ცხადია, ლუკასთან მიზანმიმართული მუშაობა არ გამოირიცხავს დაკვირვების გაგრძელებას. გარკვეული დროის შემდეგ, ლუკას კომუნიკაციასა და სხვა ბავშვებთან თამაშზე ღირებული ინფორმაცია და ჩანაწერები დაგიგროვდებათ. უფრო ორგანიზებული რომ იყოს თქვენი დაკვირვება, ლუკას ამ კონკრეტულ სფეროებზე დაგროვებული მონაცემებით შესაძლებელია შეფასებითი პორტფოლიოს შედგენა, რომელიც შეიძლება ასახავდეს დროთა განმავლობაში განვითარებულ უნარებს და/ან მის ნამუშევარს - აღწერითი ჩანაწერის ან ფოტოს სახით. ჩანაწერებზე დაფუძნებით, ნოემბერში ასეთი ტიპის პორტფოლიოს შედგენა შეგიძლიათ.

შეფასებითი პორტფოლიოს ფორმა³¹
ბავშვის სახელი: ლუკა თარიღი: 14.11.2016 დამკვირვებელი: მანანა
სფერო(ები): ბავშვებთან ერთად თამაში, ინტერესი, კომუნიკაცია, სწავლისადმი მიდგომა
სასწავლო მიზნები: ზომების აღმნიშვნელი სიტყვების ცოდნა, უფროსის დახმარებით ბავშვებთან ერთად თამაში.
ეპიზოდური (შემთხვევის) ჩანაწერი:
დღეს კუბურების ცენტრში ჩემთან ერთად 15 წუთი ითამაშა. გიო რომ მოგვიახლოვდა, ავუხსენი, რას ვაშენებდით. ვთხოვე დახმარება. ლუკამ არ გაუწია წინააღმდეგობა. აკვირდებოდა გიოს, ჯოხიც მიანოდა კონსტრუქციაზე დასადებად. მანოდებდა კუბურებს დასახელებული ზომის და ფორმის შესაბამისად (დიდი, პატარა. კუბი, ცილინდრი). გვაკვირდებოდა, როგორ მეხმარებოდა გიო კომპლექსურ გრძელი ჯოხის ბალანსირებაში. 15 წუთის შემდეგ, კარავში შეძვრა. დღის განმავლობაში რამდენჯერმე მივიდა ჩვენ აშენებულ კონსტრუქციასთან.
(შეგიძლიათ კონსტრუქციის ფოტოც დაურთოთ).

შეფასებითი პორტფოლიოების გამოყენება ლუკასთან და სხვა ბავშვებთან, სხვადასხვა მიმართულებით მუშაობის შესახებ შეგროვებული მრავალმხრივი მონაცემების ორგანიზებაში დაგეხმარებათ.

3 ¹ ადაპტირებულია ნიგინიდან ფოკუსირებული დაკვირვება. როგორ დავაკვირდეთ ადრეული ასაკის ბავშვებს შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისთვის. (2013) ავტორები გ, გრონლუნდი, მ. ჯეიმსი, მეორე გამოცემა, რედლიფ პრესი.

ქვემოთ მოცემულია შეფასებითი პორტფოლიოს სხვა მაგალითებიც.

შეფასებითი პორტფოლიოს მეორე მაგალითი.

პორტფოლიო
ბავშვის სახელი: ალექსანდრე (4 წ. 2 თვე) თარიღი: 18.09.2016 დამკვირვებელი: ნინო
სფერო(ები): ბალთან შეგუება, ბავშვებთან ურთიერთობა
სასწავლო მიზნები: ბალთან შეგუება, ბავშვებთან ერთად თამაში, გაზიარება, სურვილების კომუნიკაცია
ეპიზოდური (შემთხვევის) ჩანაწერი: აღწერეთ სიტუაცია, რას აკეთებდა ან/და ამბობდა ბავშვი:
<ul style="list-style-type: none"> • ალექსანდრე, შემოსვლისთანავე, განცალკევებით დაჯდა პუფზე, სახლიდან მოტანილი სათამაშო უჭირავს და ბავშვებს შორიდან უყურებს • ბავშვები საბავშვო სიმღერაზე ცეკვავენ, ალექსანდრე ცალკე თამაშობს, ხანდახან ბავშვებისკენ იყურება • ბავშვები კუბურებს აწყობენ, ალექსანდრე თავისი მანქანით თამაშობს • თეკლასთან ერთად ოთახში დარბის და იცინის • სათამაშო ფიგურა უჭირავს. სალომე ეხვეწება: „მათხოვე“. ალექსანდრე შუბლშეკრული უყურებს და სათამაშოს ხელს უჭერს • ტირის, სახლში უნდა. მეკითხება, „... მალე მოვა?“

პორტფოლიო
ბავშვის სახელი: ალექსანდრე თარიღი: 28.10.2016 დამკვირვებელი: ნინო
სფერო(ები): ნატიფი მოტორული უნარები
სასწავლო მიზნები: პლასტელინით ექსპერიმენტირება, საწერი მასალის გამოყენება
ეპიზოდური (შემთხვევის) ჩანაწერი: აღწერეთ სიტუაცია, რას აკეთებდა ან/და ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევარი).
<ul style="list-style-type: none"> • ბავშვები ხატავენ. ალექსანდრემ რამდენიმე ხაზი გაუსვა, ამოაბრუნა ფურცელი და მეორე მხარეს გაავლო ხაზები • ძერწვისას, ალექსანდრე შემოგვიერთდა. ბურთებს ვაკეთებ. ალექსანდრე ცდილობს, პლასტელინს მრგვალი ფორმა მისცეს

პორტფოლიო
ბავშვის სახელი: ალექსანდრე თარიღი: 8.10.2016 დამკვირვებელი: ნინო
სფერო(ები): ნიგნიერება
სასწავლო მიზნები: მოსმენა
ეპიზოდური (შემთხვევის) ჩანაწერი: აღწერეთ სიტუაცია, რას აკეთებდა ან/და ამბობდა ბავშვი
<ul style="list-style-type: none"> • მიდის თაროსთან, წიგნს იღებს, იქვე ჯდება და ათვლიერებს "ტოპო-ტიპი დედას სამსახურში არ უშვებს" • ზღაპარს ვუკითხავ. მოდის, ჩვენთან ჯდება და ნახატებს ათვლიერებს. 10 წუთი ჩერდება

ასევე, შესაძლებელია შეფასებითი პორტფოლიოს გამოყენება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების პროგრესის დოკუმენტირებისთვისაც, სადაც პორტფოლიოს მიზნები ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის (ისგ) მიზნებთან მიმართებით იქნება განსაზღვრული.

სპეციალისტების როლი დაკვირვებასა და შეფასებაში

სპეციალური განათლების მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი მთავარ როლს უნდა თამაშობდნენ ბალში შეფასების დანერგვასა და განხორციელებაში. მათ ამოცანებს უნდა წარმოადგენდეს:

- დაკვირვება/შეფასების და სკრინინგის შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება.
- თანამშრომლებისთვის ბავშვის განვითარებაზე, სკრინინგისა და დაკვირვება/შეფასების მეთოდებზე ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- თანამშრომლების პროფესიულ მხარდაჭერაზე ზრუნვა. კერძოდ, ამ მიმართულებით გადამზადების შესაძლებლობების მოძიება, სემინარებისა და კონსულტაციების დაკვირვება/შეფასებაზე, რომ წარმატებით გაართვან თავი მონაცემების შეგროვებას და მათ გამოყენებას კურიკულუმის ინდივიდუალიზაციისთვის.
- ინდივიდუალურ შემთხვევებში აღმზრდელებისა და პედაგოგების დახმარება მონაცემთა შეგროვების, დაკვირვებისა და შეფასების პროცესში.
- ბავშვის დიაგნოსტიკასთან დაკავშირებული რეფერალის სისტემის შემუშავება.
- ადრეული ინტერვენციისა და სხვა მხარდაჭერი პროგრამების, ასევე ამ პროგრამებში ჩართვის უფლებამოსილებისა და პროცედურების ცოდნა (4).

დაგეგმვა: ინდივიდუალიზაცია და ინდივიდუალური გეგმა

როგორც ზემოთ აღინიშნა, შეფასების შედეგების გააზრება, ჩვენი მხრიდან, ბავშვისადმი შესაბამისი ქცევის დასაგეგმად საჭირო. დაკვირვებისა და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, ზოგიერთ ბავშვთან მიმართებით, ჩვენს ყოველდღიურ ან ყოველკვირეულ გეგმებში, განსახორციელებელ ცვლილებებს ვგეგმავთ, რასაც **ინდივიდუალიზაცია** ეწოდება. ზოგიერთ ბავშვთან მიმართებაში კი ინდივიდუალური გეგმა იქმნება.

ინდივიდუალიზაცია არის პროცესი, როდესაც აღმზრდელი მის ჯგუფში არსებული ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს ყოველდღიური ან ყოველკვირეული გეგმების შედგენისას, ხოლო **ინდივიდუალური** გეგმა ერთი კონკრეტული ბავშვისათვის, მისი განვითარებისა და ჩართულობისათვის სპეციალურად შექმნილი დოკუმენტი/გეგმაა, რომლის შექმნაშიც რამდენიმე ადამიანი მონაწილეობს. შესაბამისად, ინდივიდუალიზაცია უფრო მეტ ბავშვს ჭირდება ხოლმე, ინდივიდუალური გეგმის შედგენა კი უფრო ნაკლებს. (გახსოვდეთ, რომ ინდივიდუალურ გეგმაში დასახული კონკრეტული სტრატეგიები და აქტივობები, შემდეგ აღმზრდელის ყოველდღიურ თუ ყოველკვირეულ გეგმებშიც უნდა აისახოს).

ინდივიდუალიზაცია ჭირდება ყველა ბავშვს, ვინც თავისებურად სწავლობს და აღიქვამს, ვისაც საკუთარი ქცევისა და გრძნობების რეგულირება უჭირს, ვისაც საკუთარი თავის გამოხატვა მოძრაობით ურჩევნია, ვინც განსხვავებული ენობრივი და რელიგიური ოჯახის წარმომადგენელია, ვინც განსაკუთრებით მორცხვი და მორიდებულია, ვინც საკმარის სიყვარულს ვერ იღებს, ვისაც განსაკუთრებით ბევრი ინფორმაცია ჭირდება ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ა.შ.

ხშირად ისმის ხოლმე ასეთი შეკითხვა: ჭირდება თუ არა ინდივიდუალური გეგმა ყველა ბავშვს, ვისაც რაიმე სახის სპეციფიური საჭიროება აქვს? შესაძლოა ინდივიდუალური გეგმა ყველა ბავშვის შემთხვევაში არ დაინეროს, ის უფრო ცალსახად გამოხატული საჭიროებების შემთხვევაში დგება, ხოლო ინდივიდუალიზაცია, საჭიროა უფრო მეტი ბავშვისათვის, მათი თავისებურებებისა და ინდივიდუალური ტემპის გასათვალისწინებლად. რომ შევაჯამოთ, დაახლოებით 30 ბავშვიან ჯგუფში ინდივიდუალური გეგმის შედგენა შეიძლება დასჭირდეს 1-ს, 2-ს ან არცერთს, ხოლო ინდივიდუალიზაცია, დაახლოებით 6-7-ს ან მეტს. ინდივიდუალუზაციის პრინციპების კიდევ ერთხელ გასააზრებლად, გადაიკითხეთ თავი უნივერსალური დიზაინის შესახებ.

მნიშვნელოვანია აღმზრდელმა იცოდეს დღის გეგმაში ინდივიდუალიზაციის შეტანის სხვადასხვა პრინციპები, შემდეგ კი მისთვის ყველაზე მოსახერხებელი გამოიყენოს. ინდივიდუალიზაციას წერს და ახორციელებს აღმზრდელი. შესაძლებელია სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი ან ლოგოპედი დაეხმარებოს აღმზრდელს ინდივიდუალიზაციის სტრატეგიების მოფიქრებაში. სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი ან ლოგოპედი აღმზრდელს ასევე ეხმარება იმ შემთხვევაშიც, როდესაც კონკრეტული ბავშვის ინდივიდუალურ გეგმაში დასახული მიზნის მიღწევის სტრატეგიები ინდივიდუალიზაციაშია გადასატანი და გასააზრებელი.

კვირისა და დღის გეგმები და ინდივიდუალიზაცია აღმზრდელ-პედაგოგმა მისთვის ხელსაყრელ და ბალის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული ფორმით უნდა დანეროს, ისე როგორც ეს მისთვის უფრო მოსახერხებელი და ბუნებრივია. მთავარია არა ბევრი წერა, არამედ, მიზნებისა და სტრატეგიების მოკლედ, ფუნქციურად და მოსახერხებლად დალაგება.

დანართში 5 იხილეთ დღის ან კვირის გეგმებში განერილი ინდივიდუალიზაციის 6 ნიმუში. ბაღმა შესაძლოა იხელმძღვანელოს რომელიმე მათგანით ან შექმნას მისთვის უფრო მოსახერხებელი სხვა ფორმა.

ინდივიდუალური გეგმა

ინდივიდუალური გეგმის შედგენა დაკვირვებისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენებაა ბავშვისათვის ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრად.

განვითარებისა და ჩართულობის მიზნები გონივრულად რომ დავსახოთ, კარგად უნდა გავიაზროთ, რა უნარები განვითარა უკვე ბავშვმა კომუნიკაციასა და ენაში? შემეცნებაში? მოტორიკაში? სოციალური თვალსაზრისით? ემოციური/თვითრეგულირების თვალსაზრისით? და რა უნარები ან აქტივობები ინვესტირებული სირთულეებს და ფრუსტრირების განცდას?

ამ შეკითხვებზე პასუხი უკვე გაცემული უნდა გქონდეთ ბავშვზე დაკვირვება-შეფასების და მშობელთან საუბრისა და მისგან მიღებული ინფორმაციის

საფუძველზე. შესაბამისად, ამ კითხვებზე პასუხები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეფასების შედეგები, შეგიძლიათ გადმოიტანოთ დანართ 6-ში მოცემულ ცხრილში, რომელიც ბავშვების განვითარების სურათს უკეთ დაგანახებთ თქვენც და სხვა ჩართულ ადამიანებსაც.

გარდა ამისა, ბავშვის განვითარების სურათის კარგად გააზრებასთან ერთად, ბავშვისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენისას, პასუხი უნდა გაცეთ შემდეგ შეკითხვებსაც და ინდივიდუალური გეგმა - ინდივიდუალური მიზნები ამ საკითხების გათვალისწინებით განსაზღვროთ:

როგორია ბავშვი მოძრაობის მიმართ? აქვს მოძრაობის განსაკუთრებული მოთხოვნილება, თუ მეტი რამის გაკეთება შეუძლია, როდესაც უსაფრთხოდ და მშვიდად ზის? რაიმე ხომ არ აშინებს, როდესაც არამყარადაა?

როგორი რეაქცია აქვს ხმაურზე? რა ტიპის ინტერაქციაზე რეაგირებს მეტად? უფრო თეატრალურსა და ხმამაღალზე, თუ უფრო მშვიდსა და მოკლე საუბარზე?

ვიზუალურად უკეთ სწავლობს და იგებს, თუ ვერბალურად? რა სახის დახმარება/მინიშნება უფრო მოერგება აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლისას? ვიზუალური თუ ვერბალური? იქნებ, რომელიმე მისთვის საყვარელმა სიმღერამ გაჭრას?

როგორ რეაგირებს შეხებაზე? თუ შეხების სირთულეები აქვს, როგორ უნდა დავგეგმო გარემო და აქტივობები, ისე, რომ მის საჭიროებებს მოვერგო?

მიზანი და ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიები, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის გათვალისწინებით და ყველა ჩართული მხარის მონაწილეობით უნდა განისაზღვროს.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა საჭიროა შედგეს ყველა იმ ბავშვისათვის, ვისაც ბაგა-ბაღში ჩართულობის გამოკვეთილი სირთულეები აქვს, დამოუკიდებლად იმისა აქვს თუ არა მას რაიმე დადგენილი დიაგნოზი. ინდივიდუალური გეგმის შედგენა უშუალოდ დიაგნოზის არსებობა-არარსებობაზე დამოკიდებული არ უნდა იყოს, თუმცა, ხშირად იმ ბავშვებს, რომელთათვისაც ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა დგება რაიმე დიაგნოზი აქვთ ხოლმე. რომ შევაჯამოთ: გამოკვეთილი სირთულეების მქონე ბავშვებს დასჭირდებათ ინდივიდუალური გეგმაც და ასევე ინდივიდუალურ გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნის შესაბამისი აქტივობების კვირისა და დღის გეგმებში ინდივიდუალიზაციის სახით გადატანაც, ხოლო უფრო მსუბუქი საჭიროებების მქონე ბავშვისათვის საკმარისი იქნება ინდივიდუალიზაციის ჩანაწერების წარმოება და განხორციელება.

ბაგა-ბაღის გარემოში, ბავშვისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმისა და საგანმანათლებლო მიზნების შედგენის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი პირი აღმზრდელი-პედაგოგია, რადგან ბავშვის ჯგუფში ჩართულობაზე ძირითადი პასუხისმგებლობა მას აკისრია, სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი და კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) ამ პროცესში მისი (აღმზრდელ-პედაგოგის) დამხმარებელი არიან. ბავშვის ჯგუფში ჩართულობაში დიდია აღმზრდელის (ახლანდელი თანამემნის) როლიც, შეაბამისად, ძალიან სასარგებლოა, რომ ისიც ბავშვის გუნდის ნაწილი იყოს.

მშობლის როლი და ჩართულობა ინდივიდუალური გეგმის შედგენისას უმნიშვნელოვანესია, როგორც წესი, ინდივიდუალური მიზნები მშობლის პრიორიტეტებსა და სურვილებს უნდა ითვალისწინებდეს. თუ ხანდახან ისე ხდება, რომ მშობლის პრიორიტეტები ბავშვის რეალური შესაძლებლობებისათვის

შეუსაბამოა, ბაღში მომუშავე სპეციალისტების ვალია, მშობელს რეალური და ბავშვის საჭიროებაზე უკეთ მორგებული მიზნის უპირატესობა დაანახონ.

თუ ბავშვს რაიმე სახის გამომხატული საგანმანათლებლო საჭიროება აქვს, მაშინ ინდივიდუალური გეგმის ტექნიკურ შესრულებაზე - შეფასების შედეგების შეკრებაზე, გუნდის შეხვედრის თარიღის განსაზღვრასა და შეხვედრის ორგანიზებაზე, შეხვედრის ოქმის დანერგვასა და შემდეგ (აუცილებლად) აღმზრდელ-პედაგოგთან ერთად ინდივიდუალური გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელი სპეციალური განათლების პედაგოგია, იგი ასევე პასუხისმგებელია იმაზეც, რომ გეგმის გადაფასება, გუნდის შემდეგი შეხვედრები რაციონალურ დროში მოხდეს (დაახლოებით, 3-4 თვეში ერთხელ) და იმის მონიტორინგზეც, რომ ინდივიდუალური მიზნები რეალურად სრულდებოდეს. საჭიროებიდან გამომდინარე, გუნდის წევრები ბაღში მომუშავე ფსიქოლოგი და ლოგოპედიციაა.

თუ კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში, წამყვანი სოციალურ-ემოციური პრობლემებია, მაშინ იმავე პასუხისმგებლობას ბაღის ფსიქოლოგი იღებს და სპეც-პედაგოგი, საჭიროებიდან გამომდინარე. გუნდის წევრები ხდებიან (აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და მშობელი გუნდში ყოველთვის არიან).

თუ კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში წამყვანი მხოლოდ სპეციალური ენობრივი დარღვევაა, მაშინ გეგმის შედგენის ტექნიკური ლიდერი (აღმზრდელთან ერთად) კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტია (ლოგოპედი). თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სპეციალური განათლების პედაგოგისა და ფსიქოლოგის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.

ყოველთვის ძალიან სასარგებლოა, თუ ბაღის ინდივიდუალური გეგმის შედგენაში ბავშვთან ბაღს გარეთ მომუშავე სპეციალისტიც უშუალოდ ჩართული ან თუ ბაღი მის რეკომენდაციებს ითვალისწინებს. ეს ბაღში მომუშავე ადამიანების პროფესიონალიზმზე და გუნდური მუშაობის მაღალ უნარზე მიუთითებს, თავის რომ დავანებოთ იმ სარგებელს, რაც ამან ბავშვს შეიძლება მოუტანოს. (ინდივიდუალური გეგმის ნიმუში იხ. დანართი 7):

როგორ დავაბა მიზანი

მიზანი ნათლად უნდა ამბობდეს, რის გაკეთებას შეძლებს/რის გაკეთებას მოველით ბავშვისგან - ანუ უნდა ასახავდეს კონკრეტულ ქცევას. ეს ქცევა უნდა იყოს ადვილად დაკვირვებადი და გაზომვადი. გახსოვდეთ, მიზნების წერისას მოერიდეთ ბუნდოვანი აზრის შემცველ სიტყვებს, კარგი მაგალითებია: ზის წრეში, აძლევს სათამაშოს მეგობარს, ამბობს 3-4 სიტყვიან წინადადებას და ა.შ.

მიზანი რომ ფუნქციური იყოს, ის ნათლად უნდა მიუთითებდეს ბუნებრივ გარემოზე, სადაც ამ მიზნის გამოყენება იქნება შესაძლებელი. ის უნდა მიუთითებდეს აქტივობებსა და დღის რუტინაზე, რომლის დროსაც ეს ქცევაა მოსალოდნელი, მაგალითად: ალაგებს თავის ნივთებს კვების შემდეგ და აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლისას.

მიზანს უნდა ჰქონდეს იმის შეფასების ნათელი კრიტერიუმები, თუ რა ხარისხით გამოვლინდება სამიზნე ქცევა. პირობები, უნდა იყოს ლოგიკური და ბავშვისა და გარემოს შესაძლებლობებზე დაფუძნებული, მაგალითად: კვირაში სამჯერ 5 წუთით, 5-იდან 4 შემთხვევაში; ყოველ დღე; მითითებით/მითითების გარეშე.

გუნდის შეხვედრაზე, რომელიც თავის ინდივიდუალური გეგმის განსაზღვრას

შეეხებოდა, მისმა მშობლებმა თქვეს, რომ თავის თამაშში ჩართვის უნარების გამოსწორება უნდოდათ. დედამ, თქვა, რომ ის ერთეულად თავის დასთან თამაშში, მაგრამ მაშინვე ართმევს სათამაშოებს, რაც ყოველთვის ჩხუბით სრულდება. თავის ბაღის აღმზრდელმაც თქვა, რომ მას ბაღშიც თანატოლებთან თამაშის პრობლემა აქვს და საჭიროა უფროსის ჩართვა ჩხუბის თავიდან ასაცილებლად.

მიზანი: უფროსის მცირედი დახმარებით, თაკო ითამაშებს თავის დასთან სადილის შემდეგ, ან მეგობართან საბავშვო ბაღში და გაუზიარებს მათ ისეთ სათამაშოებს, როგორცაა თოჯინა და მისი ტანსაცმელები, მინიმუმ ხუთი წუთის მანძილზე, კვირაში ორჯერ, მიზანი მიიღწევა ერთი თვის თავზე.

მკაფიო ქცევა: ითამაშებს... გაუზიარებს მათ ისეთ სათამაშოებს როგორცაა თოჯინა და მისი ტანსაცმელები

ბუნებრივი კონტექსტი: სადილის შემდეგ დასთან ან ბაღში მეგობართან.

შეფასების კრიტერიუმი: ხუთი წუთის მანძილზე, კვირაში ორჯერ, ერთი თვის თავზე

ბავშვისათვის დახმარების ხარისხი ფრთხილად და კარგად უნდა განისაზღვროს და შემცირდეს თანდათანობით, როგორც კი ესა თუ ის უნარი დაინყებს გაუმჯობესებას.

ინდივიდუალურად განსაზღვრული მიზნები და აქტივობები საჭიროებს რეგულარულ შეფასებას, რადგან ბავშვების საჭიროებები და უნარები ცვლადია. მაგალითად, თუ ბავშვი კომუნიკაციისთვის იყენებდა ბარათების დაფას, ეს დაფა შეიძლება საჭიროებდეს განახლებას ან საერთოდ შეიძლება აღარ იყოს საჭირო.

სტრატეგიები მიზანში არ აისახება. მიზნები ასახავენ იმას, თუ რა უნდა გააკეთოს ბავშვმა, ხოლო სტრატეგიებია ის თუ, რა უნდა გააკეთოს მშობელმა და მასწავლებელმა, ბავშვი ამ ქცევას რომ დაეუფლოს.

ოჯახები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი ამა თუ იმ მიზნის განხორციელებაში, შესაბამისად, მათ კარგად უნდა ესმოდეთ მიზნის რაობა და ამოცანები.

შესაბამისად, მიზნის სამი მთავარი კომპონენტია: მკაფიო ქცევის აღწერა, ქცევის გაზომვის შესაძლებლობა და ქცევის ბუნებრივ კონტექსტში განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. A Guide to Assessment in Early Childhood; Infancy to Age Eight. Washington State Office of Superintendent of Public Instruction, 2008. Authors: K. L. Slentz, D. M. Early, M. McKenna
2. ფოკუსირებული დაკვირვება. როგორ დავაკვირდეთ ადრეული ასაკის ბავშვებს შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისთვის. (2013) ავტორები გ. გრონლუნდი, მ. ჯეიმსი, მეორე გამოცემა, რედლიფ პრესი.
3. დაგეგმვა თამაშის, სწავლისა და განვითარებისთვის.
4. Infant/Toddler Developmental Screening and Assessment. National Infant & Toddler Child Care Initiative (2010).
5. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011.
6. Beaty, Janice J. (2006). Observing Development of the Young Child. Pearson. Sixth edition.

2. მხარდამჭერი გარემოს შექმნა	3	2	1	დიახ	არა	
12. ცენტრები მკაფიო საზღვრებითაა გამოყოფილი						
13. სასწავლო ცენტრები ბავშვებისთვის მიმზიდველადაა მოწყობილი						
14. რეგულარულად შემაქვს სასწავლო ცენტრებში ცვლილებები; ვამატებ და/ან ვცვლი მასალებს						
15. ცენტრები, რომელიც იმ დღეს ბავშვებმა არ უნდა გამოიყენონ, ვიზუალურად მაქვს დახურული (მაგალითად, კიდეა დიდი ბოქლომის ნახატი ან რაიმე სხვა ნიშანი)						
16. განრიგი და აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის (ტრანზიციის) დრო ისე მაქვს შემუშავებული, რომ ბავშვებს არ რჩებათ ლოდინის (არაფრის კეთების) ბევრი დრო						
17. ბავშვებს ვამზადებ აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლისათვის (ტრანზიციისათვის) გარკვეული მინიშნებების გამოყენებით; საჭიროების შემთხვევაში, ტრანზიციის მინიშნება ინდივიდუალურად შეიქმნება (მაგალითად, ბავშვს წინასწარ ვუჩვენებ გარე-სათამაშოების ამსახველ ბარათს, იმის მისანიშნებლად, რომ ერთი აქტივობა დასრულდა და ახლა გარეთ გასვლის დროა)						
18. ბავშვებს ვასწავლი განრიგის თანმიმდევრულად დაცვას						
19. განრიგი მაქვს შემუშავებული, რომ დაცულია დიდი და მცირე ჯგუფური აქტივობების ბალანსი						
20. დაგეგმილი მაქვს და ვახორციელებ დიდ და მცირე ჯგუფურ აქტივობებს, რომელსაც სპეციფიური მიზნები აქვს ბავშვებისთვის						
21. საუბარსა და ინტონაციას ვცვლი ბავშვების ინტერესის შესაწარმუნებლად როგორც მცირე ისე დიდ ჯგუფურ აქტივობებში						
22. ვაკვირდები ბავშვების ქცევას და როდესაც ვამჩნევ, რომ არ აინტერესებს აქტივობა, ვცვლი						
23. აქტივობებს ვცვლი და ვარგებ ბავშვების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რათა ყველა ბავშვი აზრიანად იყოს ჩართული ნებისმიერ აქტივობაში						
24. ვიყენებ სხვადასხვა გზებს, რათა ყველა ბავშვმა გაიგოს, თუ რას ელიან მისგან კონკრეტული აქტივობების დროს						
25. რაც შეიძლება მცირე დირექტივებს ვიყენებ, ხოლო მითითებებს ბავშვებს პოზიტიურად და გასაგებად ვაძლევ						
26. ბავშვებს საკმარის დროს ვაძლევ მითითებებზე რეაგირებისთვის						

27. შესაძლებლობის ფარგლებში, ბავშვებს ვაძლევ არჩევანის გაკეთების საშუალებას						
28. ბავშვებთან ერთად ვაყალიბებ ჯგუფის პოზიტიურ, კონკრეტულ წესებს და შედეგებს - თუ რა მოყვება წესების არ დაცვას (რა უნდა გავაკეთოთ რომ სათამაშოები არ დაიფანტოს, ძირს დაყრილ ფეხი არ წამოვკრათ და არ გავტეხოთ?).						
29. ბავშვებს ვაძლევ შესაძლებლობას დაისწავლონ ჯგუფის წესები						
30. ხშირად ვრეაგირებ ბავშვების საქმიანობაზე პოზიტიური, აღნერიტი და ნამახალისებელი გზით ('ვხედავ ერთად თამაშით ხალისობთ', 'გავიგონე როგორ ითხოვე სათამაშო', 'კარგი გამოსავალი მოიფიქრეთ') დროდადრო ვიყენებ არავერბალურ მინიშნებებსაც						
31. უკუკავშირს გააზრებულად ვუსადაგებ ინდივიდუალურ ბავშვს (უკუკავშირი არის ბავშვების ამა თუ იმ საქმიანობაზე ან ქმედებაზე რეაგირების გზა და ხერხი)						
32. პატივს ვცემ ინდივიდუალურ საჭიროებებს და პიროვნულ თავისებურებებს, შესაბამისად ვარგებ აქტივობებსა და მასალას.						
33. ბავშვების ინდივიდუალური განსხვავებები (კულტურული, სოციალური, სქესობრივი, სენსორული, ენობრივი და უნარების) გეგმის წერისას, მასალების შერჩევისას და თემების განხილვისას გათვალისწინებულია.						
შენიშვნა:						
3. სოციალურ-ემოციური სწავლების სტრატეგიები	3	2	1	დიახ	არა	
34. მესმის, რომ ბავშვებს შეიძლება უარყოფითი განცდები და ემოციები ჰქონდეთ სხვადასხვა მოვლენების მიმართ						
35. ვალიარებ ბავშვების ემოციების მნიშვნელობას და ამას სხვადასხვა მეთოდით ვაკეთებ: ვიყენებ არეკვლის ტექნიკას (იმიტირება, გამოკრება ფრაზის, ჟესტის, 'ვხედავ დაღონებული სახე გაქვს', 'აღბათ, გული დაგწყდა რომ დაგეშალა'). ვასახელებ ემოციებს (შენ გაბრაზდი). ხმის ტონით და ჟესტებით ვაჩვენებ, რომ მესმის ბავშვის ემოციების.						
36. სხვადასხვა აქტივობების დროს, ბავშვებს ვასწავლი ემოციების არავერბალურ გამოხატულებას (როგორ ვლინდება სხეულის ენაში და მიმიკებში ესა თუ ის ემოცია), ემოციურ ლექსიკას (ემოციების აღმნიშვნელ სიტყვებს) და ემოციების ინტენსივობას						

37. ვენმარები ბავშვებს გაიგონ თუ რას განიცდის მისი ჯგუფელი და ამისათვის ვუთითებ მის სახის გამომეტყველებაზე, ხმის ტონსა, სხეულის ენაზე და ასევე იმ სიტყვებზე, რომელიც მან გამოიყენა						
38. ვენმარება ბავშვებს "ნაიკითხონ"/ გაიაზრონ ემოციური ესკალაციის ნიშნები ('ვხედევა სახე გაგინთლდა და მუშტებს მაგრად კრავ, ხომ არ ბრაზობ?' 'გიომ სუნთქვა გაახშირა და შენუხებული სახე აქვს, ვკითხობ ხომ არ ეწყინა რაც შენ უთხარი?')						
39. ვასწავლი, რომ ყველა ემოცია მისაღებია, მაგრამ გამომხატვის ყველა ფორმა არ არის მისაღები						
40. მაგალითს ვაძლევ ბავშვებს იმით, რომ ვასახელებ საკუთარ ემოციებს და ვმსჯელობ გამოსავალზე (მაგ. იმედგაცრუებული ვარ, ჯობია ღრმად ვისუნთქო და დავმშვიდდე)						
41. ვიყენებ შესაძლებლობებს პოზიტიურად აღვნიშნო ისეთი სიტუაციები და ბავშვის ქცევა, როდესაც ბავშვი გაბრაზებული და იმედგაცრუებულია, მაგრამ მაინც ინარჩუნებს სიმშვიდეს						
42. ვასწავლი ბავშვებს, როგორ გამოიყენონ თვითდამამშვიდებელი და სტრესის შემამცირებელი მიდგომები ემოციების, იმპულსების სამართავად და ამოცანაზე კონცენტრაციისთვის						
43. ვრთავ ბავშვებს მიზნების დასახვაში და ვზრუნავ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციული უნარების განვითარებაზე (მაგ.: 'რა გვჭირდება ეს საქმე რომ გავაკეთოთ. პირველი რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის?')						
44. ვახალისებ პარტნიორობას, მეგობრობას (მაგ. ხელის მოკიდება ტრანზიციის დროს, თამაშის პარტნიორი, მორიგეობის მენეჯილი)						
45. მესმის ურთიერთობებისა და თამაშის განვითარების ეტაპები და ხელს ვუწყობ ბავშვზე ორიენტირებულ და მათ მიერ ინიცირებულ ურთიერთობებს						
46. ვასწავლი სოციალურ ურთიერთობებს: გაზიარება, რიგის დაცვა, თხოვნა, განაწილება, თანამშრომლობა						
47. ვქმნი შესაძლებლობებს ბავშვებმა იკვლიონ და დაინახონ სხვადასხვა პერსპექტივები						
48. ვაძლევ მაგალითს თუ რა ფრაზების გამოყენება შეუძლიათ ურთიერთობების დასაწყებად და წასახალისებლად						
49. ალტრუისტული (სხვა ადამიანის უანგარო დახმარება) ქცევის ხელშესაწყობად ვგეგმავ და ვახალისებ გუნდურ თამაშებს, აქტივობებს, ზღაპრებს						

50. ვიყენებ რეალურ სიტუაციებს პრობლემის გადაჭრის სასწავლებლად. ვინყებ პრობლემისა და ემოციების განსაზღვრით, მიყვები პრობლემის გადაჭრის ეტაპებს, რომლის დროსაც ბავშვებს საშუალებას ვაძლევ იფიქრონ გადაწყვეტილებებზე						
51. რუტინის დროსაც ვქმნი პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილებების მიღების და ერთად მუშაობის შესაძლებლობებს (ერთად დალაგება; ან ვინ დამეხმარება ამის განევაში?' ან 'რა შეიძლება მოვიფიქროთ, რომ ყველას გვახსოვდეს სათამაშოების მილაგება?')						
52. ვახალისებ და ხელს ვუწყობ ბავშვების ძალისხმევას, გადაჭრან პრობლემები						
53. ვენმარები ბავშვებს, მოსინჯონ სხვადასხვა გადაწყვეტილებები, სანამ სიტუაცია სწორად არ მოგვარდება						
54. ვაცლი ბავშვებს პასუხს, ან საქმის დასრულებას, სანამ დახმარებას შევთავაზობ						
შენიშვნა:						
4. ინტენსიური ინდივიდუალური ინტერვენცია	3	2	1	დიახ	არა	
55. ინდივიდუალური გეგმა ასევე მოიცავს სოციალური და ემოციური სფეროს მიზნებს						
56. სანყისი ეტაპიდანვე უზრუნველყოფ ოჯახის ჩართულობას ქცევის მხარდაჭერასა და გეგმის შემუშავებაში						
57. ვაფასებ ქცევას და ამისათვის ვიყენებ დაკვირვებას, ინტერვიუს. ვცდილობ ავხსნა ქცევის მიზეზი იარლიყის მინებების გარეშე						
58. ქცევის მხარდაჭერის გეგმა მოიცავს, როგორც პრევენციულ სტრატეგიებს, ასევე პრობლემური ქცევის ჩამანაცვლებელი ქცევის სწავლებას						
59. პრობლემური ქცევის ჩამანაცვლებელ ქცევას ბავშვს ვასწავლით როდესაც მშვიდადაა						
60. მისაღები ქცევის განხორციელებისას მუდმივად ვაძლევ პოზიტიურ უკუკავშირს						
61. ვაკვირდები და ვაფასებ რთული ქცევის ცვლილებებს და ახალ/ ალტერნატიულ ქცევას						
62. მშობლის ჩართულობით ვანყობ პერიოდულ შეხვედრებს ბავშვის პროგრესის, შემუშავებული გეგმის განხორციელების და ახალი სტრატეგიების განსახილველად						
შენიშვნა:						

დანართი 2

ენობრივი შეფასების შედეგები და მიზნები

ბავშვის სახელი გვარი _____

ასაკი _____

მშობლის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია _____

აღმზრდელ-პედაგოგის სახელი _____

ინფორმაცია ბავშვის ენობრივი განვითარების შესახებ

რა ვითარებაში და რა ინსტრუმენტის გამოყენებით შეფასდა ბავშვი¹¹: _____

შეფასების შედეგები, რა მიმართულებით საჭიროებს ბავშვი ჩარევას:

	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
კომუნიკაცია		
ენა-სემანტიკა		
ენა-ფონოლოგია		
ენა-მორფო-სინტაქსი		
არტიკულაცია		

ბავშვთან მუშაობის მიზნები და სტრატეგიები

გრძელვადიანი მიზანი¹²: _____

ჩარევის სტრატეგიები: _____

11 მაგალითად: ბავშვს დავაკვირდი სხვადასხვა ვითარებაში, ბავშვზე დაკვირვების და აღმზრდელთან და მშობლებთან ინტერვიუების მეშვეობით, შევავსე ბავშვის ენობრივი განვითარების შკალა, წიგნიდან „კომუნიკაცია, ენა და მეტყველება სკოლამდელ განათლებაში“

12 გრძელვადიანი მიზანი უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი და დროის ჩარჩოებში მოქცეული, მაგალითად: ნინო მეტყველებისას გამოიყენებს კუთვნილების აღმნიშვნელ ფორმებსა და ნაცვალსახელებს (დათოს ქუდი, ჩემი ფანქარი, ბებოს სათვალე, შენი სათამაშო და სხვა) მიღწევის ვადა 4 თვე

ლუკა შეძლებს ყურადღების გაზიარებას და კომუნიკაციური ინიციატივის გამოჩენას, მისთვის სახალისო აქტივობების დროს, მიღწევის ვადა 2 თვე

მარი შეძლებს „ს“ და „შ“ ბგერების დისკრიმინაციას ვერბალურ და წერილობით მოდალობებში

დანართი 3

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების განვითარების ასაკობრივი თავისებურებების შესაფასებელი კითხვარი¹³

24 თვის ასაკში		
ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მცირე დროის განმავლობაში კონცენტრირდეს სათამაშოზე და არ გადახტება ერთი აქტივობიდან მეორეზე. • ადვილად შედის კომუნიკაციაში და ქცევით კომუნიკაციაზე მეტად სიტყვიერს იყენებს. • იზრდება ახალი სიტყვების რაოდენობა, რომლებიც ახლობლებს ესმით. • რეაგირებს მარტივი მიმართულების მითითებებზე, მაგ., „დადე სკამზე“. • ინტერესდება მცირე ზომის სათამაშოებით, მაგალითად, ფერმის კომპლექტითა და პატარა თოჯინებით. • აწყობს მარტივ წარმოსახვით აქტივობებს სათამაშოების გამოყენებით, მაგალითად, წვეულება ჩაიზე. • აფართოებს ერთსიტყვიან ლექსიკას. • ამ ეტაპზე ხშირად იყენებს ორი სიტყვის შეხამებას, მაგ., „მამა წავიდა“. • მეტყველება მკაფიო და მთელი ოჯახისათვის გასაგები ხდება. • მოსწონს საბავშვო ლექსები და სიმღერები. 	<ul style="list-style-type: none"> • ვერ იგებს ბევრი ყოველდღიურად გამოყენებადი საგნის სახელს. • იცის 25 სიტყვაზე ნაკლები. • არასდროს ხმარობს ორი სიტყვის შეხამებას. • არასდროს ინარჩუნებს ყურადღებას თავის მიერ არჩეულ აქტივობაზე. • არ სურს დაეხმაროთ აქტივობებში. • არ თამაშობს წარმოსახვით თამაშებს. • არ აქვს სოციალური ინტერესი. 	<ul style="list-style-type: none"> • სმენის შეფასება • დაკავშირება ადრეული ჩარევის პროგრამასთან • დაკავშირება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტთან.

13 შედგენილია Peter Westwood; Commomsense Methods for Children with Sspecial Educational Needs, Paperback 2002-ის მიხედვით.

30 თვის ასაკში		
ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
<ul style="list-style-type: none"> • ძალიან კომუნიკაბელურია. • შეუძლია ორმხრივი კომუნიკაცია. • შეუძლია საგნის არჩევა ფუნქციის მიხედვით, მაგ., „რომელ მათგანზე გძინავს?“ • შეუძლია ზომის მარტივი აღმნიშვნელი სიტყვების გაგება, მაგ., დიდი და პატარა . • შეუძლია უფრო რთული დავალებების შესრულება, რომლებიც მოიცავენ მდებარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს „ში“ და „ზე“, მაგ. „უჯრაში ჩადე თოჯინას ტანსაცმელი“. • თამაშობს სხვა ბავშვის გვერდით. • იწყებს წარმოსახვით თამაშებს მაგალითად, თოჯინებით. • ბევრი რამ, რასაც ის ამბობს, ესმით მშობლებს/სხვა ნაცნობებს • იყენებს 200 ან მეტ სიტყვას. 	<ul style="list-style-type: none"> • არ იზრდება მისი ლექსიკური მარაგი. • უმეტესად იყენებს ერთ სიტყვას და არა ორი სიტყვის შეხამებას. • მშობლებს არ ესმით, რას ამბობს. • მას არ უნდა თქვენთან თამაში. • არ თამაშობს წარმოსახვით თამაშებს. • ჩანს, რომ ვერ იგებს რას ამბობთ, თუ ძალიან მარტივად არ ეტყვიან. • ყურადღების ერთ რამეზე კონცენტრირება ძალიან ცოტა ხანს შეუძლია. • ბორძიკით ლაპარაკობს, იმეორებს ბგერებს სიტყვის დასაწყისში ან ფერხდება რომელიმე სიტყვაზე. • ჩვეულებრივ, ჩახლეჩილი ხმა აქვს. 	<ul style="list-style-type: none"> • სმენის შეფასება • დაკავშირება ადრეული ჩარევის პროგრამასთან • დაკავშირება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტთან.

36 თვის ასაკში		
ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
<ul style="list-style-type: none"> • სურს ინფორმაციის მიღება და გაცემა. • ინტერესდება თანატოლებით/ მეგობრებით და იწყებს მათთან თამაშს. • იყენებს ენას გამოცდილების სხვებისთვის გაზიარების მიზნით და არა მითითებებისთვის, ე. ი. მას საუბარი სურს. • შეუძლია მდებარეობის აღმნიშვნელი უფრო მეტი სიტყვის გაგება, მაგალითად, ქვეშ. • იგებს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს (ზმნებს) და ზოგიერთ ნიშან-თვისების აღმნიშვნელ სიტყვას (ზედასართავ სახელებს), მაგალითად, დიდი, მონყენილი. • იწყებს მითითებების შესრულებას, რომელიც მოიცავს სამ კატეგორიას, მაგ., ზომას, ქმედებას, მდებარეობას - „დიდი ბურთი მაგიდის ქვეშ შეაგდე“. • შეუძლია ფერების გარჩევა. • თამაშობს წარმოსახვით თამაშებს წარმოსახვითი საგნებით და ასრულებს როლებს. • უნდა გამოიყენოს სალაპარაკო ენა სხვადასხვა ფუნქციისათვის, მაგ., ინფორმაციის მოსაძიებლად, კითხვებზე პასუხის გასაცემად, საგნებისა და ქმედებების აღწერისათვის, გამოცდილების, პროტესტის დასაკავშირებლად. • უმეტესად წინადადებებით საუბრობს და სვამს კითხვებს, მაგ., რა, სად, ვინ? • მისი მეტყველება ესმით არა მხოლოდ ოჯახის ახლობლებს. • იმეორებს რამდენიმე საბავშვო ლექსს და ხანდახან მღერის. 	<ul style="list-style-type: none"> • ხშირად არ ესმის რას ამბობთ. • იყენებს ორი სიტყვის კომბინაციას. • ძალიან ღარიბი ლექსიკა აქვს • არასდროს სვამს შეკითხვებს. • არ აინტერესებს ამბები. • არ აინტერესებს სხვა ბავშვებთან თამაში. • მის მეტყველებას უმეტესად ვერ იგებენ. • ყურადღების კონცენტრირება ძალიან მცირე ხანს შეუძლია. • ის ბორძიკობს, იმეორებს სიტყვებს ან სიტყვის საწყის ბგერებს, სიტყვებზე იჭედება (ვერ საუბრობს თავისუფლად/ენა ებმის). • ჩვეულებრივ, ჩახლეჩილი ხმა აქვს. 	<ul style="list-style-type: none"> • სმენის შეფასება • დაკავშირება ადრეული ჩარევის პროგრამასთან. • დაკავშირება კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტთან . • ინდივიდუალური მიდგომა ბალში.

42 თვის ასაკში		
ძირითადი უნარ-ჩვევები	შეშფოთების მიზეზი	როგორ უნდა მოვიქცეთ
